სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 13 მარტი 1999 №45 (818) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 არ ვარ მე ის კაცი!

ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს ბრალს სდებენ

5 პირველი

წლეულს თასების თასი უკანასკნელად გათამაშდება. დღეიდან ბოლო ფინალამდე: ყველა ტურნირის მოკლე ისტორია „სარბიელში“

2 ევროპამ წილი ყარა

EURO BASKET 99

გუშინ პარიზში ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა

3 ამაღამ ნიუ იორკში

ამერიკელი ევანდერ ჰოლიფილდისა და ბრიტანელი ლენოქს ლუისის დღევანდელი ბრძოლა მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს გამოავლენს



ახალი სიტყვა მსაჯობაში

ინსპექტორებმა ჭიქები მოიმარჯვონ?

მაშინ, როცა ფიფა-უეფა და მთელი პროგრესული საფეხბურთო საზოგადოება მსაჯობაში სიახლეთა დანერგვაზე მსჯელობენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინსპექტორებს, ეგებ, მამაპაპურ მეთოდთა გამოყენება მოუხდეთ.
გუშინ „სამგურალი“ „სიონის“ მატჩის მერე ბოლნისელთა თავკაცი სპარტაკ არჩვაძე სერიოზულად ჩიოდა, მსაჯები მთვრალები არიანო და მატჩის ინსპექტორს სთხოვდა, შეამოწმეთ, ჭიქაში ჩაასუნთქინეთო

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ „ისანზე“. „არსენალი“ — „მერანი“:
ავჭალელთა თავდამსხმელმა ჯუბა ჩუხუამ თემურ ჩლაიძეს (№1) მაინც გაუტანა



18 ტური

12 მარტი, პარასკევი

არსენალი	1
მერანი	1
სამგურალი	1
სიონი	0
დილა	0
თსუ	0

13 მარტი, შაბათი

დინამო
გორდა
გურია
კოლხეთი
ტორპედო
ოდიში
ლოკომოტივი
ბათუმი
იბერია
ვიტ ჯორჯია

დინამო	17	14	3	0	59:9	45
ტორპედო	17	13	2	2	45:15	41
ლოკომოტივი	17	7	10	0	20:7	31
კოლხეთი	17	8	4	5	36:28	28
ბათუმი	17	7	7	3	24:14	28
დილა	18	7	5	6	24:22	26
მერანი	18	4	9	5	16:20	21
არსენალი	18	4	8	6	21:33	20
სიონი	18	5	4	9	17:34	19
იბერია	17	5	4	8	26:32	19
გორდა	17	4	7	6	14:21	19
სამგურალი	18	5	2	11	15:35	17
ოდიში	17	5	2	10	12:26	17
ვიტ ჯორჯია (-3)	17	5	4	8	15:17	16
თსუ	18	3	6	9	14:23	15
გურია	17	3	3	11	18:40	12

კავშირმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალა

გარეულმა სორელმა შინაური მოდებაძე გააგდო



ბადრი კეთილაძის ფოტო

გურამ მოდებაძე

6 მარტამდე ბორჯღალოსნების მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე თამაშისა გვეიმედებოდა, მაგრამ იმ დღეს ტონგელების ორიოდ კვირაში შეკოწიწებულმა ნაკრებმა ეს იმედი იმ ოცნებად გვიქცია, რომელსაც ძნელად თუ უწერია ასრულება.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

ბადრი კეთილაძის ფოტო

კლოდ სორელი

საქართველოს პირველობა — 18 ტური — ბოლოდროინდელი

ისანი ტრაგედიას გადაურჩა

თბილისი
12 მარტი
15 საათი
ისანი
1 500 (ტევადობა 5 000)

არსენალი 1:1 მერანი

0:1 ჩუხუა (48), 1:1 ხოსროშვილი (64)
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი (კვირკველია 46), ლაცაბიძე, მ. მაისურაძე, ხოსროშვილი, კაკუბავა, დ. კაპანაძე, გაბისონია, ტარიელაშვილი
სათადარიგონი: აბაშიძე, აბაზაძე, სულაძე, მეტრეველი, ყუფარაძე
მერანი: ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი (ჭელიძე 37), დავითნიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, ცქიფურიშვილი, ჩუხუა, ხუციშვილი, დავითაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე, დევიძე, თოლორდავა, ჩანადირი
გაფრთხილება: ქორიძე (17), ჩუხუა (29), ალადაშვილი (38), კაპანაძე (41), დავითნიძე (82)
მსაჯები: ა. შალამბერიძე, გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

ვანო ოძოროპირიძე

„მერანთან“ მატჩს „არსენალი“ მნიშვნელოვნად შესუსტებული შემადგენლობით შეხვდა. გუნდს ტრავმების გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი — ზაზა ზირაქიშვილი და აკაკი კაკაშვილი გამოაკლდა, რომლებიც, სავარაუდოდ, ვერც სამტრედიის „იბერიასთან“ გასვლით შეხვედრაში დაეხმარებიან არმიელებს. სამაგიეროდ, „არსენალს“ აქამდე უგუნდოდ მყოფი გელა გაბისონია შეემატა. კლუბის მთავარი მწვრთნელი მამუკა გეგეჭკორი რამდენიმე დღის წინ მისულ გაბისონიას უმალ ენდო და ძირითად შემადგენლობაში დააყენა. როგორც თამაშმა გვიჩვენა, სწორედაც მოიქცა. თავდამსხმელმა განსაკუთრებით მეორე ტაიმში ითამაშა კარგად. თუმცა შეუთამაშებლობა მაინც ეტყობოდა, ეს მოსალოდნელიც იყო.

პირველი ტაიმი უინტერესოდ წარიმართა, თუმცა მატჩის დებიუტმა „ისანის“ სტადიონზე მისული გულშემატკივარი საპირისპიროდ განაწყო. პირველ ხუთ წუთში გუნდებმა თითო საგოლე მომენტი გაცვალეს. თავდაპირველად მერანელ ჯუბა ჩუხუას შეეძლო გატანა, როცა საჯარიმოში ცრუ მოძრაობით ორი მცველი ჩამოიცილა და ახლოდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთს მცველი გადაეღობა და კუთხურზე გავიდა. ამას „არსენალის“ სწრაფი კონტრშეტევა მოჰყვა, გაბისონია მეკარესთან პირისპირაც აღმოჩნდა, მაგრამ სუსტად და არაზუსტად დაარტყა. მთელმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და სხვა საინტერესო ფაქტობრივად აღარაფერი მომხდარა, ერთ კომბინაციას თუ არ ჩავთვლით: მე-13 წუთზე ქორიძემ „არსენალს“ შეტევა ჩაუშალა და საჯარიმოში შეჭრილ დავითაშვილს გრძელი პასი მიაწოდა. ისიც ბურთს ნახტომში შესწვდა და ჩლაიძეს ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა, მაგრამ მეკარე არ მოტყუვდა.

მეორე ტაიმში თამაში გაიხსნა. ეს გარკვეულწილად ჩუხუას ნაადრევმა გოლმაც განაპირობა. მატჩი ორიოდე წუთის განახლებული გახლდათ, როდესაც დავითაშვილმა ჩუხუა ხელსაყრელ მდგომარეობაში გაიყვანა, ჯუბამაც ისარგებლა ამით და ახლოდან ზუსტად დაარტყა — 1:0. მალე გაბისონიამ ითამაშა კარგად, მეურვე დავითნიძე ჩამოიშორა და ხოსროშვილი მონახა, მისი დარტყმული ლომაიამ აიღო. 56-ე წუთზე „არსენალი“ ზედიზედ ორჯერ გადაურჩა გოლს. დავითაშვილმა მარცხენა ფლანგზე ორი მეტოქე მოატყუა და საჯარიმოში ჩააწოდა, მაგრამ კართან მდგომი ხუციშვილი ბურთს ვერ შესწვდა და მცველმაც კუთხურზე მოიგერია. იქიდან ჩაწოდებულს ჩუხუას ჩინებული თავური მოჰყვა, მასპინძლები ხარიხამ იხსნა. ცოტა ხანში დავითაშვილმა თავით სანტიმეტრებით ააცილა ბურთი კარს. მე-60 წუთზე ხუციშვილმა და ჩუხუამ გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია: ხუციშვილმა ფლანგზე მეტოქეს თავზე გადაატარა ბურთი და ჩუხუას მიმართულებით ჩააწოდა. კარისკენ ზურგით მდგომმა ჩუხუამ მაკრატელა დაარტყა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა. რამდენიმე წუთში კი ანგარიში გათანაბრდა. გაბისონიამ მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ტანმორჩილმა ტარიელაშვილმა საჰაერო დუელი მოიგო და თავით უკან უყურადღებოდ დარჩენილ ხოსროშვილს გადაუგდო ბურთი, რომელსაც ახლო მანძილიდან გოლის გატანა აღარ გასჭირვებია. მეტი მომენტი, ისეთი, ასპროცენტიანი რომ ეთქმის, აღარ შექმნილა და თამაშიც ლოგიკური ანგარიშით დამთავრდა თუმცა უშედეგოთ ორთაბრძოლები მატჩის ბოლომდე მრავლად იყო. საფინალო სასტვენის ხმა კი მაშინ გაისმა, როდესაც მეოთხე მსაჯმა სტადიონზე მისულ ქომაგებს ამცნო, შეხვედრის დასასრულამდე ორი წუთი რჩებაო.

ბოლოს ერთიც — მატჩის დაწყებამდე ათი წუთი რჩებოდა, სასწრაფო დახმარების მანქანა კი ჯერაც არ ჩანდა. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წევრმა შოთა ხინჩაგაშვილმა თქვა კიდეც, სანამ არ მოვა, მანამდე თამაშს არ დავიწყებთო, ამასობაში სასწრაფოც გამოჩნდა. შესვენებისას კი საავადმყოფოს გზას დაადგა. „ისნის“ სათამაშო მინდვრის გვერდით ბავშვები შეყრილიყვნენ. უყურადღებოდ მიტოვებული პატარები კარის ხარიხაზე ჩამოკიდებულიყვნენ, მცირე ზომის კარმაც ვერ გაუძლო სიმძიმეს, წაიქცა და ერთი ბავშვი ქვეშ მოიყოლა. ისიც სასწრაფოდ სამკურნალო შეიქნა. ადვილი შესაძლებელი იყო, ყველაფერი ტრაგიკულად დასრულებულიყო.



წყალტუბო
12 მარტი
15 საათი
26 მაისი
2 000 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 1:0 სიონი

1:0 კილასონია (80ჯ)
სამგურალი: ასლანაძე, ჯავახაძე (ზ. ქუთათელაძე 54), ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე (აფციაური 46), ვოსკანოვი, ძაგნიძე, მახვილაძე, გ. კილასონია, გიორგობიანი, სუხიაშვილი (მ. ჯინჭარაძე 82), გ. შენგელია
სათადარიგონი: ხაჩირაშვილი, დარსაძე, ლ. გიორგაძე, ღონღლაძე
სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკაიშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, გოგოლაძე, თ. სამხარაძე (დ. ჯაფარიძე 86), სულთანოვი (ფ. არჩვაძე 82), მოსეშვილი (გაგუა 75)
სათადარიგონი: დ. სვანიძე, გ. ჩალაძე
გაფრთხილება: ქობულაძე (42), დალაქიშვილი (51)
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი), დ. გოგოლაძე (ბორჯომი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

მსაჯი რა, მძღოლია?!

„სიონმა“ წინა ორ ტურში 4 ქულა მიითვალა და შვებაც იგრძნო. ბოლნისელები „სამგურალთან“ სათამაშოდაც სერიოზულად განეწყვნენ. წყალტუბოელებსაც ძალიან გაურთულდათ საქმე, საწყის 20 წუთში მხოლოდ ორჯერ დაარტყეს სტუმართა კარისაკენ, ორჯერვე შორიდან. მე-5 წუთზე კილასონიამ საჯარიმოდან გასროლილი ოდნავ ააცილა კარს, სუხიაშვილს კი ცაციათი არცთუ ძლიერად დარტყმული დალაქიშვილმა აუღო. პირველი რეალური საფრთხე ბოლნისელთა კარს შუა ტაიმში შეექნა. გიორგობიანმა მარცხნიდან ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში, ბურთზე ერთდროულად მცველი და შენგელია ახტდნენ, ბოლნისელი ვერ მიწვდა, წყალტუბოელმა კი მოასწრო თაური და დალაქიშვილის აკრობატული ნახტომი რომ არა, ალბათ, ანგარიშიც გათანაბრდებოდა. „სიონი“ უმთავრესად დაცვით იყო გართული, მაგრამ ერთხელ მასაც მიეცა შანსი. 35-ე წუთზე შაკაიშვილი გავიდა წყალტუბოელთა საჯარიმოში ჩაწოდებულზე, ნახტომში ლამაზადაც დაარტყა კარისაკენ. სტუმართა მცველის თაური ოდნავ აცდა ძელს. ორ წუთში უკვე ბოლნისელთა კართან შეიქმნა საგოლე მომენტი. სუხიაშვილი აღმოჩნდა უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაში, იგი ხუთიოდე მეტრიდან ურტყამდა კარში, მაგრამ მეკარე გადაეფარა, დალაქიშვილიდან ბურთი იქვე ახლოს მყოფ ძაგნიძეს მიუვიდა, მანაც არ დააყოვნა, ძლიერად დაამატა და... ახლა უკვე მცველი გოდერძიშვილი გადაეღობა ბურთს, მკერდით, ხელით თუ ორივეთი ერთად, ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ. ამაოდ. გავიდა სამი წუთი და კილასონიამ დაახლოებით 22-მეტრიდან უძლიერესად დაურტყა დალაქიშვილს და, ყოჩაღ, მეკარე! ამჯერადაც იმარჯვა.

შესვენების შემდეგ თამაშის ხასიათი არ შეცვლილა. მასპინძლები კვლავინდებურად დიდი ძალებით მიდიოდნენ იერიშზე, სტუმრებს კი, ასევე მთელი გუნდით, დაცვისკენ ეჭირათ თვალი. 50-ე წუთზე შენგელიას შეეძლო ბოლნისელთა დასჯა. მან შუაგულ საჯარიმოდან შემობრუნებით დაარტყა კარისკენ, მაგრამ ააცილა. 57-ე წუთზე სუხიაშვილის დარტყმული მცველს, მასპინძლთა თქმით, ხელზე მოხვდა, მაგრამ ვერც ამჯერად დასტყუეს პენალტი არბიტრს.

63-ე წუთზე წყალტუბოელებმა ერთადერთი დასამახსოვრებელი კომბინაცია გაითამაშეს. ფრანგიშვილმა შორიდან კარგად უპასა შენგელიას, ამან ადგილზე მოატყუა მცველი და ზუსტი გადაცემით იერიში ქუთათელაძეს გააგრძელებინა, რომელიც თითქმის ოერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ურტყამდა კარში, მაგრამ სუსტად და მეკარესაც არ გასჭირვებია აღება. ამის შემდეგ აფციაური და კილასონია ურტყამდნენ შორიდან, არც მათ გაუმართლათ.

ბოლნისელებს ყაიმისკენ მიჰყავდათ საქმე, თითქოს ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ ბოლო 15 წუთი მაგრად ჩაუმწარდათ. ჯერ იყო და მოსეშვილი დაშავდა, მას ხელი ამოუვარდა და საავადმყოფოში გადასაყვანი შეიქნა. მერე კი „სიონმა“ გოლიც მიიღო. კილასონიამ 11-მეტრიანიდან ისე გამეტებულად დაჰკრა, არა მგონია, ვინმეს აეღო. არადა, დალაქიშვილი მიმართულებას მიუხვდა. ბოლნისელთა კარში პენალტი მას შემდეგ დაინიშნა, რაც ერთ-ერთმა მცველმა მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში სამეკარეოს კუთხეში ძაგნიძეს უბიძგა და ისიც წაიქცა.

წყალტუბოელებმა, რაღა თქმა უნდა, გაიხარეს სამი ქულით. სტუმრები კი უკმაყოფილონი იყვნენ, თანაც მარცხში არბიტრს ადანაშაულებდნენ. სანაია ნასვამი მსაჯობდაო, ამტკიცებდნენ ბოლნისელი ფეხბურთელები. იგივე აზრისა გახლდათ „სიონის“ თავკაცი სპარტაკ არჩვაძე, რომელმაც სფფ-ის ინსპექტორს ნოდარ კაკულიას მსაჯების სამედიცინო შემოწმებაც კი მოსთხოვა. მძღოლების სიფხიზლეზე შემოწმება გამიგია, მაგრამ მსაჯებისა?! თუმცა, იქნებ ესეც საჭიროა. დავფიქრდეთ.

მამუკა დარჩიას ფოტო

გიორგი შენგელიას ეს თაური მეკარის საკბილო გახდა

გორი
12 მარტი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

დილა 0:0 თსუ

დილა: სოღოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, მარეხაშვილი, ლომიძე (ციცქიშვილი 46), მ. მინდიაშვილი, ახალკაცი, შატაკიშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე, ხიხალაშვილი, საყვარელიძე, სულთანიშვილი, არუთინიანი, კარელიძე
თსუ: გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, თ. კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე, გონჩაროვი (ბუკია 89), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
სათადარიგონი: მერლანი, ინწკირველი, ვ. ღუდუშაური, თოლორაია, სვანაძე
გაფრთხილება: ლომიძე (27), შაშიაშვილი (65), შატაკიშვილი (73), ხაჭაპურიძე (85), როსტიაშვილი (87)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი), ა. ქარქაშაძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

რა ატირებდა გაბელიას

პაატა კვანტალიანი გორიდან

— ასეთი უიღბლობა წარმოუდგენელია. ბიჭები მეცოდება. ყოველივე ცუდად მოქმედებს მათ ფსიქოლოგიაზე. მითხარით, მეტი რა ვქნა. თამაშის ბოლოს დავჯექი და ვიტირე — ამ სიტყვებს ჯერაც ცრემლშეუმშრალი ოთარ გაბელია შეხვედრის ბოლოს ეუბნებოდა თქვენს მონა-მორჩილს.

რატომ ტიროდა სტუდენტთა თავკაცი? პირველ ყოვლისა, ალბათ, იმიტომ, რომ მძიმე ტვირთად დასწოლია ბევრ სიკეთეს მოკლებული, აუტსაიდერი გუნდის ხელმძღვანელობა. დიახ, თსუ აუტსაიდერია, ეს ფაქტია, კლუბი ცხრილის ბოლოდან მეორე საფეხურზეა სამი მოგებით და ადვილი შესაძლებელია, დღეს ლანჩხუთში მასპინძელთა წარმატების შემთხვევაში ბოლო ადგილზეც აღმოჩნდეს, მაგრამ სტუდენტთა მაჩანჩალობის მთავარ მიზეზად მაინც უიღბლობა მიმაჩნია. გუშინ გორში მატჩის დამთავრების შემდეგ სტუმართა თავკაცივით თვალზე ცრემლი არ მომდგომია, მაგრამ სტუდენტთა გუნდი მართლა შემეცოდა, შემეცოდა რადგან მოგებას იმსახურებდა, თანაც როგორ...

მოგვიანებით სამ ბალად შეფასებულ გორის „ცენტრალურზე“ მსაჯის სასტვენისთანავე მასპინძლები შეტევაზე გადავიდნენ და მეათე წუთამდე სტუმრებს მარწუხები მოუჭირეს. გაილაღა „დილას“ მარჯვენა ფრთამ, შეტევის ხაზში მცველი ფეზუაშვილიც ჩაერთო და მოსერენიც სწრაფი გოლის მოლოდინში გაინაბნენ. თუმცა მე-11 წუთზე, სტუდენტთა სწრაფი კონტრშეტევის დროს, გიორგი ილურიძემ კარგი პასი გაუჭრა საჯარიმოში შეჭრილ როსტიაშვილს, მანაც მკერდით ჩამოიღო ბურთი და კარში გადაგზავნა — სოღოლაშვილის რეაქცია დროული გამოდგა. შემდეგ კი სტუდენტმა მაღრაძემ აიწყვიტა, წინ ეულად დარჩენილ გონჩაროვს გვერდით ამოუდგა, ფლანგებზე ხუჯაძე და როსტიაშვილიც აიყოლია და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. მოედნის ბატონ-პატრონი სტუმრები გახდნენ. ისინი არც ორთაბრძოლებს ერიდებოდნენ, ბურთის ართმევასაც დამაჯერებლად ახერხებდნენ, არც პასს უგვიანებდნენ ერთმანეთს და სოღოლაშვილსაც ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ, ტაიმის გასრულებას ხუთი წუთი აკლდა, როცა ჭუმბურიძემ მაღრაძე მასპინძელთა გოლკიპერს შეატოვა, მაგრამ ლევანს საბოლოო დარტყმა დაუგვიდა, ფეზუაშვილი წამოეპარა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

შესვენების შემდეგ მოედანზე მდგომარეობა არ შეცვლილა, მასპინძლებს არც თამაზ ციცქიშვილის გამოჩენა დაეტყოთ, თუმცა გორელებს ერთი მომენტი მართლაც რეალური ჰქონდათ — 56-ე წუთზე ახალკაცმა გამოზომილად ჩააწოდა მარჯვენა ფრთიდან, ორი მეტრიდან მინდიაშვილის თავით დარტყმული ბურთი კარის ზედა ძელს მოხვდა. უკუგდებულზე კი მცველებმა იყოჩაღეს და თამაში ისევ ჩვეულ კალაპოტში ჩადგა — თსუ უტევდა და სოღოლაშვილი საამედოდ იდგა. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და მასპინძლებმა გამოფხიზლება ინებეს — „დილამ“ ბოლო ძალები მოიკრიბა და ტრიბუნებზე შეკრებულ გულშემატკივარსაც იმედი გაუჩნდა, მაგრამ სტუდენტთა კაპიტანი თენგიზ კობიაშვილი საამედოდ ხელძღვანელობდა დაცვას. შემდეგ იყო მატჩის მთავარი არბიტრის, ალექსანდრე მეშკოვის მიერ თამაშზე დამატებული ორი წუთი. მაყურებელი უკვე სტადიონს ტოვებდა, როცა „დილას“ კარში ჯარიმა დაინიშნა. ოცდაათიოდე მეტრიდან ნინუამ ღონივრად დაჰკრა... მას შეეძლო, იმ დღეს მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ მასპინძელთა კარში სოღოლაშვილი იდგა. მისი ლამაზი ნახტომის შემდეგ ბურთი ბადის ნაცვლად კუთხურზე აღმოჩნდა. კუთხური კი სტუმრებს აღარ ჩამოუწოდებიათ...

ისეთ ხუმრობას რა ვუთხრათ...

მოსკოვს სმერტინის ცრემლების არ სჯერა

ზაზა ჯანაშიას სამმაგი სიხარული

ალექსეი სმერტინი მოსკოვის „ლოკომოტივში“ ელისტას „ურალანიდან“ გადაბარგდა. რკინიგზელები დიდ იმედებს ამყარებენ ამ ახალბედა ფეხბურთელზე, მაგრამ არა და არ სწყალობს ბედი ციმბირელ ყმაწვილს. ჯერ იყო და „ლოკომოტივის“ ქართველ ლიდერს, თანაგუნდელების მიერ „ბენერალად“ მონათლულ ზაზა ჯანაშიას კინაღამ შემოელახა. ამ ჩხუბის შესახებ „სარბიელმა“ ოპერატიულად მოგაწოდათ ინფორმაცია გუნდის ქალაქ ხოსტაში მიმდინარე შეკრებიდან. მაშინ რკინიგზელთა კლუბის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ჩვენებური „გენერალი“ გაამართლა.

ამის შემდეგ სმერტინმა თვით ფეხბურთის თამაშით სცადა ჯანაშიას მინდორზე დაჩრდილვა, მაგრამ „ლოკომოტივი“ — „მაკაბის“ მატჩზე რაც მოხდა, ყველამ კარგად იცით. ჰოდა, ამდგარა ალექსეი და შეხვედრის შემდეგ პირველს დაუტოვებია სტადიონი... ციმბირში გადაფრენილა ოჯახს დანატრებული. აი, უკან კი ყველაზე გვიან მობრუნდა და სიომინის განახლებულ ვარჯიშზე სახეშეშლილი გამოცხადდა. როგორც „სარბიელისთვის“ ცნობილი გახდა, სმერტინი საკუთარი „ჯიპით“ ავარიაში მოხვედრილა და — მადლობა ღმერთს, სკლიფასოვსკის სახელობის ინსტიტუტის ნაცვლად „ლოკომოტივის“ ბაზაზე ამოჰყო თავიო — იუწყება რუსული პრესა.

კიდევ ერთი ჩვენთვის საინტერესო, იუმორნარევი დიალოგი გაავრცელა რუსულმა სპორტულმა პრესამ.

მაშ ასე. ქალაქი ჩერკიზოვო. „ლოკომოტივის“ საწვრთნელი ბაზა. გუნდის ექიმი, წარმოშობით ქართველი ალექსანდრე იარდოშვილი კარისკენ მიმავალ ზაზა ჯანაშიას აჩერებს და ეკითხება:

— ზაზა, დააკვირდი ჩაღრმავებულ ადგილს ჩვენი სტადიონის შემოსასვლელთან?

— არა, რატომ მეკითხები? — დაინტერესდა ჯანაშია.

— სწორედ იქ მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის, განკარგულებით შენი ძეგლი უნდა აღმართონ...

— და როდის? — საუბარში აჰყვა ზაზა.

— თასების თასის გათამაშების ფინალური მატჩის მერე.

— მაშინ ფინალშიც უნდა გავიტანო, თუმც სამი გოლის გარანტიას ვერ მოგცემთ.

— ალბათ, ორიც საკმარისი იქნება.

— კარგი იქნება, თუ მესამე ბურთს ჩემი ახალი მეგობარი ალექსანდრე სმერტინი შეაგდებს...

„ლოკომოტივის“ ქართველებს მართლაც სახუმაროდ აქვთ საქმე, მაგრამ გუნდის ადმინისტრატორ ანატოლი მაშკოვს ერთი თავსატეხი გასჩენია, არ იცის, როგორ ჩამოწეროს მოედანზე „მაკაბის“ თამაშის დროს გამოყენებული ათი ბურთიდან რვა, რომლებიც თურმე შეხვედრის არბიტრებს წაულიათ სამახსოვრო ნივთების სახით.

არადა, სწორედ ასეთი შემთხვევა მომხდარა რამდენიმე წლის წინათ ფინეთში. შინ წაგებით განაწყენებულ ფინელებს საჩივარი შეუტანიათ მატჩის რუსი არბიტრების წინააღმდეგ და იმ მსაჯებსაც კარიერა ნაადრევად შეაწყვეტინეს.

„ლოკომოტივის“ ადმინისტრატორი ამჯერად ჩივილს არ აპირებს, მაგრამ თანახმაა, გარკვეული თანხა გადაიხადოს „ადიდასის“ ფირმის იმ ბურთებში, ზაზა ჯანაშია ოსტატურად რომ უმიზნებდა ებრაელთა კარის ბადეს.

დაბოლოს, მოსკოველი რკინიგზელები ამ დღეებში კვიპროსზე გაემგზავრნენ და იქიდან ესტუმრებიან აღთქმულ მიწას საპასუხო მატჩის გასამართად.

ხვიჩა სანიკიძე

ეძებეთ და იპოვით

ხვალიდან მეათე ეროვნული ჩემპიონატი მთელი ძალით ამოქმედდება. მეორე ჯგუფში მეორე წრე იწყება. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ორ-ორ ქვეჯგუფში გუნდები პირველობისთვის იბრძოლებენ. ლაპარაკია ლიდერებზე, თორემ აუტსაიდერებს საფიქრალ-სადარდებელი არც არაფერი დარჩენიათ — პირველ ჯგუფში, რა თქმა უნდა, ვერ აღზევდებიან და ვერც მეორედან დაქვეითდებიან. ჩვენში ხომ ორი ჯგუფის მეტი არ არსებობს. ჯერჯერობით ასეა და მომავალში, ვნახოთ, რა იქნება.

მეორე ჯგუფის მიმოხილვა დასავლეთის „ა“ ქვეჯგუფით დავიწყოთ. პირველობას ვანის „სულორი“, ზესტაფონის „მარგვეთი“ და ტყიბულის „მეშახტე“ შეეცილებიან ერთმანეთს. მათგან ჩემპიონობის ყველაზე უკეთესი შანსი ვანელებს აქვთ, მაგრამ თუ მზადების და გაძლიერების შედეგებს შეავჯამებთ, მაშინ უპირატესობა ზესტაფონელებს უნდა მივაკუთვნოთ.

თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, მაშინ პირველ ჯგუფში გადასასვლელად „მარგვეთი“ მეტ მონდომებას იჩენსო — ხმამაღლა ამბობენ — სამი იმერული გუნდიდან საპირველჯგუფო ხარჯებს და გაზრდილ მოთხოვნებს მხოლოდ ზესტაფონელები არ უფრთხიანო.

დასავლეთის „ა“ ქვეჯგუფში არის კიდევ ერთი, გამორჩეული სტილის გუნდი, რომელიც ახალგაზრდა, იმედისმომცემი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. გაგრელთა საფეხბურთო კლუბი წყალტუბოშია დაბანაკებული. ავბედითობას რა ვუთხრათ, თორემ „გაგრა“ პირველობისთვის იბრძოლებდა. ამისთვის გუნდს ტარდიციაც აქვს და თვითმყოფადი ნიჭიც, ისეთი, მხოლოდ აფხაზეთში დაბადებულ-დაფრთიანებულ მოთამაშეებს რომ გამოარჩევდათ.

„ბ“ ქვეჯგუფში ხობის „კოლხეთი“ პირველობს და თუ რამე გაუთვალისწინებელიც არ მოხდა, გათამაშების ბოლომდეც შეინარჩუნებს ლიდერობას. მესამეადგილოსან „მერცხალს“, პირველობას რომ უმიზნებს, 9-ქულიანი დეფიციტის გაბათილება აშკარად გაუჭირდება.

ახლა აღმოსავლეთზეც მოვყვეთ. „ა“ ქვეჯგუფში, ადრე ცენტრად რომ იყო მონათლული, როგორც ყველგან და ყველაფერში, „დინამო 2“ ლიდერობს. ჩემპიონის ფარმ-კლუბმა განცხადება გააკეთა, პირველ ჯგუფში უნდა ვითამაშოთო. კანონის თანახმად, „დინამო 2“ აღრძალულია და ვერც „დინამო 2“ აღზევდება, თუ, რა თქმა უნდა, ფედერაციამ დებულება არ შეცვალა.

არადა, წესისა და კანონის მიხედვით, პირველ ჯგუფში მოსახვედრად „ცხინვალი“ და „ქარელი“ იბრძოლებენ. „ცხინვალი“ 1993 წლიდან გორში, ქართლის სტადიონზეა დაფუძნებული და ჩემპიონატშიც რეგულარულად მონაწილეობს. კლუბის ხელმძღვანელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა დედაბუდეს მოშორებულ გუნდს არაფერი გაუჭირდეს. კლუბის ტექნიკური დირექტორი ნაჭრო ნასუაშვილი ხომ სულაც სტადიონზე აღამ-ათენებს. შეძლებისგვარად კომფორტულადაც გამოიყურება იქაურობა.

ჟამთა სიავეს რა ვუთხრათ, თორემ სოხუმის „ცხუმს“ ან აღმოსავლეთის ქვეჯგუფში რაღა უნდა, ანაც საერთოდ მეორე ჯგუფში, სადაც უნდა იყოს, „ცხუმი“ ყველგან გამორჩეული იქნება, ადრეც ასე იყო და იმიტომ. მწვრთნელიც ხომ განსაკუთრებული, გონიერი ჰყავთ. ნუგზარ ბოჯგუას თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა არ აკლია, საკმაოზე მეტად გამოცდილიც არის. შეძლება თქვი, თორემ „ცხუმი“ მეშვიდე ადგილზე არ იქნებოდა.

დაბოლოს, აღმოსავლეთის „ბ“ ქვეჯგუფი. პოლიციელთა „აკადემია“, „ყვარელი“ და ძველი ანაგის „ღარწყალი“ საინტერესო მეორე წრეს გვპირდებიან. სამთაგან მხოლოდ ყვარელები ყოფილან უძლიერესთა შორის. „აკადემია“ უკვე მესამე სეზონია, პირველ ჯგუფში მოხვედრას ცდილობს, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. არ არის გამორიცხული, აკადემიელებმა წლეულს აისრულონ ოცნება. ისინი უშუალო კონკურენტებს შინ დაუხვდებიან და აქედანვე გარკვეული უპირატესობაც აქვთ.

„ღარწყალი“ კი სულაც რამდენიმე თვის წინ შექმნილი გუნდია. თავიდან ლიდერობდა კიდეც, ახლა მესამეა ქვეჯგუფში, თუმცა მეორე წრის დაწყებამდე სოლიდური შევსება მიიღო. ანზორ გძელიძე გამოცდილი მწვრთნელია, რევაზ ნაჭყეპია კი ურიგო მეკარე არ გახლავთ.

სულ ეს იყო. მეორე ჯგუფის 4 ქვეჯგუფში პირველი ჯგუფის საგზურისთვის 10 გუნდი იბრძვის. გაიმარჯვებს ის, ვისაც უკეთესი პატრონი ეყოლება და კონკურენტზე მეტი ყისმათი ექნება.

მამუკა კვანტალიანი

დინამო ლიგის კარიბჭესთან

ამერიკული ფირმა დიდ ფულს ჩამოდის

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე ერთი, მართლაც კარგი და მნიშვნელოვანი რამ თქვა.

საქმე საქართველოს უცვლელი ჩემპიონის, თბილისის „დინამოსა“ და ამერიკულ ფირმა „ფინანც შპორტ პრომუშენ“-ის ურთიერთობას ეხება. თურმე ამერიკულ ფირმას, რომელიც გერმანიაში საქმიანობს და რომელიც ქართველი მიხეილ სურგულაძე ხელმძღვანელობს, სურვილი გამოუთქვამს, რომ ჩვენს ჩემპიონებს დაეხმაროს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში შესაღწევად ყველა პირობა შეუქმნას. არჩევანის მაინცდამაინც „დინამოზე“ შეჩერება მათი პერსპექტივითვეა ყოფილა განპირობებული — თბილისელებს ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი აქვთ.

ფედერაციის პრეზიდენტის მაშინდელი განცხადებით, შეხვედრა, გუშინ გერმანიაში, საქართველოს საელჩოში უნდა გამართულიყო.

შეთანხმებულან კიდეც — „დინამო“ აწი სხვა, გაცილებით კარგი გუნდი იქნება.

მოლაპარაკება, რომელშიც თბილისის „დინამო“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი რომან შოთაძე, მწვრთნელი მურთაზ ხურცილა, ფირმა „ფინანც შპორტ პრომუშენ“-ის პრეზიდენტი მიხეილ სურგულაძე და ამავე ფირმის რამდენიმე პარტნიორის წარმომადგენელი მონაწილეობდნენ, სულ ნახევარი საათის დაწყებული იყო, საქართველოს საელჩოს რომ დავუკავშირდით.

— დიახ, მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდება — გვითხრა ელჩმა კოტე გაბაშვილმა და ჟურმილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას გადასცა, სათქმელს ის უკეთ გეტყვითო.

— ხელი ჯერ არაფერზე მოუწერიათ, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ პრობლემაც არაფერია. უმნიშვნელო დეტალებიღაა შესათანხმებელი. ამერიკულ ფირმისა და „დინამოს“ დაკავშირებას მხოლოდ კალამი სჭირდება.

— თანამშრომლობა როდიდან დაიწყება?

— პირველი მაისიდან. ასე თქვეს და ორივესთვის ასე ავჯობებს.

— რატომ „თქვეს“, თქვენ არ მონაწილეობთ?

— მე და კოტე გაბაშვილი შეხვედრის სტუმრები ვართ. საბოლოო სიტყვა ფედერაციის პრეზიდენტის კომპეტენცია არ არის. კლუბის წარმომადგენლები რომან შოთაძე და მურთაზ ხურცილავა აქ არიან.

— მეორე მხრიდან?

— მიხეილ სურგულაძე და მისი რამდენიმე საქმოსანი ნაცნობ-მეგობარი.

— რა რაოდენობის თანხაზეა ლაპარაკი?

— კონკრეტულ ციფრს ვერ გეტყვით. საქმე ისაა, რომ ტრანსფერები ყველა ქვეყანაში დაკეტილია და არავინ იცის, მწვრთნელისთვის სასურველი ფეხბურთელები რამდენს მოითხოვენ. თანამშრომლობა ხომ კლუბის ფეხბურთელებით გაძლიერებასაც ითვალისწინებს. შესაძლო ხარჯები ჯერ არ დათვლილა. თუმცა ლაპარაკი კაპიკებზე არ არის. „დინამო“ ძლიერ მოლონიერდება.

— მწვრთნელისთვის სასურველი ფეხბურთელები ვინ არიან?

— ეგ ხურცილავამ იცის. აქ არ უთქვამს. მაისამდე, ალბათ, იტყვის. ყოველ შემთხვევაში, „ფინანც შპორტ პრომუშენი“ საშუალო ევროპული კლასის ფეხბურთელთა ყიდვაზე თანახმაა. მათი დახმარებით „დინამომ“ ლიგის ჯგუფში უნდა ითამაშოს.

ერთი სიტყვით ასე — თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის კარიბჭესთანაა. შეძლებენ ისინი ჯერ ქვეყნის ჩემპიონობას, მერე კი ზღურბლზე გადაბიჯებას? მაისი და ზაფხული მალე მოვა. მაშინ ვნახავთ.

და ერთიც. გერმანიამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტსა და გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას შვეიცარიაში შეუვლიათ. ისინი იქაურ „ტელესპორტს“ შეხვდნენ და ჟორდანიას თქმით, რომ არ ელოდნენ, ისეთი კმაყოფილები დარჩენილან.

კობა ინასარიძე

გერმანია თუ ჰოლანდია?

დავით მუჯირს რომან შოთაძის ეიმედება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი დავით მუჯირი ჯერჯერობით ისევ უგუნდოდაა. ამერიკული MLS-ის ლიგის „ნიუ იორკ ნიუ ჯერსი მეტროსტარზიდან“ დაბრუნების შემდეგ მის „დინამოში“ დაბრუნებაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ მუმუმ კატეგორიულად არ ისურვა საქართველოში თამაში. იგი მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს, რათა სათამაშო ფორმა არ დაკარგოს, თუმცა სათამაშო პრაქტიკის არქონა, ალბათ დამეთანხმებით, ფეხბურთელზე ძალიან მოქმედებს. ასეა თუ ისე, დათო მუჯირს უცხოეთში წასვლის შესაძლებლობა კვლავ არ დაუკარგავს.

მუმუს გერმანიისა და ჰოლანდიის ვარიანტები ჰქონია, კერძოდ, ამ ქვეყნების უმაღლესი დივიზიონის გუნდებზეა საუბარი. ამ დღეებში გერმანიას გაემგზავრა „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე და შესაძლოა, მუმუს რომელიმე ბუნდესლიგური ან ჰოლანდიური კლუბიც კი გაუხერხოს.

მანამდე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა გიგლა იმნაძემ მუჯირი საუკრაინო და სასლოვენიო მატჩებისთვის გამოიძახა. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება ყველაფერი.

გიორგი ვაშაკიძე

მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი

„ა“ ქვეჯგუფი

აკადემია	14	12	1	1	36:5	37
ყვარელი	14	11	3	0	30:6	36
ღარწყალი	14	10	4	0	31:11	34
ხალიბი	14	9	0	5	28:15	27
არსენალი 2	14	7	2	5	23:14	23
დინამო 3	14	7	1	6	17:21	22
ჭაბუკიანი	14	8	1	5	23:17	22
ალგეთი	14	7	0	7	26:20	21
ზოოვეტი	14	6	3	5	28:24	21
კახეთი	14	5	3	6	19:24	18
უნივერსიტეტი						
იბერია	14	3	4	7	14:20	13
სამგორი	14	3	3	8	20:27	12
მრეტები	14	1	1	12	13:34	4
ალაზანი	14	1	0	13	11:49	3
ქანაგკო	14	1	2	11	10:41	2

„ჭაბუკიანს“ და „ქანაგკოს“ დაკლებული აქვთ 3-3 ქულა

„ბ“ ქვეჯგუფი

დინამო 2	13	11	0	2	34:12	33
ცხინვალი	13	10	1	2	38:10	28
ლოკომოტივი 2	13	9	1	3	38:17	28
ქარელი	13	9	1	3	25:9	28
ივერია	13	8	3	2	35:15	27
გახთიადი	13	6	3	4	21:21	21
ცხუმი	13	5	2	6	27:21	17
იბერია	13	5	1	7	31:30	16
საუ	13	4	3	6	19:23	15
მესხეთი	13	4	3	6	22:28	15
თორი	13	4	1	8	17:23	13
დილა 2	13	2	2	9	21:34	8
ჟინერი	13	1	2	10	18:73	5

„ცხინვალს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

დასავლეთი

„ა“ ქვეჯგუფი

სულორი	12	11	1	0	34:9	34
მარგვეთი	12	10	2	0	43:15	32
მეშახტე	12	9	1	2	28:13	28
გაგრა	12	9	0	3	26:12	24
სამგურალი 2	12	7	2	3	25:20	23
ოკეანე	12	6	1	5	14:20	19
რიონი	12	4	1	7	17:17	13
რაჭა	12	4	0	8	20:26	12
ტორპედო 2	12	3	1	8	13:21	10
საირმე	12	3	1	8	7:21	7
ჩიხურა	12	2	2	8	15:32	5
იბერია 2	12	1	1	10	10:28	4
მაღაროელი	12	1	3	8	18:36	3

„გაგრას“ „საირმეს“ და „მაღაროელს“ დაკლებული აქვთ 3-3 ქულა

„ბ“ ქვეჯგუფი

კოლხეთი	12	9	2	1	37:7	29
სქური	12	8	1	3	34:23	25
მერცხალი	12	7	1	4	23:14	22
ფაზისი	12	7	1	4	19:10	22
შუქურა	12	7	1	4	23:19	22
ენგური	12	6	3	3	25:19	21
კოლეჯი	12	6	3	3	16:11	21
სამეგრელო	12	4	3	5	16:16	15
ეგრისი	12	3	4	5	16:20	13
ბახმარო	12	3	2	7	10:23	11
ოდიში 2	12	2	4	6	13:22	10
სალხინო	12	2	0	10	19:43	6
კოლხეთი 2	12	1	1	10	10:34	4



სარბიელის არქივიდან

არ ვარ მე ის კაცი!

ინგლისში გამოიცა წიგნი სახელწოდებით „როგორ მოვიპაროთ ხმები“. დევიდ იალოპის ამ ნაშრომის დედააზრი ის არის, რომ ამხილოს ფიფა-ს ამჟამინდელი პრეზიდენტის, შვეიცარიელი იოზეფ ბლატერის შავბნელი წარსული.

წიგნში მოთხრობილია სხვადასხვა ამბები, სადაც ბლატერი მუდამ უარყოფითადაა წარმოჩინებული. დიდი ნაწილი ეთმობა ფიფა-ს პრეზიდენტის შარშანდელ კენჭისყრას, სადაც ავტორისეული ვერსიით ბლატერმა მომხრეები მოისყიდა და ჟოაო აველანჟის სავარძელი დაისაკუთრა.

სკანდალური წიგნის პრეზენტაციამ ორაზროვანი გამოხმაურება ჰპოვა, ხოლო ბლატერისგან ადვილი მისახვედრია, რომ კრიტიკა დაიმსახურა: „მე არ მესმის, რა უნდა ავტორს. წიგნში მოყვანილი ფაქტები, ოფიციალურად ვაცხადებ, სიყალბეა და მატყუარა საკადრისად უნდა დაისაჯოს.“ ბლატერისავე თქმით, იგი მბრალდებელის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას არ აპირებს, რადგან ეს უაზრობად მიაჩნია.

ორს ჩვენგან ვანგაალიზმი

ამბობენ, ვან გაალისგან გამოწვეული დაავადება და მეოცე საუკუნის შავი ჭირი — შიდსი მხოლოდ ერთი რამით განსხვავდებაო: პირველი იკურნება, მეორე კი ... შიდსით დაავადებულნი სომხების მიერ გამოგონილ „არმენიკუმს“ შესცქერიან იმედის თვალით, კატალონიაში კი მაშველად ხოსე ლუის ნუნიესი მიაჩნიათ. „ბარსელონას“ ვანგაალიზმისგან მხოლოდ იგი თუ მოარჩენს.

საშინელი დაავადება შეჰყრია კატალონიას — ვანგაალიზმი. ჯერჯერობით ეს ვირუსი მხოლოდ დასავლეთ ესპანეთში გავრცელებულა, თუმცა მომავალს არც ისე კარგი პირი უჩანს. ვანგაალიზმის ნაირსახეობის ნიშნები მადრიდშიც შეუმჩნევიათ და პირინეის ნახევარკუნძულის სხვა ქალაქებშიც, მაგრამ თუ იქ, ბარსელონასგან მოშორებით, ამ ვირუსს ასე თუ ისე ებრძვიან, კატალონიაში ვერაფერს უხერხებენ.

ხალხი შეწუხებულია ვანგაალიზმით, „ბარსელონას“ თავკაცობა კი ვერც ამჩნევს, როგორ სნეულდება კლუბი განკურნებადი ვირუსით. ესპანელები ნაღვლობენ, ებრძვიან დაავადებას...

დაილოცოს ქართული ფეხბურთი — მას ვანგაალიზმი და ამდაგვარი ვირუსები, ალბათ, კიდევ ასი წელი არ შეეყრება. კაცმა რომ თქვას, განა რა სასურველია?

მაინც, რა ფორმით გამოვლინდა ვანგაალიზმი „ბარსელონაში“? — კლუბის ტოტალური გაჰოლანდიურებით. დღესდღეობით, როცა ამ სიტყვებს კითხულობთ, „ბარსელონაში“ ჰოლანდიელი მწვრთნელის წყალობით ლამის აღარ დარჩა ხეირიანი ესპანელი მოთამაშე. კლუბი გადაივსო და არა გაივსო ლეგიონერებით, რომელთაგან ნახევარს ჰოლანდიელები შეადგენენ.

მაინც არ გჯერათ? კეთილი, დავთვალოთ: „ბარსელონას“ მეკარე რუდ ჰესპი — ეს ერთი, მცველები — მიხაელ რაიიგერი, უინსტონ ბოგარდი და ფრანკ დე ბური — ეს ოთხი, ნახევარმცველები — ფილიპ კოკუ, ბუდვეინ ზენდენი და რონალდ დე ბური — ეს შვიდი; თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი — ეს რვა. არაა საკმარისი?

რამდენი მოთამაშეა გუნდში? — თერთმეტი! განა სამარცხვინო არ არის, რომ ასეთი ტრადიციების კლუბში სხვა ქვეყნის რვა ფეხბურთელია? მიუხედავად იმისა, რომ ყოველ შეხვედრაში რვავე არ არის მინდორზე (კიდევ კარგი), სანუგეშო არაფერია — ხუთი-ექვსი გადამთიელი, ძირითადად ჰოლანდიელია, კატალონიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ყოველთვისაა.



სარბიელის არქივიდან

ედვინ ვან დერ სარი — ვანგაალიზმის პოტენციური მსხვერპლი

ვანგაალიზმის საშინელების მთლიანად წარმოსადგენად აქვე დავძენ, რომ კლუბის მწვრთნელიც ჰოლანდიელია!

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — არის კი „ბარსელონა“ ესპანური კლუბი? პასუხი ნათელია: არის, იყო და იქნება. „ბარსელონა“ არასდროს გახდება არაესპანური კლუბი, მიუხედავად იმისა, რომ ამის საშიშროება უკვე არსებობს. ადრე თუ გვიან ვანგაალიზმიც დამარცხდება, ისევე, როგორც ვენგერიზმი და სხვა ათასი რამ. ვენგერიზმზე გამახსენდა — თუ ბარსელონა ვანგაალიზმითაა დასნეულებული, ლონდონის ერთი ნაწილი ვენგერიზმს, არანაკლებ საშინელ დაავადებას შეუპყრია.

და მაინც, რა ბედენაა ერთ კლუბში ცხრა ჰოლანდიელი? ღმერთმა დაგვიფაროს.

სასაცილოა: ჩვენ ვანგაალიზმით დასნეულებულ „ბარსელონაზე“ ვბჭობთ, კატალონიელთა სიამაყეს შეფარებული პარაზიტი ლუის ვან გაალი კი სულ უნამუსოდ იქცევა. გუშინ განაცხადა, ამსტერდამის „აიაქსიდან“ ედვინ ვან დერ სარის გადაბირება მინდაო.

ჰმ!

ლაშა გოდუაძე

სარბიელის არქივიდან

კლაუდიო რანიერი

რანიერის მანევრები

ესპანეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსან „ვალენსიას“ იტალიელმა თავკაცმა კლაუდიო რანიერიმ გუშინ საფეხბურთო სამყაროს ამცნო, რომ მომდინარე სეზონის ბოლოს კლუბის დატოვებას აპირებს. ამის თქმა იყო და ცნობილი სპეციალისტი ესპანელ ჟურნალისტთა ალყაში აღმოჩნდა. მედიის მსახურთ, რა თქმა უნდა, უმთავრესად რანიერის სამომავლო გეგმები აინტერესებდათ.

— ძალიან მსურდა, მუშაობა „ვალენსიაში“ გამეგრძელებინა, მაგრამ სურვილი სურვილადვე დარჩა. ჩემი ვალენსიური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა — თქვა იტალიელმა მწვრთნელმა.

წარსულში „ფიორენტინასა“ და „ნაპოლის“ თავკაცმა კვირის დასაწყისში ისიც გაანდო ჟურნალისტებს, რომ რამდენიმე ესპანური და იტალიური გრანდი ეპატიჟება, თუმცა დაამატა, „ვალენსიასთან“ ხელშეკრულების დასრულებამდე კლუბის წარმატებებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებო. რანიერისა და მისი გუნდის კონტრაქტის ვადა წლეულს ივნისის ბოლოს იწურება.

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ კლაუდიო რანიერი ქვეყანას არ დატოვებს და დედაქალაქურ „ატლეტიკოს“ ჩაუდგება სათავეში. ამის დიდი სურვილი მადრიდელთა პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილსაც ჰქონია.

გერმანიის ჩემპიონატის ლიდერის, მიუნხენის „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა უარყო ხმები, თითქოსდა კლუბი ფრანგული პსჟ-დან კრისტიან ვიორნსის შეძენას აპირებს. გერმანულ პრესაში ამის თაობაზე ორიოდ დღის წინ დაიწერა, მაგრამ ჰიონესმა ეჭვები გაფანტა: „ჩვენ ვესაუბრეთ ვიორნსს, მაგრამ იმასაც გადაჭრით გეტყვით, რომ იგი „ბაიერნში“ არ გადმოვა“. სპორტულ ჟურნალ „შპორტბილდში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, „ბაიერნი“ ყაბულს იყო, პსჟ-სთვის ვიორნსის სანაცვლოდ 5,5 მილიონი დოლარი გადაეხადა. შეგახსენებთ, რომ სანამ პსჟ-ში გადავიდოდა, კრისტიან ვიორნსი ლევერკუზენის „ბაიერში“ თამაშობდა. მცველს გერმანიის ნაკრებში 24-ჯერ უთამაშია.

ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ნორდინ ვუტერმა ესპანური „სარაგოსას“ დატოვება გადაწყვიტა. მას შემდეგ, რაც იგი 1997 წლის ზაფხულში ამსტერდამის „აიაქსიდან“ „სარაგოსაში“ გადავიდა, ესპანური კლუბის შემადგენლობაში იშვიათად თამაშობს, ეს კი თავდამსხმელს გულს უტეხს. „კარიერა სხვაგან თუ არ გავაგრძელე, მომავალში გამიჭირდება“ — განაცხადა 21 წლის ვუტერმა.

საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ფლორიან მორისი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „სოშოსთან“ მატჩში დაშავდა, შესაძლოა, დროზე გამოჯანმრთელდეს და მარსელის „ოლიმპიკს“ უეფას თასზე ვიგოს „სელტასთან“ ორთაბრძოლაში შეუერთდეს. პირველ შეხვედრაში, რომელიც ფრანგებმა 2:1 მოიგეს, ორივე გოლი სწორედ მორისმა გაიტანა. „ძალიან მინდა, ვიგოელთა წინააღმდეგ ვითამაშო. მსურს, „მარსელს“ უეფას თასის მოპოვებაში დავეხმარო“ — განაცხადა თავდამსხმელმა, რომელიც დღესდღეობით სარეაბილიტაციო კურსს გადის.

იტალიაში გარიგება შედგა: სერია A-ს აუტსაიდერ „სალერნიტანას“ საუკეთესო თავდამსხმელი მარკო დი ვაიო „პარმაში“ გადავიდა. შეგახსენებთ, გასულ სეზონში, როცა „სალერნიტანა“ ქვედა ლიგაში ასპარეზობდა, ფეხბურთელი სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. იტალიური პრესის ცნობით, „პარმამ“ მის სანაცვლოდ მაჩანჩალა კლუბს 10 მილიონი გადაუხადა. რამდენწლიანი კონტრაქტი გაფორმა 23 წლის ფორვარდმა ახალ კლუბთან, ჯერჯერობით უცნობია. ორივე გუნდი და ფეხბურთელი კომენტარისგან თავს იკავებს. დი ვაიომ, რომელიც ერთი ხანობა „ლაციოშიც“ თამაშობდა, ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ოთხ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა.

ტრინიდადი და ტობაგო 16-27 ივნისს დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს ვეტერან ფეხბურთელთა მონაწილეობით. კონკაჟაფის პრეზიდენტმა ჯეკ უორნერმა ზაფხულში ფეხბურთის სათამაშოდ განთქმული მოთამაშეები მიიწვია. უორნერის წინადადებას ზიკო, კარეკა, კარლ ჰაინც რუმენიგე, გლენ ჰოდლი, ერიკ კანტონა და სხვები გამოეხმაურნენ. მილანში ოფიციალურად დაადგინეს ტურნირის წესდება, პრესაში კი იგი ვეტერანთა არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატად მონათლეს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში პრემიერლიგის კლუბმა „ქოვენთრიმ“ იჩივლა, ბირმინგემის „ასტონ ვილა“ ჩვენი კლუბის ჰოლანდიელ თავდამსხმელ ჯორჯ ბოატენგს ჩვენს გარეშე ესაუბრებოდაო. „ქოვენთრის“ თავმჯდომარემ ბრაიან რიჩარდსონმა „ასტონ ვილას“ თავკაცებს ბრალი დასდო იმაში, რომ ისინი ფეხბურთელის დაყაბულებას „ქოვენთრის“ ხელმძღვანელობის გვერდის ავლით ცდილობდნენ. რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „ასტონ ვილა“ ბოატენგში 6,5 მილიონ დოლარს იხდის, არადა, ჰოლანდიელი თავდამსხმელი „ქოვენთრიმ“ 1997 წლის დეკემბერში როტერდამის „ფეიენორდისგან“ მხოლოდ 406 ათას დოლარად შეიძინა.

ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის, „ვასკო და გამას“ ფეხბურთელებმა განაცხადეს, რომ მათ ქვეყნის თასზე თამაშის წინ პოლიციელები დაესხნენ თავს. „ვასკო და გამას“ მცველის, ფელიპეს თქმით, პოლიციელები ფეხბურთელებს ავტობუსში აუვარდნენ, იარაღის მუქარით სიტყვიერად შეურაცხყვეს და მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ერთ-ერთმა მოთამაშემ პირადობის მოწმობა დაგვიანებით წარმოადგინა.

შვედი თავდამსხმელი მარტინ დალინი ბუნდესლიგის „ჰამბურგში“, ალბათ, ველარც ითამაშებს. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი „ჰამბურგის“ შემადგენლობაში ვერა და ვერ ხვდება, ხოლო როცა თამაშობს, გოლი ვერ გააქვს. კლუბის ექიმების თქმით, დალინი უკანალის ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე დაისვენებს, სწორედ იმ დროისთვის კი მას კონტრაქტი ეწურება. 30 წლის თავდამსხმელი „ჰამბურგში“ ინგლისური „ბლექბერნ როვერსიდან“ გადავიდა. შეგახსენებთ, რომ 1979-80 წლების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში „ჰამბურგმა“ თბილისის „დინამო“ თბილისში 3:2 დაამარცხა.

უკრაინის ნაკრების თავდამსხმელის, ანდრეი შევჩენკოს მეთერთმეტე გოლმა კიევის „დინამოს“ ქვეყნის ჩემპიონატში მარიუპოლის „მეტალურგთან“ გაამარჯვებინა. პირველი წრის შემდეგ კიევის „დინამო“ უკრაინის პირველობას ერთპიროვნულად ლიდერობს — მდევარ „შახტიორს“ ორი ქულით უსწრებს, თან დონეცკელებზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. ტურის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: დნეპრი — პრიკარპატიე 0:0, შახტიორი — კრივბასი 1:1, მეტალისტი (ზაპოროჟიე) — ვორსკლა 0:1, ტავრია — ნივა 1:0.

ინგლისის ნაკრებში ცხრაჯერ ნათამაშევი სტივ სტოუნი პრემიერლიგის მაჩანჩალა „ნოტინგემ ფორესტიდან“ „ასტონ ვილაში“ გადავიდა. ბირმინგემელებმა 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 8,9 მილიონი დოლარი გადაიხადეს. სტოუნმა, რომელსაც კარიერის უმეტესი ნაწილი ნოტინგემის კლუბში გაუტარებია, ახალ გუნდთან ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი გაფორმა. საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც „ასტონ ვილას“ ჯონ გრეგორი ჩაუდგა სათავეში, კლუბმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად 48,8 მილიონი დოლარი დახარჯა. სტოუნამდე „ასტონ ვილამ“ პოლ მერსონი, დიონ დაბლინი, ალან ტომპსონი და სტივ უოტსონი იყიდა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „მარსელი“ და „ტულუზი“ შესაბამისად 16 და 13 ათასი დოლარით დააჯარიმა, რადგან ამ გუნდების შეხვედრისას, 14 თებერვალს, სტადიონზე გაუგებრობა მოხდა. „ტულუზმა“ „მარსელი“ შინ 1:0 დაამარცხა, რაც სტუმართა ქომაგებმა ვერ აიტანეს და ტრიბუნებზე მაშხალები ისროლეს. ამან კი ორი ფეხბურთელი დააზიანა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

რაინსტაგიდან უემბლიმდე

„უემბლი“ გაიყიდა! მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტურული ნაგებობა ამიერიდან ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საკუთრებაა.

— ეს ფეხბურთის სახლია. „უემბლი“ ჯადოსნური ადგილია — თქვა სტადიონის მწვანე საფარზე მდგარმა სერ ბობი ჩარლტონმა მას შემდეგ, რაც ლეგენდარულ სარბიელს 106 მილიონი გირვანქის ანუ 172 მილიონი დოლარის გადამხდელი ახალი პატრონი გამოუჩნდა.

როგორც იცით, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია — ფიფა 2000 წლის მარტში გადაწყვეტს, რომელ ქვეყანაში გაიმართება პლანეტის უმთავრესი საფეხბურთო შეჯიბრი 7 წელიწადში. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ ინგლისი, ეგვიპტე, ბრაზილია, განა, გერმანია, მაროკო, სამხრეთ აფრიკა და ნიგერია. კონკურენცია მართლაც დიდია და ამიტომ ყოველი ქვეყანა უკვე დღეს ცდილობს, რაც შეიძლება კარგად გაეჩარჩოს იოზეფ ბლატერის სამფლობელოს. ახალი „უემბლიც“ უმთავრესად მაგისთვის იქმნება, იგი ინგლისის კოზირი, სავიზიტო ბარათი იქნება.

1923 წელს აშენებული მრავლისმნახველი სტადიონი განახლების შემდეგ 80 ათას ქომაგს დაიტევს. სავარაუდოდ, მისი რეკონსტრუქცია 250 მილიონი გირვანქა (380 მილიონი დოლარი) დაჯდება.

— განახლებული „უემბლი“ დიდ როლს ითამაშებს ფიფას მომავალ გადაწყვეტილებაზე. მისი ნახვის შემდეგ გულგრილი ვერავინ დარჩება — ეს სიტყვები კიდევ ერთ დიდ ინგლისელს, ჩარლტონის თანაგუნდელს, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰეთ-თრიქის შემსრულებელ სერ ჯეფრი ჰერსტს ეკუთვნის.

ალენ მაკგივენი, 2006 წლის მსოფლიოს პირველობის სამასპინძლო ინგლისური კომპანიის დირექტორი:

— დღეს დიდი ნაბიჯი გადაიდგა. ახალი „უემბლი“ მეტად წაგვადგება სამომავლოდ. ახლა მთავარია, საქმეს მივხედოთ და „უემბლის“ შვილობილი არანაკლებ ლამაზი შევქმნათ, ვიდრე მისი წინამორბედი იყო.

ერთადერთი პრობლემა, რომელიც ამჟამად ინგლისელთა წინაშე დგას, სტადიონის შესასვლელის ორი თაღი და მისი მომავალია. ზოგი ამტკიცებს, რომ „უემბლის“ ეს ნაწილი ინგლისისთვის ისეთივე ძვირფასია, როგორც ბიგ ბენი ანაც უილიამ შექსპირი და იგი განახლებულ ვარიანტსაც უნდა ამშვენებდეს. ზოგის აზრით, ორთაღიანი სტადიონის დატოვება არქიტექტურული თვალსაზრისით გამორიცხულია. ტრადიციის მოყვარული ინგლისელები ამ საკითხზე, ალბათ, კიდევ დიდხანს იმსჯელებენ.

ბრიტანეთში უკვე იმასაც ამბობენ, რომ განახლებული „უემბლის“ დახმარებით მეორე კურდღელის დაჭერაც შეიძლება — არ არის გამორიცხული, 2003 წლის მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს სწორედ ამ სარბიელმა უმასპინძლოს.

ინგლისის კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთმა შეფმა კრის სმიტმა განაცხადა, მაღე „უემბლი“ მსოფლიოს ულამაზესი სტადიონი იქნებაო.

— ეს მშვენიერი ადგილი იქნება სარაგბო მატჩების, სამძლეოსნო შეჯიბრებების და ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად. აღარაფერს ვამბობ საფეხბურთო ზეიმებზე — დაამატა სმიტმა.

„უემბლის“ ადრეც უმასპინძლია უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიებებისთვის. 1948 წელს აქ ოლიმპიური თამაშები გაიმართა, 1966-ში — მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა. ასევე, დღიდან მისი აშენებისა, აქ ქვეყნის ასოციაციის თასის გათამაშების გადამწყვეტი მატჩები იმართება. რეკონსტრუქციამდე ამ თასის ბოლო ფინალი სავარაუდოდ გაისად შედგება.

დაბოლოს, „უემბლის“ განახლებას ცნობილი დიზაინერი და არქიტექტორი სერ ნორმან ფოსტერი უხელმძღვანელებს, ადამიანი, რომლის მდიდარი ბიოგრაფიის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა რაინსტაგის შენობის რეკონსტრუქცია გახლავთ.

დავით ძოგზირიძე

REUTERS ლონდონიდან

ინგლისური ფეხბურთის ორმა ლეგენდამ სერ ბობი ჩარლტონმა და სერ ჯეფრი ჰერსტმა ახლადგაყიდულ „უემბლიზე“ ახალგაზრდობა გაიხსენეს

ლიბერტადორესის თასის გათამაშება



REUTERS ლონდონიდან

უნივერსიდად კატოლიკა — უნივერსიტარიო 1:0. ჩილელმა მიგელ რებოსიომ (წინ) პერუელ მეტოქე ლუის მენას აჯობა

„სერო პორტენო“, უსახელო პარაგვაული კლუბი, ბრაზილიის „კორინთიანსმა“ აღგავა პირისაგან მიწისა. განა შეიძლება ადამიანმა სხვა რამ უწოდო პარაგვაელთა დამარცხებას? შეძლებით, იცოცხლეთ, ყველაფერი შეიძლება მოიგონოს ადამიანმა, მაგრამ „სერო პორტენოს“ მარცხს ბრაზილიის ჩემპიონთან, საეჭვოა, ამაზე უარესი გამოხმაურება ჰქონდეს.

2:8! ასეთი რამ ფეხბურთში დღესდღეობით ძალიან იშვიათად ხდება. ასე ერთპიროვნული მაჩანჩალები აღარ აგებენ ლიდერებთან. „სერო პორტენო“ აუტსაიდერი და სუსტი კლუბი სულაც არაა. არც „კორინთიანსია“ უძლეველი და დაუმარცხებელი, მაგრამ ის, რაც პარაგვაელებს ბრაზილიელებისგან დაემართათ, გასაოცარია.

ალბათ, წარმოგიდგენიათ, როგორ შეხვდებოდა პარაგვაის საფეხბურთო სამყარო თანამემამულეთა მარცხს. „სერო პორტენოს“ პრეზიდენტ ლუის ლესკანოსგან ხალხი რაღაც გაუგონარს ელოდა, მაგრამ მან აუღელვებლად აღიქვა წაგება, თუმცა მწვრთნელზე ისეთი რამ თქვა, გუნდის თავკაცისთვის მიწის გასკდომა და ქვესკნელში ჩავარდნა უკეთესი იქნებოდა: „იმედია, ბატონ პერეირას ეყოფა ნამუსი და პარაგვაიში დაბრუნებამდე თანამდებობიდან გადადგება“. ცხადია, მიხვდით, რომ ჟაირ პერეირა „სერო პორტენოს“ მწვრთნელია. ასეთი მარცხის შემდეგ მართლაც უნამუსო უნდა იყო ადამიანი, რომ თანამდებობიდან არ წახვიდე.

„სერო პორტენო“, რომელიც მუდამ პარაგვაის მეორე კლუბის „ოლიმპიას“ მიერ იყო დაჩრდილული, ასეთი საშინელი სხვაობით კარგა ხანია, არ დამარცხებულა. კარგა ხანიაო, იმიტომ ვამბობთ, რომ 1962 წელს „სერო პორტენო“ კიდევ ერთმა ბრაზილიურმა კლუბმა, „სანტოსმა“ 9:1 გაანადგურა. მაშინ „სანტოსში“ ფეხბურთის მეფე პელე ქუხდა...

„სერო პორტენოს“ წინაალმდეგ კორინთიანსელთა თავდამსხმელ ფერნანდო ბაიანოს რომ არ ეთამაშა, ეგებ მარცხი მისაღები მაინც ყოფილიყო, თუ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია.

ფერნანდო ბაიანომ, რომელიც წლევანდლამდე გუნდის სათადარიგო თავდამსხმელი იყო, პარაგვაელებს ხუთი(!) გოლი გაუტანა, თან მე-16 წუთისთვის უკვე ჰეთ-თრიქის ავტორიც გახლდათ. თავდამსხმელი ამ გმირობის წყალობით დღეს უკვე ლიბერტადორესის თასის მიმდინარე გათამაშების ბომბარდირია.

— ხუთი გოლი ერთ მატჩში არასდროს გამიტანია. მიხარია, რომ ეს შევძელი და გუნდს დიდი გამარჯვება მოვაპოვებინე. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ გუნდს დავამწუხრებთ — განაცხადა ფერნანდო ბაიანომ.

ბრაზილიური პრესის ცნობით, „კორინთიანსის“ პრეზიდენტ ჟოზე ალვარო კორკრედიოს ფეხბურთელები წაუხალისებია — თითოეულს ათას-ათასი დოლარი უბოძა.

...გუშინ გვიან ღამით სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პარაგვაის „სერო პორტენო“ ბრაზილიელ მწვრთნელ ჟაირ პერეირას დაემშვიდობა. პერეირა, რომელიც „სერო პორტენოში“ მისვლამდე სამშობლოში უსაქმოდ იყო, კვლავ სამუშაოს ძებნას შეუდგა. ვითომ მიაბარებენ მას გუნდს?

I ჯგუფი

ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა)	2	2	0	0	4:2	6
ნასიონალი (ურუგვაი)	2	2	0	0	3:1	6
მონტერეი (მექსიკა)	3	0	1	2	3:5	1
ბელა ვისტა (ურუგვაი)	3	0	1	2	2:4	1

II ჯგუფი

დეპორტივო კალი (კოლუმბია)	2	2	0	0	2:0	6
კალდასი (კოლუმბია)	3	1	1	1	4:2	4
ველეს სარსფილდი (არგენტინა)	2	0	2	0	1:1	2
ვივერ პლეიტი (არგენტინა)	3	0	1	0	2:6	1

III ჯგუფი

კორინთიანსი (ბრაზილია) 8:2 სერო პორტენო (პარაგვაი)

1:0 ედილსონი (5), 2:0, 3:0, 4:0 ფერნანდო ბაიანო (9, 13, 16), 5:0 ინდიო (33), 5:1 კაბალიერო (36ბ), 6:1 ფერნანდო ბაიანო (45), 7:1 სილვინიო (53), 7:2 ტოლედო (85), 8:2 ფერნანდო ბაიანო (88)

პალმეირასი (ბრაზილია)	3	2	0	1	9:6	6
კორინთიანსი (ბრაზილია)	2	1	0	1	8:3	3
ოლიმპია (პარაგვაი)	2	1	0	1	7:6	3
სერო პორტენო (პარაგვაი)	3	1	0	2	8:16	3

IV ჯგუფი

უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) 1:0 უნივერსიტარიო (პერუ)

1:0 ვარგასი (47)

უნივერსიტარიო (პერუ)	3	2	0	1	4:2	6
უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)	3	1	1	1	2:2	4
კოლო კოლო (ჩილე)	2	1	0	1	1:2	3
სპორტინგ კრისტალი (პერუ)	2	0	1	1	2:3	1

V ჯგუფი

ლიგა დე კიტო (ეკვადორი)	2	2	0	2	7:2	6
ემელეკი (ეკვადორი)	3	2	0	1	5:6	6
ბლუმინგი (ბოლივია)	2	0	1	1	0:1	1
ვილსტერმანი (ბოლივია)	3	0	1	2	3:6	1

შენიშვნა: შემდეგ ეტაპზე ჯგუფებიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. ლიბერტადორესის თასის ბოლო მფლობელი ბრაზილიის „ვასკო და გამა“ მეორე ეტაპზე პირდაპირაა დაშვებული.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ბრძოლა

EURO 2000

VI ჯგუფი. ესპანეთი - ავსტრია

ესპანეთის ნაკრებში რამდენიმე ახალწვეულია — ხოსე ანტონიო კამაჩომ, რომელმაც ხავიერ კლემენტესგან ერთი შეხედვით გადაბერებული გუნდი ჩაიბარა, ნაკრების გადახალისება გადაწყვიტა.

27 მარტს, ვალენსიაში ესპანელებს მძიმე შეხვედრა ელით ავსტრიასთან და კამაჩოც ცდილობს, რაც შეიძლება ძლიერ შემადგენლობას მოუყაროს თავი. მან ნაკრებში დაბრუნა „ბარსელონას“ გამოჯანმრთელებული ნახევარმცველი ხოსეპ გვარდიოლა, მის გვერდით ნახევარდაცვაში სათამაშოდ კი გაძლიერებული „ვალენსიას“ შუახაზელები მენდიეტა და ანგულო მიიწვია. ახალწვეულები არიან მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი ხოსე რომერო და სანტანდერის „რასინგის“ წინახაზელი პედრო მუნიტისი, თუმცა მათ ესპანეთის ნაკრების ღირსების დაცვა, იშვიათად მოუწევთ.

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — სანტიაგო კანისარეს რუისი (ვალენსია), ანტონიო „ტონი“ ხიმენეს სისტაჩსი (ესპანიოლი); მცველები — სერხი ბარხუან ესკურსა (ბარსელონა), ავგუსტინ არანსაბალ ალკორტა (სოსიედადი), ფერნანდო რუის იერო (რეალი), მიჩელ სალგადო ფერნანდესი (სელტა), კარლოს გარსია გარსია, რობერტო რიოს პატესი (ბილბაო); ნახევარმცველები — ხავი გონსალეს გომესი (ბილბაო), ხოსეპ გვარდიოლა სალა, ლუის ენრიკე მარტინეს გარსია (ბარსელონა), გაისკა მედიეტა საბალია, მიგელ ანხელ ანგულო ვალდერეი (ვალენსია), ვინსენტე ენგონგა მატე (მალიორკა), ხუან კარლოს ვალერონ სალანა (ატლეტიკო), ივან ელგერა (ესპანიოლი); თავდამსხმელები — რაულ გონსალეს ბლანკო (რეალი), ისმაელ ურსაის არანდა, ხოსება ეჩებერია ლისარდი (ბილბაო), დანიელ დანი გარსია ლარა (მალიორკა), ხოსე მარია რომერო პოიონი (ატლეტიკო), პედრო მუნიტის ალვარესი (რასინგი).

საერთაშორისო ტურნირი. ამერიკის თასი

მექსიკა 2:1 ბოლივია

0:1 ოჩაისპური (4), 1:1, 2:1 სანჩესი (54, 64)

მექსიკა: რიოსი, სანჩესი, სუარესი, პარდო (ლარა 67), კარმონა (გარსია 79), სეპედა, კაბრერა (გარსია ასპე 46), ჩავესი (რამირესი 46), ბლანკო, ლუის ერნანდესი (ვილა 88), აბუნდისი

ბოლივია: ბარერო, ოჩაისპური, სანდი, ი. კასტილიო, სანჩესი, პენია, ს. კასტილიო, ეჩევერი, კრისტალდო, მორენო (ბერტი 78), კოიმბრა

მსაჯი: ტინ ვეილანდი (აშშ)

აშშ 3:1 გვატემალა

1:0 მური (22), 2:0 მაკბრაიდი (37), 2:1 პერესი (51ბ), 3:1 ჰეიდუკი (90)

აშშ: ტორნტონი, კ. ჯ. ბრაუნი, ლამოსა, აგუსი, ლუისი, უილიამსი, მური, ოლსენი (ჰეიდუკი 63), კიროვსკი, რაზოვი (არმასი 60), მაკბრაიტი

გვატემალა: ესტრადა, ხირონი, რუანო, ლეიონი (მოლინა 51), ვალენსია, მაჩონი, პერესი, ორტეგა, მირანდა, როხასი, რუისი (როდასი 46)

მსაჯი: ხოსე რობლესი (მექსიკა)

ევროპა აღარაფერს დათმობს

ფიფამ ბევრ რამეზე იმსჯელა და ბევრიც დაადგინა. დავიწყოთ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატით. მოგეხსენებათ სამი წელიწადია ამ თემაზე გამალებულად მუშაობენ. რა იყო აქამდე? აქამდე, ყოველ წელიწადს, იაპონური საავტომობილო კონცერნის, „ტოიოტას“ სპონსორობით ტოკიოს სტადიონზე იმართებოდა ერთადერთი შეხვედრა, რომელსაც საკონტინენტთაშორისო თასის ფინალს უწოდებდნენ. მასში ევროპიდან ჩემპიონთა თასის, ხოლო ლათინური ამერიკიდან კოპა ლიბერტადორესის მფლობელი მონაწილეობდა და გამარჯვებულს კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ეწოდებოდა. ერთი მხრივ, იქნებ, ეს ტიტული ალალიც იყო იმ ერთადერთი შეხვედრის გამარჯვებულზე, რადგან დედამიწის ზურგზე ევროპულ და სამხრეთამერიკულ კლუბებზე ძლიერი არ მოიძებნება, მაგრამ ფორმალურად მსოფლიოს ჩემპიონი უნდა ერქვას კლუბს, რომელიც სხვა კონტინენტების წარმომადგენლებსაც აჯობებს. გარდა ამისა აფრიკის, აზიის და ჩრდილო-ცენტრალური ამერიკის კონფედერაციები ყველა ღონეს ხმარობდნენ, ერთი თამაშის მასშტაბური შეჯიბრებად ქცევასა და მასში თავიანთი გუნდების ჩასართავად.

როგორც მოგახსენეთ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის შესახებ მსჯელობამ სამ წელიწადს გასტანა და 11 მარტის დადგენილებით დასრულდა: ტურნირი მომავალი წლის იანვარში გაიმართება. მასში ექვსი კონფედერაციის წარმომადგენელი ითამაშებს, მაგრამ მათ გარდა იქნებიან საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი და ერთიც იმ ქვეყნის გუნდი, სადაც შეჯიბრებას გამართავენ.

სად გამართავენ შეჯიბრებას? ამის შესახებ ჯერჯერობით, ოფიციალურად, არაფერი უთქვამთ, მაგრამ უეფას პრეზიდენტმა, ლენარტ იუჰანსონმა საუბარში ბრაზილია ახსენა.

კერძოდ, ვინ იქნებიან შეჯიბრების მონაწილენი? სურვილის თანახმად ისინი კონტინენტური თასების გამარჯვებულები უნდა იყვნენ.

„ბუნებრივია მინდა, რომ ევროპა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა წარმოადგინოს, მაგრამ არჩევანის საშუალებას მაინც ვიტოვებ. ვიცი, რომ წამყვანი ქვეყნების უდიდესი კლუბები ფრიად ჭოჭმანობენ. ყველაფერი გადატვირთული კალენდრის ბრალია. ხომ გახსოვთ, კონფედერაციათა თასზე გასაგზავნი გუნდის ჰოვნა როგორ გაგვიჭირდა. დიდი ვაჭრობის შემდეგ გერმანია დავიყაბულეთ. ახლაც ამდაგვარი რამაა მოსალოდნელი, ამიტომ ასჯერ უნდა გავზომოთ და მხოლოდ და მხოლოდ მერე გავჭრათ. ვნახოთ, ვცადოთ რა გამოვა, მაგრამ ერთი რამ უეჭველად ვიცი, მომავალში კიდევ ახალ შეჯიბრებზე საუბარი გამორიცხულია — ბრძანა იუჰანსონმა.

ამრიგად, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2000 წლის 5-14 იანვარს გაიმართება.

რაკი იუჰანსონის სიტყვამ კონფედერაციათა თასი მოიტანა, ახლა მის შესახებ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ფიფამ, რომელიც ძალიან მოწადინებულია ეს შეჯიბრება მნიშვნელოვნად აქციოს, ერთხელაც დაადგინა, რომ იგი მექსიკაში 24 ივლისიდან 4 აგვისტომდე გაიმართება და გაითვალისწინა რა მასპინძელი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა (ქალაქები მეხიკო და გვადალახარა მაღალმთიან რეგიონში გაბლავან) მონაწილე გუნდებს ნება დართო იახლონ არა 18, არამედ 20 ფეხბურთელი.

გარდა ამისა ფიფამ ბრძანა, რომ ნებისმიერი კლუბი ვალდებულია შეჯიბრებამდე ხუთი დღით ადრე გაანთავისუფლოს ის ფეხბურთელები, რომლებსაც კონფედერაციათა თასზე მონაწილეობისთვის მათი ეროვნული გუნდები გამოიძახებენ.

ერთ-ერთი და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ფიფაში შეეხენ, გახლდათ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება. „სარბიელის“ მკითხველს მოეხსენება, რომ ამ შეჯიბრების ორგანიზატორ ქვეყნებს, იაპონიასა და კორეას, მისი ფორმატის შეცვლა ჰქონდათ გულში ამოჭრილი. მათ უნდოდათ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირის მერე მერვედფინალები და მეოთხედფინალები კი არ გამართულიყო, როგორც ეს, ვთქვათ, შარშან საფრანგეთში მოხდა, არამედ ჩატარებულიყო კიდევ ერთი ჯგუფური ეტაპი და ნახევარფინალში მისი გამარჯვებულები გასულიყვნენ.

რა ჰქონდათ მიზნად კორეელებსა და იაპონელებს? ვინაიდან ფიფამ ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი მთლიანად მათ დაუთმო, აზიელებმა ტურნირის რამდენიმე შეხვედრით გაზრდა მოიწადინეს. ასე გამორჩენა მეტი ექნებოდათ.

ფიფამ ორგანიზატორთა პროექტი ჟურად არ იღო და მსოფლიო ჩემპიონატის ფორმატი უცვლელად დატოვა.

„ფორმატი უცვლელად დავტოვეთ. 2002 წელს შეჯიბრება ძირითადად ივნისში უნდა ჩაეტიოს, ამიტომაც მატჩების რაოდენობის გაზდა დაუშვებელი იყო“ — განმარტა იუჰანსონმა.

კიდევ ერთი საკითხი, 2002 წლის პირველობას რომ ეხებოდა: 32 ფინალისტს შორის რამდენი უნდა იყოს აზიიდან?

გავიხსენოთ როგორ არის საგზურები კონფედერაციებს შორის განაწილებული: 15 — ევროპას, 5 — აფრიკას, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკას — 3, სამხრეთ ამერიკას — 4, ამდენივე აზიას, ხოლო დარჩენილი ერთი ადგილი სამხრეთ ამერიკის მეხუთე და ოკეანიის ერთ გუნდს შორის უნდა გათამაშდეს.

საფრანგეთის ჩემპიონატზე აზიის სამი გუნდი კონტინენტზე ნაჩვენები საკვალიფიკაციო შედეგების მიხედვით გავიდა, მეოთხეს კი ოკეანის გუნდთან მოუხდა გადათამაშება.

რა შეიცვალა ახლა? ახლა ის შეიცვალა, რომ, ვინაიდან, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი აზიაში და თან ერთდროულად ორ ქვეყანაში იმართება, მასპინძლის სტატუსით, კონკურსგარეშე, მის ფინალურ ეტაპზე ორი გუნდი ითამაშებს. ასე რომ, კონტინენტის დანარჩენი 40 ქვეყნისთვის რჩება ორად ორი ადგილი.

იუჰანსონმა ამაზე კატეგორიულად განაცხადა, იმედის თვალით ევროპისკენ ნურავინ გამოიხედავს, ჩვენი კუთვნილი ადგილებიდან ერთსაც არ დათმობთო.

„ევროპა მოისმენს ამ თემაზე როგორ იმსჯელებენ სხვები, მაგრამ დათმობით სხვამ უნდა დათმოს. ვგონებ ჩვენ დასათმობიც აღარაფერი გვაქვს, ხომ არ შეიძლება სულ უეფამ დაიხიოს უკან“ — ბრძანა პრეზიდენტმა.

ფიფამ დოპინგის პრობლემასაც გადახედა. საუბარია დოპინგ-ტესტების არა მხოლოდ ოფიციალური შეჯიბრების, არამედ ამხანაგურ მატჩების და ასე განსაჯეთ საწვრთნელი შეკრებების დროს ჩატარებაზეც კი. მსოფლიო ფეხბურთის ბოსებმა აღნიშნეს, რომ ისინი ფრიად კმაყოფილი არიან სტიმულატორებთან ბრძოლის იმ წესებით, რომლებიც მათვე მოიგონეს და არ ეთანხმებიან საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს განზოგადებული, საყოველთაო სასჯელით შემოღებასთან დაკავშირებით.

ფეხბურთში თითოეული ქვეყნის ფედერაცია თავად წყვეტს რა მიუსაჯოს წამლებით გაჯანსაღებაში მხილებულ თავის ქვეშევრდომებს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ პროფესიონალი ფეხბურთელები საფუძვლიანად უნდა შემოწმდნენ და გამოკვლევის შედეგები ტრანსფერების დროს გამოცხადდეს.

პაპუნა ძედია

ვაიმე, ვაიმე...

იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, „მილანის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ კლუბის ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი აპრილის შუა რიცხვებამდე ვეღარ ითამაშებს.

იგი იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, შინ „პიაჩენცასთან“ 1:0 მოგებული მატჩისას დაშავდა.

30 წლის ფეხბურთელი ვერც იტალიის ნაკრებს დაეხმარება ევროპის ჩემპიონატის ორ შესარჩევ შეხვედრაში დანიისა (სტუმრად) და ბელორუსიის (შინ) წინააღმდეგ.

— ალბერტინის გამოკლება გუნდისთვის დიდი დანაკლისია, თუმცა ვეცდებით, როგორმე გამოვძებნოთ მისი შემცვლელი — განცხადა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა დინო ძოფმა.

დემეტრიო ალბერტინი ქვეყნის პირველი გუნდის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურაა. „მილანში“ კი თითქმის ათი წელია, რაც თამაშობს.

დემეტრიო ალბერტინი

სარბიელის არქივიდან

შკან მომავალში

იტალიელი თავდამსხმელი მარკო სიმონე, რომელსაც ფრანგულ პსჟ-ს მწვრთნელ არტურ ჟორჟესთან ურთიერთობა ძალიან გაუუარესდა, შესაძლოა „მილანს“ დაუბრუნდეს.

იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა პარიზული გუნდის თავკაცებთან მოლაპარაკებას აწარმოებს და ხმამაღლა აცხადებს, რომ მზადაა, სიმონეს სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა გაიღოს.

ფეხბურთელი პსჟ-ში სწორედ „მილანდან“ გადავიდა, მანამდე კი იტალიის ორგზის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

12 მილიონი!

იტალიის ნაკრების ახალგაზრდა მეკარის შეძენა ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოიწადინა.

ჯანლუიჯი ბუფონი, რომელიც დღესდღეობით „სკუადრა აძურაში“ ანჯელო პერუცის სათადარიგოდ ითვლება, „პარმაში“ აგერ უკვე ბოლო სამი წელია, შესანიშნავად თამაშობს, რაც ცხადია, მანჩესტერული კლუბის ხელმძღვანელობას არ გამოჰპარვია. ბუფონის გადაბირება ინგლისელებს კიდევ იმან აფიქრებინა, რომ „მანჩესტერის“ დანიელი მეკარე პეტერ შმაიხელი სეზონის ბოლოს კლუბს ტოვებს, მისი შემცვლელი კი ალექს ფერგიუსონს, გუნდის მწვრთნელს, ჯერ ვერ გამოუძებნია. საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, გადავა თუ არა ბუფონი ინგლისში — ალბიონელებს მეკარის ფასი აფრთხობთ. „პარმამ“ მის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქა მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ 1997 წლის შემოდგომაზე, როცა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსთავში 2:0 დაამარცხა იტალიელ თანატოლთა გუნდი, სტუმართა კარს სწორედ ჯანლუიჯი ბუფონი იცავდა.

აქაც კარგად ვარ!

იტალიის ჩემპიონმა „იუვენტუსმა“ ინგლისის „ჩელსის“ ნახევარმცველის, რობერტო დი მატეოს შეძენა მოიწადინა, მაგრამ ფეხბურთელმა ტურინული კლუბის ხელმძღვანელობა უარით გაისტუმრა. დი მატეო ლონდონში თავს კარგად გრძნობს, ქალაქის ერთ-ერთ უბანში საკუთარი რესტორანიც გახსნა და „ჩელსიშიც“ ურიგოდ არაა.



„იუვენტუსი“ ლონდონურ გუნდს მის სანაცვლოდ 5 მილიონ დოლარს სთავაზობდა. შეგახსენებთ, რომ რობერტო დი მატეოს „ჩელსისთან“ კონტრაქტი 2001 წელს ეწურება.

— რა ჩემოდნები ჩაგილაგებია?

— მივდივარ, ევროპაში.

— ევროპაში რა გინდა?

— ერთს რომელსამე პატარა ქალაქს ვიპოვი და მოთამაშე-მწვრთნელი გავხდები.

— ეგ რაღა გამოიგონე?

— არაფერიც არ გამომიგონია. ახლა მოდაშია. არც მოთამაშე ხარ, არც მწვრთნელი. თან კი ორივე.

— ერთი ბრიტანეთშია მოდაში...

— ბრიტანეთში მოდაში კი არ არის, წესია, ფეხბურთელი რომ მინდორზე ველარაფერს აკეთებს მოთამაშე-მწვრთნელი უნდა გახდეს. მოდაში ევროპაშია...

— აბა, ვინ არის მოთამაშე მწვრთნელი?

— რამდენიც გინდა. ოღონდ, მალავენ...

— როგორ თუ მალავენ?

— ჯერჯერობით გაბაზრების ეშინიათ...

— რატომ?

— ხალხი რომ არ აჯანყდეს.

— ვთქვათ ვინ არის ეგ იატყქვეშა მოთამაშე-მწვრთნელი?

— თუნდაც ლოთარი.

— და ოტმარ ჰიტცფელდი ის კაცია, რომ ლოთარი გააჯჯილოს?

— გააჯეჯილებს თუ არა, ის არის და...

— კარგი. პირველი არ ჩაგეთვალა. კიდევ?

— კიდევ, რონალდო...

— ჰმ...

— მაგას „ჰმ“ არ უნდა. ველარ თამაშობს და აზრებს თამამად გამოთქვამს. სხვა რა უნდა მოთამაშე-მწვრთნელობას?

— ეგ დაგანახებს რასაც ვერ თამაშობს. სამ დღეში დაგანახებს...

— სამ დღეში ჩემი სიცილის საღამო დადგება „სან სიროზე“

— ვაი, ვაი, რა დრო დადგა? მაგრამ არა უშავს, დაგანახებთ.

— იცი რას გეტყვი? მე ანგარიში ვიცი. ორით ორი იქნება.

— პირჯვარი გადაიწერე, არა მოგელანდოს რა...

— გოლებიც ვიცი. ბაჯო გაიტანს პენალტს მეოთხმოცე წუთის შემდეგ, მაგრამ აზრი არ ექნება.

— რატომ?

— მანამდე იორკს და სქოულზს თითო ექნებათ გატანილი. ამათ შუაში კი ვენტოლა გაიტანს.

— მაინც უნდა უყურო?

— რატომაც არა. კაი გასართობია.

— და რა შუაშია ეგ ყველაფერი მოთამაშე-მწვრთნელობასთან?

— იმ შუაშია, რომ „მანჩესტერს“ არ ჰყავს მოთამაშე-მწვრთნელი. „ინტერს“ კი ერთი შვიდი ასეთი მოუგროვდება. ეს ვინტერიო, ის ბერგომინო, კოლონეზეო... არ მინდა ვთქვა და ბოლო დროს ბაჯოც წაიმოთამაშემწვრთნელებს.

— და „მანჩესტერს“ არა ჰყავს მოთამაშე მწვრთნელი?

— ადრე ჰყავდა და გაუშვა. კანტონა გახსოვს? როგორც კი გადწყვიტა მოთამაშე-მწვრთნელობა, ქუდი დაახურეს.

— დაგიჭირე...

— აბა?

— მა რონალდო თუ მოთამაშე-მწვრთნელია შმაიხელი ვინღა გამოდის?

— შმაიხელმა ხო გამოიღვიძა.

— ერთხელ გამოიღვიძა. შენ გგონია, კიდევ ღვიძავს?

— მესამე კვირაა გოლი არ გაუშვია. „ჩელსისთან“ არ გაუშვა ორი თამაში და ძინავს?

— მაგას მღვიძარსაც ძინავს.

— მელია იცინის იცინის, კვდება სიცილით...

— ბოლოს მირჩა გაიცინებს.

— როგორ? მირჩა ხომ მორჩა.

— და გაზა?

— შეეშვით ამ გაზას, რა დაგიშავათ?

— რამდენი წელიწადია მოთამაშე-მწვრთნელობას შისდევს?

— არ არის ლამაზი რიგით მოკვდავთაგან უკვდავთა დაცინვა.

— ჰმ...

— ემაგ „ჰმ“-ს ოთხშაბათს შეგანახინებ გულის ჯიბეში. შენაც და იმ პირშავსაც.

— ვისა?

— აი, იმას, ვითომ რომ შეურიგდა. ვიცი, ვერაგობას ამზადებს.

— სიმეონეზე ამბობ?

— კუზიანს სამარე გაასწორებს.

ისტორიაზე ფიქრი მავნებელია

„ბოავიშტა“, პორტუგალიის ჩემპიონატის მოულოდნელი ფავორიტთაგანი, იმედოვნებს, რომ ისტორია აღარ განმეორდება.

96 წელიწადია, რაც ეს, როგორც წესი, არაფრისმეტყველი ჩრდილოური გუნდი არსებობს და ამ ხნის მანძილზე ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს სულ მეორედ მიუახლოვდა. თუ მოხდა სასწაული და მართლა ჩემპიონი გახდა, პორტუგალიურ ფეხბურთს ძალიან უცნაური ხანა დაუდგება, რადგან არც მეტი, არც ნაკლები, 53 წლის განმავლობაში ეროვნულ მწვერვალს ვერავინ იპყრობდა დიდი სამეულის, „პორტუს“, „ბენფიკას“ და „სპორტინგის“ გარდა.

ბოლო სხვა, რომელმაც ტიტული მოიპოვა, გახლდათ „ბელენენსეში“. დღეს მეორე დივიზიონში ჯახირობს; „ბელენენსეში“ 1946 წელს გახლდათ უძლიერესი.

„ბოავიშტას“ წარმატებები ეროვნული თასის ხუთჯერ მოპოვებით ამოიწურება. თასზე პირველი გამარჯვება 1975 წელს იყო, ბოლო — 1997 წელს.

დღეს, როდესაც პირველობის დასრულებამდე 10 ტურია დარჩენილი, „ბოავიშტა“ „ბენფიკასთან“ მეორე ადგილს იყოფს და ერთადერთი ქულით ჩამორჩება ლიდერს, „პორტუს“, რომელიც თავის მხრივ რეკორდის დამყარებას, ზედიზედ მეხუთე ტიტულის მოპოვებას აპირებს.

თუმცა „ბოავიშტა“ შეიძლება სწორედ „ბენფიკამ“ დააბრკოლოს. ხვალ, ლისაბონში, „კვერნუშის“ სტადიონზე სწორედ ეს, თანაბარქულიანი გუნდები ხვდებიან ერთმანეთს.

„ბოავიშტა“ იმედოვნებს, რომ ისტორია არ განმეორდება... 1976 წელს — ჩემპიონატის დამთავრებამდე, მაშინაც 10 ტური რჩებოდა — „ბოავიშტა“ პირველად ოცნებობდა ტიტულზე, მაგრამ „ბენფიკასთან“ 1:4 წააგო და ოცნება ოცნებადვე დაურჩა. მაშინ „ბენფიკა“ ძალიან ძლიერი გუნდი იყო, ის ჩემპიონი გახდა.

„ისტორიულ დამთხვევას საერთოდ არ ვანიჭებ მნიშვნელობას — აცხადებს „ბოავიშტას“ მწვრთნელი ჟაიმე პაშეკუ — ჩემი ფეხბურთელები ჩინებულად არიან ფსიქოლოგიურად მომზადებული და წარსულ ყურადღებას არ აქცევენ.“

რას ეყრდნობა „ბოავიშტა“? ალბათ, უპირატესად, ძლიერ დაცვას და საუცხოო ფორმაში მყოფ კამერუნელ მეკარეს უილიამ ანდემს. კიდევ, ძალიან დიდ როლს რუმინელი შემტევი ნახევარმცველი იონ ტიმოფტე თამაშობს.

ტიმოფტე, რომლისთვისაც პორტუგალიის ჩემპიონის მედალი ნაცნობია, რადგან ადრე „პორტუს“ ფეხბურთელი გახლდათ, ამბობს, რომ 13 წლიან კარიერაში ასეთი ჩინებული სეზონი არ ჰქონია. მას მიმდინარე პირველობაზე 13 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა სიის ლიდერთაგანია. განსაკუთრებით სახიფათო გახლავთ მისი ზუსტი და ღონიერი დარტყმები მარცხენა ფეხით.

„იმდენი გოლი გამაქვს, თავად მოხიბლუული გახლავართ. ასეთი საუცხოო სეზონი არასდროს მქონია — განუცხადა „როიტერის“ კორესპონდენტს 31 წლის რუმინელმა — თუ „ბენფიკას“ მოვუგებთ, წინ უდიდესი პერსპექტივა გადაგვშლება. ეჭვი არაა, ჩემპიონის ტიტულს სერიოზულად შევუტევთ.“

მაგრამ „ბოავიშტამ“, რომლის ბიუჯეტი ხვალინდელ მეტოქისაზე ექვსჯერ მცირეა, კარგად უწყის, რომ ბევრი რამ იღალზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით მისთვის. აბა, თავად განსაჯეთ, სად მისი სათადარიგოთა სკამი და სად „ბენფიკასი“, რომელსაც ჩეხი ვარსკვლავი, კარელ პობორსკი, როგორც წესი, შემცვლელად უზის. წლების განმავლობაში ხომ „ბოავიშტა“ ვარსკვლავებს წამოჩიტავდა, მაგრამ ამ ვარსკვლავებს წარმატებები დიდი სამეულისთვის მოჰქონდათ. ჟოაო ვიეირა პინტუ და ნუნო გომეში, ხვალ „ბოავიშტას“ კარს რომ შეუტევენ, სწორედ მისი აღზრდილები არიან.

„ჩემპიონები რომ გავხდეთ, ჩვენ ვიქნებით ყველაზე ბედნიერი ხალხი ამქვეყნად. სეზონის დასაწყისში ამაზე ხომ არც ვოცნებობდით“ — თქვა „ბოავიშტას“ ვიცე-პრეზიდენტმა მანუელ მაიომ.

ალბერტო პონტესი, როიტერი

REUTERS პორტუგალია

ჟაიმე პაშეკუ და მისი შეგირდები დიდი მატჩისთვის ემზადებიან

მოიცათ, მოიცათ

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე გერმანიასა და ინგლისს შორის ლამის მესამე მსოფლიო ომია ატეხილი. ფიფა, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო, უდიდესი ტურნირის მასპინძლობის უფლებას, ალბათ, ერთ-ერთ ამათგანს მიანიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატები მრავლად არიან. ბრაზილია, ნიგერია, განა, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკა — ყველა მათგანი მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ ემზადება. ჯერჯერობით უცნობია, ვის დაეკისრება ესოდენ დიდი მისია.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესაძლო მასპინძელთა რაოდენობა ეგებ გაზრდილიყო კიდეც, მექსიკის ფეხბურთის ფედერაციაში პატარა გაურკვევლობა რომ არ მომხდარიყო — მექსიკას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გასულ შემოდგომაზე გასჩენია და ფიფაში ოფიციალური წერილის გასაგზავნად მზადებაც დაუწყია, მაგრამ დახეთ უბედურებას! — ორგანიზაციაში ყველაფერი თავდაყირა დადგა და ფიფას მექსიკელთა წერილი 31 იანვარს, ანუ კანდიდატთა ოფიციალური წერილის შეტანის საბოლოო ვადაზე ერთი თვით დაგვიანებით მიუვიდა.

— ჩვენ ვერ განვიხილავთ მექსიკის წინადადებას, რადგან ფიფაში გვიან მოვიდა. მართალია, მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ წერილის დაგვიანების მიზეზები გასაგებად ახსნა, მაგრამ დღეს ეს უკვე აღარ გვაინტერესებს — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა.

მექსიკელები იმედს არ კარგავენ. მათ ღრმად სჯერათ, რომ მალე მექსიკა იქცევა ერთადერთ სახელმწიფოდ დედამიწის ზურგზე, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამჯერ უმასპინძლია. აქამდე მექსიკამ უდიდესი საფეხბურთო ტურნირი 1970 და 1986 წლებში მიიღო.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორხა ენრიკე გარსია ცეურიხში გაფრინდა. იგი ბლატერს შეხვდება.

კოტე ვაიტაძე

12 ივლისის შემდეგ ემე ჟაკე საფრანგეთის ეროვნული გმირია. ყველა ცდილობს გაიცნოს, დაუახლოვდეს. ფრანგები მას ლამის აღმერთებენ, თუმცა თვითონ ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატმა მასში თითქმის არაფერი შეცვალა და იგი ისეთივე ემე ჟაკეა, როგორიც „მონდიალის“ დაწყებამდე იყო. და კიდევ, „ლურჯებს“ ოქროს მედლები რომ ვერ მოეპოვებინათ, მათი მწვრთნელი ქვეყნის დატოვებას და საცხოვრებლად შორს, ძალიან შორს წასვლას აპირებდა...

ემე ჟაკე: მარცხის შემთხვევაში საფრანგეთს დავტოვებდი

ეროვნულ ბიბლიოთეკა

— დღეს ადამიანებთან ურთიერთობისას ყველაზე მეტად რა განცვიფრებთ?

— სითბო, რომელსაც ისინი მაგრძნობინებენ, მადლიერება, რასაც არ მალავენ. ჩვენ საფრანგეთს ძალიან დიდი სიხარული მოვუტანეთ...

— რამეს თუ გთხოვენ შეხვედრებისას?

— არაფერს. არაფერს მთხოვენ. ამას წინათ ჩვენი რაგბის ნაკრებისადმი მიძღვნილ საღამოზე დამპატიჟა მისმა მწვრთნელმა და ჩემმა მეგობარმა ჟანკლოდ სკრელამ. შეხვედრიდან დაახლოებით 23 საათზე წამოვედი. ქუჩაში გამოსვლითანავე ერთ ხანშიშესულ ბატონს შევხვდი, რომელიც თავის გზაზე მიდიოდა. უცებ გაჩერდა. მომიტრიალდა, მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა: „ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია მოგესალმოთ“, შებრუნდა და სიბნელეს შეერია.

— ეს ბედნიერება და სიხარული, რომელიც ხალხის სახეზე და მოქმედებებში ჩანს, ალბათ, ყველა იმ გასაჭირის და სიძნელის გადალახვის შედეგია, რაც მსოფლიოს ჩემპიონატამდე შეძელით და ყველას ახსოვს.

— მგონი, არავის ახსოვს, რა სიძნელეები გვქონდა ტურნირამდე, ფრანგებისთვის ყველაფერი მარსელიდან, „სტად ველოდრომიდან“ იწყება, სამხრეთ აფრიკასთან მატჩიდან... მართლაც ძლიერი გრძნობებია... ხანშიშესული ხალხი მეუბნება, რომ ასეთი დიდი დღესასწაული „ლიბერასიონის“ (ფაშისტური გერმანიისგან განთავისუფლება გ.გ) შემდეგ არ ყოფილა. ერთი მეგობარი მყავს ვიეტნამში და მომწერა, რომ იქ ჩვენი სამფეროვანი დროშა ისევ აფრიალდა. წარმოგიდგენიათ?

— ფინალის მომდევნო დღეები გაიხსენეთ, თუ შეიძლება.

— ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ მეგონა. 13 და 14 ივლისს სახალხო დღესასწაული გვქონდა. ელისეის მინდვრებზე იმდენი ხალხის ხილვას რა სჯობდა. და თან, როგორც იქნა, დილით მშვიდად ვიღვიძებდი, რადგან კითხვა — „როგორი შემადგენლობა დავაყენო?“ აღარ მტანჯავდა.

— ყველაზე მეტად რომელი მომენტი ჩაგრჩათ გონებაში?

— „ღირსების ლეგიონის“ ორდენის გადმოცემა. მშვენიერი მიღება და ცერემონიალი იყო, ასეთების მოწყობა კარგად იცის ჟაკ შირაკმა. ძალიან ბედნიერი ვიყავით ყველანი.

— ერთი წლის წინ რომ ეთქვათ, ფეხბურთის ეროვნულ ტექნიკურ დირექციას ჩაუდგებოდით სათავეში (ჟაკეს ახალი თანამდებობაა)... ყველას ეგონა, რომ ნაკრებს არ მიატოვებდით.

— რატომ? რამდენჯერ მქონდა ნათქვამი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების მწვრთნელობას თავს დავანებებდი? ერთ საღამოს ტურინის ერთ-ერთ რესტორანში ვსადილობდი დეშანთან, ზინედინ ზიდანთან და კრისტიან კარემბიუსთან ერთად. უცებ მარჩელო ლიპი შემოვიდა, მოგვესალმა ლა მკითხა, თუ რას ვაპირებდი „მონდიალის“ დამთავრების მერე. ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება დიდი ხნის მიღებული მქონდა და ოქროს მედლების მოგების შემდეგ „ლურჯების“ წვრთნას თავს ვანებებდი. არ დამიჯერა!

— რა არ დაგიჯერათ, მსოფლიოს ჩემპიონატს რომ მოიგებდით, თუ ნაკრებს რომ დაემშვიდობებოდით?

— ნაკრებს რომ დავტოვებდი!

— ჩემპიონები რომ ვერ გამხდარიყავით, რას აპირებდით?

— ორი ვარიანტი იყო. თუ ნახევარფინალში გავიდოდით, მაშინ ჩემი მისია შესრულებული იყო და ფეხბურთის ეროვნულ ტექნიკურ დირექციას (ფ.ტ.დ.) შევუერთდებოდი, როგორც ახალგაზრდული გუნდების კოორდინატორი, ხოლო თუ საუკეთესო ოთხეულში ვერ მოვხვდებოდით, მაშინ ჩემოდნები უნდა გამემზადებინა და საფრანგეთიდან გადავხვეწილიყავი.

— სად?

— უცხოეთში და თან ძალიან შორს.

— მაგრამ ეს ხომ პასუხისმგებლობისგან გაქცევა იქნებოდა?

— არა, უბრალოდ, სულიერად რომ არ გავტეხილიყავი.

— საბედნიეროდ, „გაქცევის“ მაგივრად ახალ თანამდებობაზე „ლივერპულში“ წასული ქერარ ულიეს შეცვლამ მოგიწია. როგორ შეეგუეთ ახალ სამუშაოს?

— ძნელად. ფ. ე. ტ. დ. ძირითადად სამ ადამიანზეა დაყრდნობილი — ჟან-პიერ მორლანს ადმინისტრაციული პრობლემების მოგვარება ევალება, ანრი ემილსი ფინანსურ მხარეს განაგებს, მე კი წმინდა ტექნიკური საკითხები მეხება: კადრების ფორმირება, ეროვნული ნაკრებები, საფეხბურთო სკოლები...

— ახალგაზრდა ფეხბურთელების ფორმირება ხომ საფრანგეთის მთავარი პლუსია ევროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით.

— მთავარი და ერთადერთიც. დღეს ევროპა საფეხბურთო და ფინანსურ ბუმს განიცდის, რაშიც საფრანგეთი თავისი სოციალური სტრუქტურის გამო ფაქტობრივად ვეფურ მონაწილეობს და გარკვეულწილად ზარალობს კიდეც.

— ახალგაზრდების მასიური ემიგრაციის შესახებ ამბობთ?

— დიახ. როგორმე უნდა შევძლოთ ამ პროცესის შეჩერება, თორემ ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდებით. ჭაბუკთა კონტრაქტების შემოღება ამიტომაც გადავწყვიტეთ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს საკმარისი არ იქნება. საჭიროა უფრო გადამწყვეტი ზომების მიღება, მაგრამ ამას მარტონი ვერ შევძლებთ, პოლიტიკოსებიც უნდა დაგვეხმარონ. არ შეიძლება ყველა სფეროსთვის ერთი და იგივე კანონების მიყენება. საჭიროა სპორტის სპეციფიურობის გათვალისწინება.

— თქვენი სიტყვებიდან პესიმიზმი გამოსჭვივის!

— ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების უცხოეთში წასვლისთვის მზად ვიყავით. დღეს სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავებულია. ჩვენ ფეხბურთს „გაპუტავენ“ და ჩვენი ფორმირების სისტემა იქნებ მოიშალოს კიდეც, რადგან შეიძლება ფეხბურთელთა 90 პროცენტი დავკარგოთ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: „მილანში“ გადასული პატრიკ ვიეირა არსენ ვენგერს „არსენალში“ რომ არ წაეყვანა, ეს ნიჭიერი ფეხბურთელი ერთ წელს სათადარიგოთა სკამის ხეხვაში გაატარებდა და ფრანგული ფეხბურთისთვისაც დაიკარგებოდა. ვენგერმა ვიეირა გადაარჩინა! ამ საქმეში ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფეხბურთელების აგენტებს. ძალიან კარგია, როცა დამწყებ ფეხბურთელებს ისეთ გრანდებში თამაში სურთ, როგორებიც „მილანი“, „რეალი“ ან „ინტერია“, მაგრამ მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ სჯობს შედარებით ნაკლებსახელიან გუნდში ითამაშონ, ვიდრე გრანდში სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. ამ შემთხვევაში ხომ შეიძლება მათ საკუთარი კარიერა საერთოდ დაღუპონ. გაიხსენეთ იბრაიმ ბა და რეინალდ პედროსი, რომლებსაც გაცილებით მეტისთვის უნდა მიეღწიათ. თუმცა იმედი მაქვს, ყველაფერი უკეთესობისკენ წავა და პესიმიზმის საბაბიც აღარ მექნება.

„ფრანს-ფუტბოლიდან“ თარგმნა

გაგი გურულმა

რონალდო მილანელ ქომაგებს გამარჯვებებს დაპირდა

უცნობი მხოლოდ დრო

რონალდო 17 იანვრის შემდეგ პირველად იტალიის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში გამოჩნდა „პარმასთან". სულ რაღაც ნახევარი საათი დაჰყო მინდორზე; მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა „ფენომენისათვის", რათა კვლავ აელაპარაკებინა საფეხბურთო სამყარო და „ინტერის" ქომაგთა გულში იმედის ნაპერწკალი გაეღვივებინა. ბრაზილიელმა ფორვარდმა ისე ითამაშა, გეგონება, მუხლი საერთოდ არ სტკიებია და ორი თვე რომ ისვენებდა, არც ამის ეტყობოდა რამე.

როგორც იცით, მილანურ კლუბს წინ ორი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის — თანაქალაქელ „მილანთან" სერია A-ს მორიგი ტურში დღეს და ოთხშაბათს შინ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალური ბრძოლა „მანჩესტერ იუნაიტედთან". ინგლისში „ინტერს" 0:2 აქვს წაგებული. ამიტომაც, ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელის დაბრუნება, როგორიც რონალდოა, უეფას თასის მფლობელებს დიდად წაადგებათ. სწორედ ამ თემაზე ისაუბრეს 22 წლის ვარსკვლავმა და „კორიერე დელო სპორტის" კორესპონდენტმა:

— დიდებულად ვგრძნობ თავს და იმასაც, რომ ჩემი დრო დაბრუნდა. აღარც არაფერი მაწუხებს და არც წონასთან, ანაც ბურთთან ურთიერთობაში მაქვს პრობლემები. ბედნიერი ვარ ყველაფერ ამით. „ინტერს" მე ძალიან ვჭირდები, უფრო სწორედ, ჩემი გოლები და ვიმედოვნებ, კოლეგების და ქომაგთა ნდობას გავამართლებ.

— „პარმასთან" შეხვედრაში კარგად ჩავერთე. უკეთესად, ვიდრე მიმდინარე სეზონის სხვა მატჩებში. თუმცა ჯერჯერობით იმის თქმა გამიჭირდება, თუ რამდენ ხანს დავყოფ მინდორზე მილანურ დერბიში და „მანჩესტერთან". ერთადერთი, რისიც ღრმად მწამს, ის არის, რომ ჩემს დაბრუნებას გუნდის დიდი გამარჯვებები მოჰყვება.

ნოდარ ძასრაძე

დროებითია ყველაფერი

ინგლისის პრემიერლიგამ მოკლე განცხადება გამოაქვეყნა: მისი (ლიგის) ორი ხელმძღვანელი თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ პრემიერლიგის კლუბების თავმჯდომარეთა შეკრების შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზეც გამოცხადდა. საუბარია აღმასრულებელ შეფ პიტერ ლივერსა და თავმჯდომარე, სერ ჯონ ქინტონზე.

მიზეზი: ხსენებულმა ბატონებმა, შარშან, პრემიერლიგის მრჩეველებად პრესასთან ურთიერთობის დარგში დანიშნეს ვინმე სემ ჩიშოლმი და დევიდ ჩენსი, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

კლუბების მეთაურებმა ჯერ კიდევ დეკემბერში შეუტიეს ლივერსა და ქინტონს, მაგრამ მაშინდელ თათბირზე საქმე თანამდებობიდან წასვლაზე არ მიმდგარა. ხუთშაბათს კი მოსახდენი მოხდა.

დროებით თავმჯდომარედ დაინიშნა „შეფილდ უენსდეის" წარმომადგენელი დეივ რიჩარდსი.

გეხსომებათ, რომ ბოლო ხანს ინგლისში თანამდებობიდან გადადგნენ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის შეფებიც. აღმასრულებელი შეფი გრემ კელი და თავმჯდომარე კით უაისმენი. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეისათვის ალბიონზე ორი უმთავრესი საფეხბურთო ორგანიზაცია ხელმძღვანელების გარეშე დარჩა.

სასაცილოა, დროებითი მეთაურის ხელშია ინგლისის ეროვნული გუნდიც. მას ოთხი თამაშით კევინ კიგანი ჩაუდგა სათავეში.

მეზობლის ჭირი, როგორც ჩანს გადამდებია. ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი შოტლანდიელებმაც მოხსნეს. ჯიმ ფერი გლაზგოს „სელტიკის" მიერ პორტუგალიელი თავდამსხმელის ჟორჟე კადეტეს ყიდვასთან დაკავშირებულ საკონტრაქტო გაუგებრობას გადაყვა.

ინგლისი და შოტლანდია, მართალია, ერთ სახელმწიფოს, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს ეკუთვნიან, მაგრამ ფეხბურთში ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი გახლავან და გეოგრაფიულადაც მეზობლები არიან.

რეკლამა სარგებელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ქირავდება

1-ოთახიანი
კეთილმოწყობილი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72

სარგებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXII ტური

13 მარტი			
ჰამბურგი — ბაიერნი	3,5	2,8	2,0
კაიზერსლაუტერნი — ნიურნბერგი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
მონხენგლადბახი — დუისბურგი	1,9	3,0	3,5
შალკე — ბოხუმი	1,7	3,1	4,4
ვერდერი — ვოლფსბურგი	2,0	2,9	3,4
მიუნხენ 1860 — შტუტგარტი	1,7	3,1	4,4
14 მარტი			
აინტრახტი — ჰერტა	2,3	2,9	2,8

გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. XXII ტური

14 მარტი			
ვატენშიდი — ობერჰაუზენი	2,2	2,9	3,0
კიოლნი — მაინცი	2,0	2,0	3,4
ფიურტი — ფორტუნა	1,4	3,6	6,5
0:1	2,0	3,2	2,3
ჰანოვერი — გოუტერსლო	1,4	3,6	6,5
0:1	2,0	3,2	2,3
ბერლინი — დიუსელდფორფი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
15 მარტი			
უნტერჰახინგი — ულმი	1,8	3,0	4,0

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIX ტური

13 მარტი			
ჩელსი — ვესტ ჰემი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
ქოვენთრი — ბლეკბერნი	1,9	2,9	3,6
დერბი — ლივერპული	2,5	2,8	2,6
ევერტონი — არსენალი	3,6	2,9	1,9
ლესტერი — ჩარლტონი	1,8	2,9	4,2
ნიუკასლი — მანჩესტერი	3,5	2,8	2,0
შეფილდ უენსდეი — ლიდსი	2,4	2,8	2,7
ტოტენჰემი — ასტონ ვილა	1,9	2,9	3,6
უიმბლდონი — ნოტინგემი	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
14 მარტი			
მიდლსბრო — საუთჰემპტონი	1,8	3,1	3,8

ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXVII ტური

13 მარტი			
ბირმინგემი — ვესტ ბრომვიჩი	1,5	3,4	5,6
ბოლტონი — ქუინზ პარკი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
ბრედფორდი — ნორვიჩი	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ბერი — ბარნსლი	2,3	2,8	2,9
გრიმსბი — სანდერლენდი	3,5	2,8	2,0
იფსვიჩი — ჰადერსფილდი	1,5	3,3	6,0
ოქსფორდი — უოტფორდი	2,3	2,9	2,8
პორტ ვეილი — სტოკპორტი	2,1	2,8	3,3
პორტსმუთი — კრისტალ პალასი	2,0	2,9	3,4
სვინდონი — ქრიუ	1,35	4,0	6,5
0:1	2,0	3,0	2,4
ტრანმერი — შეფილდ იუნაიტედი	2,0	2,9	3,4
ვულვერჰემპტონი — ბრისტოლი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,2	2,6

საფრანგეთის ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

14 მარტი			
სოშო — მონაკო	3,4	2,9	2,0
სტრასბური — ოსერი	2,1	2,9	3,2

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXV ტური

13 მარტი			
ინტერი — მილანი	2,5	2,9	2,5
იუვენტუსი — უდინეზე	1,6	3,0	5,6
პარმა — ბარი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
რომა — ბოლონია	1,6	3,0	5,6
14 მარტი			
ემპოლი — ლაციო	6,0	3,3	1,5
პიაჩენცა — კალიარი	1,8	3,0	4,0
სალერნიტანა — სამპდორია	2,0	2,9	3,4
ვენეცია — ფიორენტინა	3,1	2,8	2,2
ვიჩენცა — პერუჯა	1,8	3,0	4,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXVI ტური

13 მარტი			
ჯენოა — ტორინო	2,8	2,7	2,4
14 მარტი			
ბრეშა — ლეჩე	2,0	2,6	3,8
ჩეზენა — ატალანტა	2,8	2,7	2,4
კრემონეზე — რეჯინა	2,6	2,7	2,6
ფ. ანდრია — მონცა	1,9	2,6	4,2
ლუკეზე — პესკარა	2,3	2,7	3,0
რეჯანა — რავენა	2,4	2,7	2,8
ტერნანა — კიევო	2,1	2,7	3,4
ტრევიზო — ნაპოლი	1,9	2,6	4,2
ვერონა — კოზენცა	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5

ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXVI ტური

13 მარტი			
ატლეტიკო — მალიორკა	2,1	2,8	3,3
სარაგოსა — სელტა	2,3	2,7	3,0
რასინგი — რეალი	2,9	2,8	2,3
ბეტისი — ვალენსია	2,6	2,8	2,5
14 მარტი			
ბილბაო — სალამანკა	1,35	2,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
ესტრემადურა — ალავესი	2,0	2,8	3,5
დეპორტივო — ტენერიფე	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ვალიადოლიდი — სოსიედადი	2,1	2,8	3,3
ვილიარეალი — ოვიედო	2,1	2,8	3,3
ბარსელონა — ესპანიოლი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5

ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე დივიზიონი. XXVIII ტური

13 მარტი			
ბარსელონა B — კომპოსტელა	3,4	2,9	2,0
ეიბარი — ლოგრონიესი	2,2	2,9	3,0
ლას პალმასი — ატლეტიკო B	1,5	3,4	5,6
14 მარტი			
ლეგანესი — მერიდა (15^{00})	2,2	2,9	3,0
ალბაესეტ — ნუმანსია (15^{00})	2,5	2,9	2,5
ბადახოსი — რეკრეატივო	1,9	2,8	3,8
ოსასუნა — ორენსე	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5
ერკულესი — სევილია	3,4	2,9	2,0
ტოლედო — ლეიდა	2,0	2,9	3,4
სპორტინგი — რაიო ვალეკანო	3,6	2,9	1,9
მალიორკა B — მალაგა	3,4	2,9	2,0

პორტუგალიის ჩემპიონატი. XXV ტური

13 მარტი			
შავეში — გიმარაეში	2,0	2,9	3,4
პორტუ — ლეირია	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
14 მარტი			
აკადემიკა — მარტიმუ	2,4	2,8	2,7
ამადორა — ბეირა მარი	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ბენფიკა — ბოავიშტა	1,6	3,0	5,6
ბრაგა — სალგეირუში	2,0	2,8	3,5
კამბომაიორენსე — რიუ ავე	1,8	3,0	4,0
სეტუბალი — ალვერკა	1,5	3,4	5,6

ჰოლანდიის ჩემპიონატი

13 მარტი			
ტილბურგი — გრააუსხაპი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
ჰერენვენი — ვალვაიკი	1,15	6,0	9,0
0:1	1,5	3,5	3,5
ეინდჰოვენი — კამბური	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
14 მარტი			
სპარტა — ვიტესი	3,6	2,9	1,9
უტრეხტი — ალკმაარი	2,1	2,9	3,2
ტვენტე — როდა	2,0	2,9	3,4

ბელგიის ჩემპიონატი. XXVI ტური

13 მარტი			
ანდერლეხტი — აალსტი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ბევერენი — გენკი	6,5	3,6	1,4
შარლეროა — კორტრაიკი	1,6	3,2	5,0
ეკერენი — ლიერსი	2,0	2,9	3,4
ლომელი — ჰარელბეკი	2,3	2,9	2,8
სენტ ტრუიდენი— ლოკერენი	1,9	2,9	3,6
ვესტერლო — სტანდარდი	3,1	2,8	2,2
14 მარტი			
ბრიუგე — ოსტენდე	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5

პოლონეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

13 მარტი			
რაციონეკოვი — კატოვიცე (17^{00})	1,5	3,4	5,6
ლუბი — ლეგია	1,9	2,9	3,6
პოლონია — რუხი (17^{00})	1,5	3,4	5,6
ოდრა — ლკს	2,3	2,9	2,8
პოგონი — გურნიკი	2,2	2,9	3,0
14 მარტი			
ვიძევი — ამიცა	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
სტომილი — ბელხატოვი (15^{00})	1,9	2,9	3,6
ზაგლებე — ვისლა (17^{00})	4,4	3,1	1,7

თურქეთის ჩემპიონატი. XXIV ტური

13 მარტი			
ფენერბაჰჩე — ტრაბზონი	1,6	3,1	5,3
14 მარტი			
ერზურუმი — საკარია (14^{00})	2,0	2,9	3,4
ისთანბული — ბეშიქთაში (15^{30})	3,5	3,0	1,9
ალთაი — გაზიანთეფი (15^{30})	1,8	3,0	4,0
ადანა — ჭარაბუჯი (15^{30})	1,5	3,4	5,6
ქოჯაელი — ანკარა (15^{30})	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
სამსუნი — დარდანელი (15^{30})	1,5	3,4	5,6
გენჩლერბირლიგი — გალათასარაი	5,3	3,1	1,6

შოტლანდიის ჩემპიონატი. XXVII ტური

13 მარტი			
დანფერმლაინი — დანდი	2,1	2,9	3,2
რეინჯერსი — მოზერველი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
სტ ჯონსტონი — კილმარნოკი	1,8	2,9	4,2
14 მარტი			
აბერდინი — სელტიკი	5,3	3,1	1,6

ავსტრიის ჩემპიონატი

13 მარტი			
ზალცბურგი — შტურმი	3,6	2,9	1,9
რაპიდი — ლუსტენაუ	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
რიდი — ლინცერი	3,2	2,9	2,1
შტაირი — აუსტრია	4,4	3,0	1,6

შვეიცარიის ჩემპიონატი. III ტური

13 მარტი			
ციურიხი — გრასჰოპერი	3,4	2,9	2,0
სერვეტი — ბაზელი	1,5	3,3	6,0
14 მარტი			
ლუცერნი — ლოზანა	2,8	2,9	2,3
ქსამაქსი — სენტ გალენი	1,9	2,9	3,6

საფრანგეთის თასის მერვედფინალი

13 მარტი			
ლანსი — ლავალი (II)	1,15	5,6	10,0
14 მარტი			
მეცი — ნანტი	2,5	2,7	2,7

შოტლანდიის თასი

13 მარტი			
აირი — დანდი იუნაიტედი	3,5	3,0	1,9

კალათბურთისა და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

თასების მფლობელთა თასი

I გათამაშება **1960-61 წლები**

ფიორენტინა

ფლორენცია, იტალია

ლოლიმონ ეყლიანაძვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

წლეულს თასების მფლობელთა თასის ბოლო გათამაშება იმართება. უეფას დიდმოხელეებმა ასე ინებეს, შემოდგომიდან ეს ტურნირი უეფას თასს შეერწყმება და მისი 39-წლიანი ვნებათაღელვაც ისტორიის თაროზე დაიდებს ადგილს. მატიანე კი მართლაც საინტერესოა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა თასთან (შემდეგ ლიგასთან) შედარებით აქ ფული ყოველთვის ნაკლები იყო, მისი მოპოვებით დიდად გაუხარიათ ელიტარულ კლუბებს: „მილანს“, „იუვენტუსს“, „ბარსელონას“, „ბაიერნს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „აიაქსს“...

სახელები თავად მიუთითებს ტურნირის პრესტიჟულობაზე. ჩვენთვის ხომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ თასთან არის დაკავშირებული ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი დღე — თბილისის „დინამოს“ ტრიუმფი 1981 წლის 13 მაისს.

1995 წლიდან გათამაშებაში ქართული კლუბებიც დაუშვეს. ოთხჯერვე ეს პატივი ბათუმის „დინამოს“ ერგო და რაკი თასს აუქმებენ, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში „ბათუმი“ ერთადერთად დარჩება, ვისაც თასების თასზე უთამაშია.

„სარბიელმა“ გადაწყვიტა, თავისებური პატივი მიაგოს ტურნირს. ამიტომ არქივებიც მოვქექეთ, ახალიც დავუმატეთ და თასთა თასის ყველა გათამაშების მოკლე ისტორია აღვადგინეთ. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება წერილები, რომლებიც ევროპული (და არა მარტო ევროპული) ფეხბურთის ისტორიის ერთ ლამაზ მონაკვეთს ეხმიანება.

„ფიორენტინას“ საუკეთესო მეგოლე კურტ ჰამრინი

პ ი რ ვ ე ლ ი

50-იანი წლების ბოლოს, როცა ევროთასები პოპულარული გახდა, შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა უეფას კონგრესზე დამსწრეთ თავისი იდეა გააცნო, ჩაეტარებინათ კიდევ ერთი ტურნირი, რომელშიც ეროვნული თასების მფლობელები გაეკიბრებოდნენ ერთმანეთს. იდეას მხარი დაუჭირეს: ავსტრიის, ბელგიის, დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის, იტალიის, იუგოსლავიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ფედერაციათა თავკაცებმა. დანარჩენებმა ახალწამოწყებას ეჭვის თვალით შეხედეს. ამ ამბავს არც უეფა შეხვედრია გულთბილად. ევროპული ფეხბურთის ბოსებმა მოცდა არჩიეს.

აი, ასე იწყებოდა ყველაფერი, ენთუზიაზმითა და სიფრთხილით. რისთვის სჭირდებოდათ ახალი შეჯიბრი? იმისათვის, რომ ეროვნული თასების გათამაშებები უფრო პრესტიჟული და საინტერესო გამხდარიყო. ასევე, მეტ გუნდს მისცემოდა ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის საშუალება. თუმც არსებობს მეორე ვერსიაც. თუ მას დავუჯერებთ, გამოვა, რომ ტურნირი მადრიდის „რეალის“ ჯინაზე დაუარსებიათ. ამ დროისთვის „რეალს“ ჩემპიონთა თასი ზედიზედ ხუთჯერ ჰქონდა მოგებული. მადრიდელები უძლეველნი ჩანდნენ. თავის მხრივ, ევროპის სხვა ქვეყნებსაც სურდათ თავისი გამარჯვებულები ჰყოლოდათ. ალბათ, ამ „მეორეშიც“ არის რაღაც სიმართლე.

ახალი თასის გათამაშებისა და მისი ჩატარების სისტემა ორგანიზატორმა ფედერაციებმა 1960 წლის 13 თებერვალს (სხვა წყაროს მიხედვით 26 მარტს) მიიღეს ვენაში. ჩემპიონთა თასისგან განსხვავებით, თასების თასის დებულება უფრო ლიბერალური გამოდგა. კერძოდ, გათამაშებაში მონაწილეობა შეეძლოთ არა მხოლოდ ქვეყნის თასის მფლობელებს, არამედ ფინალისტებსაც (იმ შემთხვევაში, თუ თასის მფლობელი ჩემპიონიც გახდებოდა). ამ წესმა პირველ წელსვე იმოქმედა. გამარჯვებული „ფიორენტინა“ იტალიის თასის მომპოვებელი არ ყოფილა. ფინალში 2:3 წააგო „იუვენტუსთან“ და რაკი „ბებერი ქალბატონი“ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა, თასების თასზე ფლორენციელები მოხვდნენ.

პირველ გათამაშებაში მხოლოდ ათი გუნდი მონაწილეობდა (ამიტომ წინასწარი წრის შემდეგ პირდაპირ მეოთხედფინალები გაიმართა). მათ შორის არ იყო ინიციატორის, შვედეთის წარმომადგენელი. მიზეზი მარტივი გახლდათ, 1954-დან 1966 წლამდე შვედები თასის გათამაშებას არ ატარებდნენ. და, ცხადია, კანდიდატსაც ვერ წარადგენდნენ. უარი თქვეს ფრანგებმა და ესპანელებმაც.

საინტერესოა, რომ 1960-61 წლების ტურნირს კლუბების კომიტეტი მართავდა (ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ახლახან სუპერლიგის ჩამოყალიბება რომ უნდოდათ). ცოტა ხანში უეფაც გამოფხიზლდა, მომდევნო გათამაშებიდან თვითონ იკისრა უფროსობა და შეეჯიბრს ოფიციალური სტატუსიც მიანიჭა.

1960 წლის 1 აგვისტოს თასების თასის პირველი მატჩი გაიმართა. აღმოსავლეთ ბერლინში სამხედროთა გუნდმა, „ფორვერტსმა“ ჩეხოსლოვაკიის „რუდა ჰვეზდას“ უმასპინძლა და 2:1 მოუგო. 42-ე წუთზე პირველი ბურთი გერმანელმა კოლემ გაიტანა და თავისი გვარი ისტორიაში ჩაწერა.

მონაწილეთა სიხალვათის გამო არც ფავორიტთა რიცხვი ყოფილა დიდი: ინგლისის „ვულვერჰემპტონი“, შოტლანდიის „რეინჯერსი“ და იტალიის „ფიორენტინა“. ამათგან ერთ-ერთს უეჭველად უნდა მოეგო თასი. ნახევარფინალში სამივე მოხვდა. იქ კი მეზობლები — სქოთები და ინგლისელები დაეჯახნენ ერთმანეთს. „მგლებმა“ („ვულვერჰემტონის მეტსახელია), რომლებსაც იმ დროს სათასო გუნდს უწოდებდნენ, დიდი ომი გაუმართეს მამაც შოტლანდიელებს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ, ეს ამბავი თითქოს ლოგიკურადაც ჩანდა. მაშინდელი „რეინჯერსი“ ჩინებული გუნდი ყოფილა. მთელი იმ სეზონის განმავლობაში სტაბილურად თამაშობდა და ქვეყნის ჩემპიონი ისე გახდა, ახლოს არავინ მიუშვია. იმ წლების ბრიტანულ გაზეთებს თუ ჩახედავთ, წაიკითხავთ, რომ გლაზგოელები ულამაზეს ფეხბურთს თამაშობდნენ. წარმატების გასაღებს კი რეპორტიორები თავდასხმის ხუთეულში ხედავდნენ. გუნდის ღერძს, ცენტრალურ თავდამსხმელ ჯიმი მილარს მარცხნივ სწრაფი ბრანდი და უილსონი ეხმარებოდნენ, მარჯვნივ კი ფეთქებადი მაკმილანი და სქოთი. ამათი შეჩერება შეუძლებელი ყოფილა. შოტლანდიის პირველობას რომ თავი დავანებოთ, „რეინჯერსი“ ევროპასაც ბრდღვნიდა. წინასწარ ეტაპზე ძლიერი „ფერენცვაროში“ დაამარცხა, შემდეგ კი დასავლეთგერმანული „მიონხენგლადბახი“ გააცამტვერა საერთო ანგარიშით 11:0 (ამით ერთგვარი რევანშიც აიღო. წინა წლის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „ლუტონი“ გერმანულმა „აინტრახტმა“ უღმერთოდ შეარცხვინა 6:1, 6:3). რაღა გასაკვირია, რომ შოტლანდიელებს ფინალური მატჩის ფავორიტად მიიჩნევდნენ. მით უმეტეს, მეორე ფინალისტი, „ფიორენტინა“, სტაბილურობით არ გამოირჩეოდა.

ერთ დროს ძლევამოსილ იტალიის „დიდ ოთხეულში“ („იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, „ფიორენტინა“) შემავალ გუნდს არცთუ საუკეთესო დროება ედგა. 1956 წელს ფულვიო ბერნარდინის თაოსნობით „იისფერები“ იტალიის ჩემპიონები გახდნენ. შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ მეორე ადგილზე გავიდნენ. 57-ში ჩემპიონთა თასის ფინალშიც ითამაშეს. მათი თავდასხმის ხაზს „ატომურ ხუთეულს“ უწოდებდნენ. 1960-61 წლების სეზონში კი გაუჭირდათ. გუნდმა ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, კრიზისზე ლაპარაკი, ალბათ, გადამეტებული იქნება. 61-ის იანვარში კლუბის მესვეურთა დიდი სურვილითა და უნგრეთის საფეხბურთო კავშირის დასტურით მთავარ მწვრთნელად უნგრეთის „დიდი გუნდის“ ყოფილი მოთამაშე ნანდორ ჰიდეგკუტი დაინიშნა. პირველივე მატჩში მისი ხელმძღვანელობით „ფიორენტინამ“ სტუმრად 3:1 მოუგო „რომას“. მდგომარეობაც თითქოს გამოსწორდა, მაგრამ მალე გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა. გაზაფხულზე „პერუჯასთან“ შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო და კარიერა დაასრულა კლუბის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ, ნატურალიზებულმა არგენტინელმა მიგელ ანხელ მონტუორიმ. ამან საქმე გაართულა, თუმცა „ფიორენტინას“ კვლავ ჩინებულ თავდამსხმელთა ხუთეული ჰყავდა. მათ შორის ლუიჯი მილანი და ჯანფრანკო პეტრისი გამოირჩეოდნენ. მთავარი ფიგურა კი 27 წლის შვედი კურტ ჰამრინი გახლდათ. ჰამრინზე იყო აგებული „ფიორენტინას“ თამაში. მან კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი, 150 ბურთი გაიტანა. იმ სეზონშიც ყველაზე შედეგიანი იყო — ჩემპიონატში 14 გოლი შეაგდო, თასების თასზე კი 5 და გლაზგოელ მილართან ერთად პირველი გათამაშების საუკეთესო მეგოლეც გახდა. „იისფრებს“ კიდევ სამი გამორჩეული მოთამაშე ჰყავდათ — იტალიის ნაკრების მეკარე ენრიკო ალბერტოზი, მცველები: სერჯიო კასტელეტი და ენცო რობოტი.. აი, ამ გუნდმა შეძლო 1961 წელს ჯერ იტალიის, შემდეგ კი თასების თასის მოგება.

„ფიორენტინა — „რეინჯერსის“ ფინალური შეხვედრები მაისში დანიშნეს. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა თასების თასზე ორი გადამწყვეტი მატჩი ჩატარდა.

პირველი თამაში გლაზგოს „აიბროქსის“ მინდორზე გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, „რეინჯერსმა“ თავიდანვე შეუტია დაასე გაგრძელდა მთელი მატჩის განმავლობაში, მაგრამ... იტალიელებს ორი მოხერხებული კონტრშეტევა გამოუვიდათ და ორივე კარის აღებით დაასრულეს. ლუიჯი მილანის გოლებმა აღელვებული „აიბროქსი“ დაადუმა.

საპასუხო შეხვედრაში თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. „ფიორენტინამაც“ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია, თუმცა არც შეტევები დავიწყებიათ და რამდენიმე ლამაზი კომბინაციაც შეასრულეს. დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ანგარიში საყიმო გახლდათ. მერე ჰამრინის ჯერი დადგა და შვედმა თავისი გოლით ფლორენციელებს მეორედაც მოაგებინა.

„ფიორენტინა“ პირველი იტალიური გუნდია, რომელმაც ევროთასი მოიპოვა. იმავე წელს „რომამაც“ მოიგო ბაზრობათა (დღევანდელი უეფას) თასი, მაგრამ ეს „ფიორენტინას“ ტრიუმფიდან ხუთი თვის შემდეგ მოხდა.

ფიორენტინა 1961 წელს. დგანან: გუნდის ექიმი, პეტრისი, მილანი, მიკელი, მწვრთნელი ჰიდეგკუტი, კლუბის პრეზიდენტი ბეფანი, გონფიანტინი, რიმბალდო და ადმინისტრატორი კიაპელა. სხედან: ჰამრინი, რობოტი, და კოსტა, ორზანი, ალბერტოზი და კასტელეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელის არქივიდან

...ეფეხება.

ყველაზე მოგებული, უდავოდ, ნიუ ჯერსია. არც მილუოკი უნდა უჩიოდეს ...ს, რადგან კასელი დაისაკუთრა. 29 წლის უკანახაზელი ახლა, მართა...ია, დამტვრეულია, მაგრამ გავიხსენოთ, რომ სეზონის გახსნის მატჩში 36 ...ულა ჩააგდო. ექვსწლიანი კარიერის მანძილზე კასელს უთამაშია ჰიუსტონ...ში, ფინიქსში და დალასში. მისი საშუალო მონაგარი 13,2 ქულა და 5,2 ...ასია.

ამის გარდა, შედგა რამდენიმე ნაკლებმნიშვნელოვანი გაცვლა. „ბოსტონ ...ელტიქსმა“ ცენტრი ენდრიუ დეკლერკი „კლივლენდ კავალერზში“ გააგზა...ნა, იქიდან კი მისი უკრაინელი კოლეგა ვიტალი პოტაპენკო გამოიძახა.

„ფილადელფია 76“-მა ტიმ ტომასის და სკოტ ვილიამსის სანაცვლოდ ...ილუოკისგან ტაირონ ჰილი და ჯერალდ ჰანიკატი მიიღო.

„ჰიუსტონ როკეტსმა“ უკან დაიბრუნა სემ მაკი, სანაცვლოდ კი „ვანკუვერ გრიზლიზს“ როდრიკ როუდზი მიართვა.

თმა ყოფილმა მოთამაშემ, დონიელ მარშალმა დალუპა, რომელმაც თავისი 14 ქულიდან ცხრა ბოლო მეოთხედში ჩაუგდო ძველ გუნდს.

იუტა 94:89 დენვერი

იუტა: მელოუნი (28 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

დენვერი: მაკდაიესი (39 ქულა, 11 მოხსნა)

დენვერის მთავარმა მწვრთნელმა თავის შეგირდებიდან ახალგაზრდა ანტონიო მაკდაიესს დაავალა მასპინძელთა ბებერი ლიდერის, მრისხანე კარლ მელოუნის შეჩერება. მაკდაიესმა მთა-

...ხსნა), ვეზერსპუნი (22)

ტორონტო: ვოლესი (20)

ტორონტომ თვით მაიამის მოუნდომა ძლევა და პირველი მეოთხედი მთელი რვა ქულით მოუგო, მაგრამ მასპინძელმა კანადურ გუნდს „თავხედობა“ არ აპატია და მესამე მეოთხედში 28:8 გაანადგურა.

ატლანტა 99:85 ბოსტონი

ატლანტა: მუტომბო (18 ქულა, 15 მოხსნა), ჰენდერსონი (18)

ბოსტონი: ვოლკერი (19)

ახალბედა პოლ პირსის დაკარგვით ბოსტონმა მძიმე დანაკლისი განიცადა.

სან ანტონიო	11	8	57,9
დალასი	7	14	33,3
დენვერი	5	15	25,0
ვანკუვერი	4	16	20,0
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი	15	3	83,3
ლეიკერსი	15	6	71,4
ფინიქსი	10	9	52,6
სიეტლი	10	9	52,6
გოლდენ სტეიტი	9	10	47,4
საკრამენტო	9	11	45,0
კლიპერსი	1	17	0,56



ზურაბ დოლიძე-ჯაფარიძის ფოტო

აზოტი — სტუ. რუსთაველი გოგობერიშვილი (ბურთით) მინაშვილის მოტყუებას ცდილობს

ეს მაჭარიც დაღვინდება...

12 მარტი თბილისი ვერის ბაღი	18 ტური

აზოტი 90:71 სტუ

I ტაიმი 49:36

აზოტი: ულენტი (8), კოჭლამაზაშვილი (13), გოგობერიშვილი (14), ბაბიაშვილი (25), ბერუაშვილი (18); გაბისონია (8), გოგოლაძე (4), ჩაჩუა

სტუ: გაგნიძე (4), ტულუში (5), ლოსაბერიძე (11), ცქიტიშვილი (12), ოთიურიძე (16); მოისწრაფიშვილი, ჩერქეზიშვილი (4), მინაშვილი (2), მიქაძე (11), ცხვედიანი (6)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

პრიზისი? — არა, საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე უბრალოდ დროებითი ჩავარდნა და რამე. დროებითიო, ამას ცოტა ადრე თუ იტყოდა კაცი, მაგრამ არამც და არამც ახლა. სტუდენტთა გუშინდელი თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, მათი სამეორეწრეო გამოსვლა კი ერთი სიტყვით ფასდება — ცუდი.

იქნებ დროა, ამ გუნდის სამზარეულოში უფრო ღრმად ჩავიხედოთ, ვინძლო წარუმატებლობის მიზეზებსაც ავხადოთ ფარდა. ხშირად გვითქვამს, სტუ კარგი გუნდია, კალათბურთელებიც ნორმალური ჭყავთო, წააგებდნენ და უმალ მწვრთნელებისკენ ვიშვერდით თითს, ტაქტიკას ვუწუნებდით. ეს ხომ ასეცაა, მარცხი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მწვრთნელების ბრალიცაა, მაგრამ იქნებ დღეს ასეთნაირად დაგვესვა საკითხი:

მწვრთნელის, თამაზ ოქრუაშვილის ბრალია სტუდენტთა ბოლოდროინდელი უგერგილობა, თუ იმავე ოქრუაშვილის დამსახურებაა, რომ არცთუ თვალშისაცემი შემადგენლობით სტუ კვლავაც მეორეადგილისნობს ჩემპიონატში. ვფიქრობ, მეორე თუ მესამე უფრო [illegible] „აზოტის“ ტოლ-სწორად მებრძოლი გუნდი შექმნას. ვიცე-ჩემპიონ რუსთაველთა უმეტესობა ხომ ბავშვობიდანვეა შეზრდილ-შეთამაშებული. მათ წლების მანძილზე ჩამოუყალიბდათ საკუთარი ხელწერა და ერთიანი სულისკვეთება, რაც ბარე ორ გუნდს შეშურდება.

ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტად გადმოვეცი სათქმელი, მაგრამ ერთი რამ უეჭველია — თამაზ ოქრუაშვილი კარგი მწვრთნელია და ეს მას არაერთხელ დაუმტკიცებია კიდეც. მაგრამ მარტო მწვრთნელი ვერას გახდება, თუ მოთამაშეებმაც არ გამოიღეს ხელი.

ამ მხრივ შეხმატკბილებულად და ძლიერად „აზოტი“ ირჯებოდა გუშინ. რუსთაველებმა ისე ითამაშეს, როგორც ვიცე-ჩემპიონებს ეკადრებოდათ და არც ის დაგავიწყდეთ, რომ მათ მთავარი დამრტყმელი ძალა, ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე აკლდათ დისკვალიფიკაციის გამო.

ეს ვითომ არაფერია, რუსთაველები თავიდანვე დაეპატრონნენ მატჩის სადავეებს. განსაკუთრებით მოულოდნელი ის იყო, რომ უჯაფარიძო აზოტელები ფარზეც მთლიანად გაბატონდნენ. სტუდენტთა მთავარი მარბიელი ზვიდა ბაბიაშვილი იყო, რომელმაც სამეურვეო ოთიურიძე მთლიანად გამოთიშა თამაშიდან და შეტევაშიც „აზოტის“ საწყისი 14 ქულიდან 11 თავად დააგროვა. ამ დროისათვის რუსთაველები სოლიდური სხვაობით იგებდნენ 14:5, თუმცა არც ამის შემდეგ მოდუნებულან და ჟღენტი-გოგობერიშვილის დუეტი უფრო და უფრო აწიოკებდა მოწინააღმდეგის დაცვას. კარგად თამაშობდა უკანახაზელი ილია კოჭლამაზაშვილიც. ეს უკანასკნელი გუშინ გუნდის ძირითად ხუთეულში ვიხილეთ თამაშობა [illegible] ბალანსდა. მათ თამაშში შეუთანხმებლობა იგრძნობა და რაც მთავარია, გუნდი ჯერაც დასალვინებელია. ამიტომ მათი მარცხი ბუნებრივიცაა, შეუძლებელია, რამდენიმე თვეში მწვრთნელმა „აზოტთან“ ტოლ-სწორად მებრძოლი გუნდი შექმნას. ვიცე-ჩემპიონ რუსთაველთა უმეტესობა ხომ ბავშვობიდანვეა შეზრდილ-შეთამაშებული. მათ წლების მანძილზე ჩამოუყალიბდათ საკუთარი ხელწერა და ერთიანი სულისკვეთება, რაც ბარე ორ გუნდს შეშურდება.

ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტად გადმოვეცი სათქმელი, მაგრამ ერთი რამ უეჭველია — თამაზ ოქრუაშვილი კარგი მწვრთნელია და ეს მას არაერთხელ დაუმტკიცებია კიდეც. მაგრამ მარტო მწვრთნელი ვერას გახდება, თუ მოთამაშეებმაც არ გამოიღეს ხელი.

ამ მხრივ შეხმატკბილებულად და ძლიერად „აზოტი“ ირჯებოდა გუშინ. რუსთაველებმა ისე ითამაშეს, როგორც ვიცე-ჩემპიონებს ეკადრებოდათ და არც ის დაგავიწყდეთ, რომ მათ მთავარი დამრტყმელი ძალა, ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე აკლდათ დისკვალიფიკაციის გამო.

ეს ვითომ არაფერია, რუსთაველები თავიდანვე დაეპატრონნენ მატჩის სადავეებს. განსაკუთრებით მოულოდნელი ის იყო, რომ უჯაფარიძო აზოტელები ფარზეც მთლიანად გაბატონდნენ. სტუდენტთა მთავარი მარბიელი ზვიდა ბაბიაშვილი იყო, რომელმაც სამეურვეო ოთიურიძე მთლიანად გამოთიშა თამაშიდან და შეტევაშიც „აზოტის“ საწყისი 14 ქულიდან 11 თავად დააგროვა. ამ დროისათვის რუსთაველები სოლიდური სხვაობით იგებდნენ 14:5, თუმცა არც ამის შემდეგ მოდუნებულან და ჟღენტი-გოგობერიშვილის დუეტი უფრო და უფრო აწიოკებდა მოწინააღმდეგის დაცვას. კარგად თამაშობდა უკანახაზელი ილია კოჭლამაზაშვილიც. ეს უკანასკნელი გუშინ გუნდის ძირითად ხუთეულში ვიხილეთ [illegible] ...ლ ... ბ ... ინ ... ...ლ ... ...ბ ... ...ბ ... ...ბ

რა ახლოს იყო კლიპერსი რეკორდთან!



REUTERS ლოს ანჯელესიდან

კლიპერსი — საკრამენტო. სეზონში პირველი გამარჯვებით გახარებულ კლიპერსელებს მწვრთნელი კრის ფორდიც (მარცხნივ) შეუერთდა

11 მარტი

ჩიკაგო 83:92 სიეტლი

ჩიკაგო: ბრაუნი (10), ჰარპერი (9), ბერი (10), კუკოჩი (28 ქულა, 11 მოხსნა), სიმპკინსი (4); ბრაიანტი (10), კარი (5), ბენჯამინი (4), დევიდი (2), ბუთი (1), ლენგი

სიეტლი: პეიტონი (25), ჰოკინსი (11), ოუენსი (2), ბეიკერი (18), პოლინაისი (4); შრემპფი (18 ქულა, 10 მოხსნა), ვილიამსი (7), ბერი (4), ელისი (3)

„სიეტლ სუპერსონიქსს" ჰაერივით სჭირდებოდა ეს მოგება, რადგან ზედიზედ მეექვსე მარცხის შემთხვევაში ცუდად წაუვიდოდა საქმე მთავარ მწვრთნელ პოლ ვესტფილს, რომელმაც თავისი სიეტლური კარიერის პირველ სეზონში გუნდს ჯერ ზედიზედ ექვსი თამაში მოაგებინა, მერე ზედიზედ ხუთი წააგებინა და კიდევ ჩიკაგოსთან მარცხი რომ მიეყოლებინა... არადა, ჩიკაგო ახლოს იყო მოგებასთან და სიეტლი შერცხვენასთან.

ამ გუნდებს მაინცდამაინც ტკბილი ურთიერთობა არ აკავშირებთ ერთმანეთთან, რადგან 1996 წელს ლიგის ფინალში თავის ისტორიაში მესამედ გასულმა სიეტლმა, სადაც მაშინ შონ კემპისა და გერი პეიტონის დუეტი ბრწყინავდა, ვერაფერი მოუხერხა ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანს და სერია 2:4 წააგო. მას აქეთ „სუპერსონიქსი" ჯორდანის ქალაქში მუდამ ცდილობდა, რაიმესთვის მიეღწია, მაგრამ სტუმარ გუნდსა და გამარჯვებას შორის ყოველთვის დიდი მაიკლი და მისი ბიჭები იდგნენ. პოლ ვესტფოლი თამაშის დაწყებამდე ერთობ ნერვიულობდა და შეგირდებს უსუსური ჩიკაგოს ძლევის ათასნაირ გზებს უსახავდა. ამათაც მთელი ძალ-ღონე შეალიეს დაჩაჩანაკებული ექვსგზის ჩემპიონის დამარცხებას. „ახლა ჩვენთან ყველაფერი რიგზეა — ამბობდა სიეტლის ლიდერი გერი პეიტონი — ჩვენ გვჭირდებოდა ეს მოგება და ბედნიერი ვარ, რომ ამის გაკეთება შევძელით." ჩიკაგოს წინააღმდეგ საერთოდ მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. ხელი თვით ვინ ბეიკერმაც გამოიღო — ჩიკაგოს თავდამსხმელებს გაუმკლავდა.

ჩიკაგო კი იბრძოდა და არცთუ ურიგოდ. პირველ ნახევარში მეტოქეზე უკეთაც თამაშობდა და ტაიმი 52:49 მოიგო, რაც უპირატესად კუკოჩის დამსახურებაა. მეორე ნახევარშიც არა უშავდათ მასპინძლებს და მათზე გაცილებით ძლიერი შემადგენლობის მქონე სიეტლს ტოლს არაფერში უდებდნენ, მაგრამ გერი პეიტონთან რას გახდებოდნენ. მან მატჩის დამთავრებამდე 2,12 წუთით ადრე სტუმრები 83:82 გაიყვანა წინ. მერე 46 წამიღა რჩებოდა, „ხარებს" თავისი მეხუთე და ბოლო სამქულიანი რომ ჩაუგდო, 88:82 გახადა და ფაქტობრივად გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ჩემპიონთა გუნდი კი ფაფხურობდა, მაგრამ ბოლო ორ წუთში მხოლოდ ერთ საჯარიმოს გამორჩა და მეტოქის დამარცხების იმედსაც გამოეთხოვა.



სპორტლოტის არქივიდან

სტივენ მარბერი ნიუ ჯერსიში გადაბარგდა

სამმაგი ვაჭრობით მინესოტამ იზარალა

ხუთშაბათს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დიდი ვაჭრობა გაჩაღდა. მოხდა რამდენიმე გაცვლა, რომელთაგანაც მინესოტა — მილუოკი — ნიუ ჯერსის ბარტერია აღსანიშნავი. ამ გარიგებაში ერთდროულად ცხრა კალათბურთელის ბედი გადაწყდა.

სავაჭრო კარუსელი ბოლოს იმით დასრულდა, რომ „ნიუ ჯერსი ნეთსმა" „მინესოტა ტიმბერვულვზისგან" მიიღო უკანახაზელი სტივენ მარბერი; „მილუოკი ბაქსში" ნიუ ჯერსიდან მივიდა სემ კასელი; მინესოტამ კი უკვე ექსმილუოკელი ტირელ ბრენდონი დაისაკუთრა. ამათ გარდა, დანარჩენი მოთამაშეები ასე გადანაწილდნენ: კრის კარი, ელიოტ პერი, ბილ კერლი — ნიუ ჯერსიში, კრის გეტლინგი, პოლ გრანტი — მილუოკში; ბრაიან ევანსი — მინესოტაში. ამასთანავე, მინესოტელებმა ნიუ ჯერსისგან მომავალი დრაფტის ერთი არჩევნის უფლებაც მიიღეს.

იმთავითვე ცხადია, რომ ყველაზე წაგებული ამ გარიგებიდან „მინესოტა ტიმბერვულვზი" დარჩა. 22 წლის მარბერი დიდი ძალა იყო. ამ სეზონის 18 თამაშში მან საშუალოდ 17,7 ქულა და 9,3 პასი გააკეთა. მის სანაცვლოდ მისული ბრენდონი და ევანსი დიდ ძალას რომ არ წარმოადგენენ, ყველას მოეხსენება.

ყველაზე მოგებული, უდავოდ, ნიუ ჯერსია. არც მილუოკი უნდა უჩიოდეს ბედს, რადგან კასელი დაისაკუთრა. 29 წლის უკანახაზელი ახლა, მართალია, დამტკრეულია, მაგრამ გავიხსენოთ, რომ სეზონის გახსნის მატჩში 36 ქულა ჩაგდო. ექვსწლიანი კარიერის მანძილზე კასელს უთამაშია ჰიუსტონში, ფინიქსში და დალასში. მისი საშუალო მონაგარი 13,2 ქულა და 5,2 პასია.

ამის გარდა, შედგა რამდენიმე ნაკლებმნიშვნელოვანი გაცვლა. „ბოსტონ სელტიქსმა" ცენტრი ენდრიუ დეკლერკი „კლივლენდ კავალერზში" გააგზავნა, იქიდან კი მისი უკრაინელი კოლეგა ვიტალი პოტაპენკო გამოიძახა. „ფილადელფია 76"-მა ტიმ ტომასის და სკოტ ვილიამსის სანაცვლოდ მილუოკისგან ტაირონ ჰილი და ჯერალდ ჰანკატი მიიღო.

„ჰიუსტონ როკეტსმა" უკან დაიბრუნა სემ მაკი, სანაცვლოდ კი „ვანკუვერ გრიზლიზს" როდრიკ როუდზი მიართვა.

11 მარტი

კლიპერსი 106:92 საკრამენტო

კლიპერსი: მარტინი (18 ქულა, 11 პასი)

საკრამენტო: დივაცი (19)

„მაიამი ჰითმა" ნბა-ში თავის პირველ 1988-89 წლების სეზონში სტარტზე 17 თამაში ისე წააგო, ერთი მოგება ვერ გამოურია და ამით ლიგის ისტორიის ანტირეკორდსაც გამოჰკრა ხელი. კლიპერსი კარგა ხანია, არსებობს, მაგრამ იშვიათად რომ პლეი ოფში მოხვდეს და სუსტი გუნდის სახელიც დაიმკვიდრა. წლეულს მან მაიამის მიღწევა გაიმეორა და დიდი შანსი ჰქონდა, რეკორდიც დაემყარებინა, მაგრამ მასზე ერთი თავით მაღლა მდგომ საკრამენტოს თავი შეაკლა და 18-ათას კაციან „ანაჰეიმ არენაში" მოსული მხოლოდ 7900 გულშემატკივარის მხარდაჭერით გამხნევებულმა შეძლო ამ სეზონში პირველი გამარჯვება ეზეიმა. მასპინძელთაგან ერთბაშად შვიდმა კაცმა გუნდს 10 ქულა და მეტი შეაწია, თავდამსხმელმა ლორენზენ რაიტმა კი 12 ქულას 25 მოხსნა დაურთო, ამდენი კი წლეულს ლიგაში არავის მოუხერხებია. რაიტს გარჯა ერთიორად დაუფასდა იმის გამო, რომ იგი ლიგის ჯერჯერობით უძლიერს მომხსნელს კრის ვებერს ებრძოდა და მას ამ სეზონში ყველაზე ცოტა 9 მოხსნა გააკეთებინა.

გოლდენ სტეიტი 89:82 მინესოტა

გოლდენ სტეიტი: მილზი (14), მარშალი (14)

მინესოტა: გარნეტი (22)

„მინესოტა ტიმბერვულვზმა" სეზონის დაწყებამდე ტომ გულიოტას დაკარგვა არ იკმარა და მილუოკისთან და ნიუ ჯერსისთან იმგვარ ვაჭრობას მიჰყო ხელი, გულიოტას ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი ახალგაზრდა სტივენ მარბერიც მიაყოლა. სამაგიეროდ, „მგლებმა" მიიღეს ერთ დროს ძლიერი, ახლა კი საშუალო დონის მარბერის ამპლუის მოთამაშე ტირელ ბრენდონი, ვისაც ტრავმები ჩვევად ექცა. ამ შეხვედრაში კი უმარბერედ დარჩენილი სტუმრები მათმა ყოფილმა მოთამაშემ, დონიელ მარშალმა დაღუპა, რომელმაც თავისი 14 ქულიდან ცხრა ბოლო მეოთხედში ჩაუგდო ძველ გუნდს.

იუტა 94:89 დენვერი

იუტა: მელოუნი (28 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

დენვერი: მაკდაიესი (39 ქულა, 11 მოხსნა)

დენვერის მთავარმა მწვრთნელმა თავის შეგირდებიდან ახალგაზრდა ანტონიო მაკდაიესს დაავალა მასპინძელთა ბებერი ლიდერის, მრისხანე კარლ მელოუნის შეჩერება. მაკდაიესმა მთავითვ მელოუნს რომ ვერაფერი დააკლო, დაცვიდან თავდასხმაში გადაიტანა აქცენტი და აჯობა კიდეც მეტოქეს. იმ დღეს მაკდაიესს ყველაფერი გამოუვიდა შეტევაში და იუტას კალათი აიკლო. მან 39 ქულიდან 15 ბოლო მეოთხედში ჩაუგდო მასპინძელს, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს ეულად მებრძოლს და ამასაც მთელი გარჯა წყალში გადაეყარა. კოლორადოელები განსაკუთრებით მათმა იმედმა, ნიკ ვან ექსელმა დააღალატა, რომელმაც 30 წუთში მხოლოდ 9 ქულის გაკეთება შეძლო.

დალასი 93:76 ორლანდო

დალასი: ტრენტი (21 ქულა, 10 მოხსნა)

ორლანდო: ანდერსონი (18)

შარშანდელს აქეთ მოღონიერებულ ორლანდოს შინ მედგრად მებრძოლი გუნდის სახელი კი აქვს, მაგრამ სტუმრად უფრო მეტს აგებს, ვიდრე იგებს. ახლაც მასზე გაცილებით სუსტ დალასს ვერაფერი დაუკლო და გვარიანი სირცხვილიც ჭამა. დალასის მწვრთნელმა დონ ნელსონმა თავისი შეგირდები შეაქო — კარგი ბიჭები არიან, მანამდეც რომ ასე გვეთამაშა, რა გვიჭირდაო და გულშემატკივრებს ამცნო, ამ მატჩით ჩვენში გარდატეხა მოხდა და აწი ყველაფერი კარგად იქნებაო.

ჰიუსტონი 102:91 ვანკუვერი

ჰიუსტონი: ოლაჯუონი (31 ქულა, 11 მოხსნა), ბარკლი (24 ქულა, 16 მოხსნა)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (27), ბიბი (26)

ჰიუსტონის ბებერმა ცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუონმა პირველ ნახევარში შვიდი სროლიდან ყველა ჩაუგდო უხეირო მეტოქეებს და 17 ქულას მოუყარა თავი, საერთოდ მატჩში კი სეზონში ყველაზე მეტი, 31 ქულა მიითვალა. მშვენივრად გაისარჯა სერ ჩარლზ ბარკლიც. მართალია, ამის დიდი საჭიროება არც იყო, მაგრამ სკოტი პიპენმა ბევრი ვერაფერი შეძლო და 41 წუთში მხოლოდ ექვსი ქულა შეაწია თავისიანებს.

მაიამი 83:73 ტორონტო

მაიამი: მურნინგი (23 ქულა, 16 მოხსნა), ვეზერსპუნი (22)

ტორონტო: ვოლესი (20)

ტორონტომ თვით მაიამის მოუნდომა ძლევა და პირველი მეოთხედი მთელი რვა ქულით მოუგო, მაგრამ მასპინძელმა კანადურ გუნდს „თავხედობა" არ აპატია და მესამე მეოთხედში 28:8 გაანადგურა.

ატლანტა 99:85 ბოსტონი

ატლანტა: მუტომბო (18 ქულა, 15 მოხსნა), ჰენდერსონი (18)

ბოსტონი: ვოლკერი (19)

ახალბედა პოლ პირსის დაკარგვით ბოსტონმა მძიმე დანაკლისი განიცადა. პირსი, რომელიც ლიგის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა დრაფტში 10-ე ნომრად აირჩია, მშვენივრად შეეწყო „სელტიქსს" და მის ლიდერ ანტუან ვოლკერთან ერთად ჩინებული დუეტიც შექმნა, მაგრამ წინა მატჩში მარჯვენა კოჭი იტკინა და ამ შეხვედრაში ეულად დარჩენილმა ვოლკერმა ვეღარაფერი გააწყო ჯორჯიელებთან, რომლებმაც შინ ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმეს.

ნიუ იორკი 98:86 ვაშინგტონი

ნიუ იორკი: კემბი (19 ქულა, 12 მოხსნა), ჰიუსტონი (19)

ვაშინგტონი: რიჩმონდი

წინა მატჩში ტრავმამიღებული პატრიკ იუინგის ადგილი ნიუ იორკის სასტარტო ხუთეულში მარკუს კემბიმ დაიკავა და დედაქალაქელებს არავითარი შანსი არ დაუტოვა.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
მაიამი	15	5	75,0
ორლანდო	14	7	66,7
ფილადელფია	11	8	57,9
ნიუ იორკი	11	8	57,9
ვაშინგტონი	8	11	42,1
ბოსტონი	7	10	41,2
ნიუ ჯერსი	3	15	16,7
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	13	5	72,2
მილუოკი	12	5	70,6
დეტროიტი	11	8	57,9
ატლანტა	10	9	52,6
კლივლენდი	8	9	47,1
ტორონტო	6	11	35,3
შარლოტი	5	12	29,4
ჩიკაგო	5	14	26,3

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა	15	4	78,9
მინესოტა	12	7	63,2
ჰიუსტონი	12	8	60,0
სან ანტონიო	11	8	57,9
დალასი	7	14	33,3
დენვერი	5	15	25,0
ვანკუვერი	4	16	20,0
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი	15	3	83,3
ლოს-ანჯელესი	15	6	71,4
ფინიქსი	10	9	52,6
სიეტლი	10	9	52,6
გოლდენ სტეიტი	9	10	47,4
საკრამენტო	9	11	45,0
კლიპერსი	1	17	0,56

ევროპამ წილი ყარა

გუშინ პარიზის მერიაში გაიმართა ევროპის 1999 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა. 16 გუნდი ჯგუფებში ასე განაწილდა:

EUROBASKET 99

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი

ჯგუფური ტურნირი

21, 22 და 23 ივნისი

ტულუზი	ქლერმონ-ფერანი	ანტიბი	დიუონი
იუგოსლავია	რუსეთი	იტალია	საბერძნეთი
საფრანგეთი	ესპანეთი	თურქეთი	ლიტვა
ისრაელი	სლოვენია	ხორვატია	გერმანია
მაკედონია	უნგრეთი	ბოსნია	ჩეხეთი
A	B	C	D
1	1	1	1
2	2	2	2
3	3	3	3
4	4	4	4

მერვედფინალები

26, 27 და 28 ივნისი

პო	ლე მანი
E 1	F 1
E 2	F 2
E 3	F 3
E 4	F 4
E 5	F 5
E 6	F 6

პარიზი

მეოთხედფინალები

1 ივლისი

E1 - F4 | E3 - F2 | E2 - F3 | E4 - F1

ნახევარფინალები

2 ივლისი

E1/F4 - E3/F2 | E2/F3 - E4/F1

ფინალი

3 ივლისი

ევროლიგა. მერვედფინალი. გადამწყვეტი მატჩები. 11 მარტი

ოლიმპია 57:64 პო ორტეზი (სერია — 1:2)

ოლიმპია: დანეუ, დუშჩაკი (11), იურკოვიჩი (7), კოტნიკი (8), კრალევიჩი, მაკდონალდი (12), მუტავჯიჩი (5), ნოვაკი (2), ტეილორი (6), ზდოვცი (6)

პო ორტეზი: აიშა (4), დევისი (18), ევოდო (7), ფატუ (3), ფუარე, დ. გადუ (7), ტ. გადუ (7), გრანტი (8), სმიტი (10)

ვილერბანი 74:70 ციბონა (სერია — 2:1)

ვილერბანი: ადამსი (4), ბილბა (14), ბლომი (3), დიგბო (16), ჰენრი (14), პალმერი (13), პერსევო, პლუვი, რადი (10)

ციბონა: ატკინსი (2), გირიჩეკი (2), გრგატი (12), კრსტიჩი (12), მარცელიჩი (13), ნიჩევიჩი, პრკაჩინი (12), ვრანკოვიჩი (17)

მეოთხედფინალი. 23 და 25 მარტი (გადამწყვეტი მატჩი 1 აპრილს)

ულალგირისი — ეფესი | პო ორტეზი — კინდერი

ტიმსისტემი — რეალი | ოლიმპიაკოსი — ვილერბანი

კორაჩის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. 10-11 მარტი

ადეკო (ესპანეთი) — ოსტენდე (ბელგია) 75:61

(პირველი მატჩი — 84:82)

ადეკო: აზოფრა (6), ბარსენასი (2), დე მიგელი (3), ხიმენესი (2), მარტინესი (10), რეიესი (12), რობლესი (4), ტომპსონი (10), ვანდიკვერი (26)

ოსტენდე: ბაიერი (2), დე სევერი (2), გუტალსი (7), ჟომინი (11), ჟერომი (12), ლაუერსი (9), ლოლისი (6), მიტჩელი (8), ვან დენ შეიგელი (4)

ბარსელონა (ესპანეთი) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 91:61

(პირველი მატჩი — 80:71)

ბარსელონა: ალსტონი (6), ჯორჯევიჩი (8), დუენიასი (1), ესტელერი (18), ფერნანდესი (11), მონუერა (2), გუროვიჩი (16), ნავარო (5), რენციასი (15), როდრიგესი (9)

პანიონიოსი: კასოლი (3), კუპერი (2), დრელიოზისი (3), კამარიოტისი (2), კარაგუტისი (8), კიკილიასი (11), იელიჩი (10), ლიმნიატისი, სიმსი (17), სტავრაკოპულოსი (5)

ფინალი. 24 და 31 მარტი

ადეკო (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)

კავშირმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალა

გარეულმა სორელმა შინაური მოდებაძე გააგდო

დასაწყისი პირველ გვერდზე

მავანი შეიძლება შემოგვედავოს, რა ორ კვირაში შეკრებილი ნაკრები ეგაა, უელსში თამაშის შანსიც ხომ ჯერაც არ დაგვიკარგავსო. საბოლოოდ ჯერ არა, მაგრამ 80%-ით უკვე გავუშვით ხელიდან ეს შესაძლებლობა და ტონგის ნაკრებიც დიახაც რომ ორ კვირაშია შეკოწიწებული. მატჩამდე ორი კვირით ადრე ტონგის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ტევიტა ლატაილაკეპამ ასეთი რამ გვითხრა: „სამხრეთაფრიკელი სპეციალისტები კი ჩამოვიყვანეთ, მაგრამ ლეგიონერთა ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი ჯერაც არ არის გარკვეული. პრობლემას ისიც ქმნის, რომ მწვრთნელებს ჩვენი ლეგიონერები საქმეში არ უნახავთ. მათი შეთამაშება და ნაკრებისთვის საბოლოო სახის მიცემა გაძნელდება“.

რისი ბრალი იყო ბორჯღალოსანთა ასეთი ფიასკო და ვინ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა მომხდარზე? ამ მარცხში ბრალი ყველას მიუძღვის — რაგბის კავშირსაც, მწვრთნელებსაც და მოთამაშეებსაც.

არა არს დაფარული, რომ არ გაცხადდესო. ეტყობა, ჩვენი რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვი ეპარებოდა.

არავითარი პრობლემა, ნაკრებში ყველაფერი კარგად არის, მწვრთნელებიც მშვენივრად უგებენ ერთმანეთსო — გვარწმუნებდნენ კავშირში ამ ცოტა ხნის წინ. ერთი შეხედვით, კავშირის ხელმძღვანელებმა სწორი ნაბიჯი გადადგეს, როდესაც ამ ფინანსური შეჭირვების ჟამს ნაკრებს ფრანგი კონსულტანტი გამოუნახეს. მაგრამ ისინი იმაში ცდებიან, რომ მწვრთნელ-კონსულტანტისთვის უფლებები ვერ გაუნაწილებიათ. იურიდიულად გურამ მოდებაძეა ნაკრების თავკაცი, ფაქტობრივად კი — ფრანგი კლოდ სორელი. გურამ მოდებაძეს ეუბნებიან, შენ ხარ მთავარი მწვრთნელიო, მაგრამ სინამდვილეში გუნდის ბატონ-პატრონად კლოდ სორელი გვევლინება. გაურკვევლობა დუბლინიდან დაიწყო, სადაც საქართველოს ნაკრები ირლანდიელებს და რუმინელებს გაეჯიბრა. იქიდან ჩამოსულმა გურამ მოდებაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გუნდის შემადგენლობას და ტაქტიკას მე არ განვსაზღვრავდიო. აქედან გამომდინარე, რუმინელებთან მარცხი ჩვენების ფრანგი დამრიგებლის სინდისზეა.

სახელს რა ჭკუა აქვს. კლოდ სორელზე მოგახსენებთ. უდიდესი ცოდნა-გამოცდილების პატრონიაო, გვიკიჟინებდნენ. ეს კაცი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის კონსულტანტობას არ სჯერდება, ჩვენებურებს თავადვე ავარჯიშებს და კონკრეტული მატჩისთვის შემადგენლობასა და ტაქტიკასაც განსაზღვრავს. დაუჩემებია, ევროპული რაგბი უნდა გათამაშოთო. არაევროპულს რომ ვთამაშობდით, იმიტომ ვერ ვუგებდით ვერავის მის მოსვლამდე. ყველამ იცოდა, რომ ტონგოელებისთვის არ უნდა მიგვეცა ბურთის გათამაშების საშუალება. მით უმეტეს, რომ შერკინებაში უპირატესობას ~~ვფლობდით~~ ყველაფერი პირიქით მოხდა. სორელის ტაქტიკა იყო ასეთი. რა შედეგიც მივიღეთ, ყველამ იცის.

და გურამ მოდებაძე? რაც ეს ფრანგი აქ არის, იგი დღემუდამ გაიძახოდა, კარგი კაცია და უთუოდ წაადგება ქართულ რაგბისო. თუკი აქამდე კარგი კაცი იყო სორელი, ახლა გახდა ცუდი? რატომ დუმდა აქამდე? ახლაღა ირკვევა, რომ რაფავას კაპიტნობიდან გადაყენებისა და იურინის გუნდში გამოუძახებლობის ინიციატორი ჩვენი ფრანგი კონსულტანტი ყოფილა. ან მე, ან რაფავაო — განუცხადებია დუბლინში.

ახლა ფიჯიზე რა მოხდა, ალარ იკითხავთ? როგორც ირკვევა, ძია ბურძგლა ფიჯიზე შეკრების მოწყობის წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ სორელის მოთხოვნით, ნაკრები იქ მაინც გამგზავრებულა. მოგეხსენებათ, პოლინეზიამდე გუნდმა შეერთებული შტატები გაიარა. ამერიკაში ჩასულებმა აღმოაჩინეს, რომ ამ ქვეყნის ვიზა არ ჰქონდათ, რადგან მავანს საგარეო საქმეთა სამინისტროში უთქვამს, ამერიკაში სატრანზიტო ვიზა საჭირო არ არისო. პირიქით კი ყოფილა. სანამ ქართველებმა ადგილზე ვიზები არ იყიდეს, პოლიციელებს ჰყავდათ დაკავებული. როგორც იქნა, იქაურობას თავი დააღწიეს და... მეორე პრობლემა — ფიჯი. ორი დღე გუნდი სასტუმროში იყო და გარეთ არ უშვებდნენ. მერე კი, ამერიკის მსგავსად, ვიზების ყიდვა მოუხდათ. ბუნებრივია, როცა სადმე შეკრებას ვეგმავ, ყველა ხარჯი უნდა გაითვალისწინო, მერე რომ არ გაგიხდეს თავში საცემად საქმე. რაგბის კავშირს კი, როგორც გაირკვა, ხარჯები სწორად ვერ გაუთვლია და ბორჯღალოსნებსაც ამიტომ ჰქონიათ გარღვევა ბიუჯეტში. ის კაფე, სადაც ქართველნი უნდა დაპურებულიყვნენ, თურმე საღამოს ექვს საათზე იკეტებოდა, ბორჯღალოსნებს კი საღამოს შვიდ საათზე უმთავრდებოდათ მეორე ვარჯიში, ამიტომ საკვებად წასვლა სხვაგან უწევდათ, სადაც ყველაფერი ორჯერ ძვირი იყო. გარდა ამისა, სასმელი წყალი 0,33-ლიტრიან ბოთლებში 5 დოლარი ღირდა. რამდენ წყალს დალევდნენ იმ აუტანელ სიცხეში მორაგბეები, თავადაც მიხვდებით. ერთი სიტყვით, წყალი საჭმელზე ორჯერ ძვირი დაუჯდათ. ხარჯებში არც ეს ყოფილა გათვალისწინებული. საბოლოოდ სასტუმროს პერსონალმა ქართულ დელეგაციას ანგარიში რომ წარუდგინა, აღმოჩნდა, რომ იმ რაოდენობის თანხა მხოლოდ კლოდ სორელს ჰქონდა პლასტიკურ ბარათზე. მასპინძლებს უთქვამთ, ეგ ბარათი დაგვიტოვეთ და თუ ათი დღის განმავლობაში ფული ჩვენს ანგარიშზე არ გადმოირიცხება, მხოლოდ ამის შემდეგ მოვხსნით თანხას სორელის ანგარიშიდანო. იმან კი, თქვენი პრობლემები მე არ მადარდებსო... ფიჯიზე გირაოში გურამ მოდებაძე დარჩა. თითქოს საზრუნავი აკლიათო და ტონგაში ჩასულებს დაზღვევის არქონის გამო სათამაშოდ არ უშვებდნენ. ფრანგებმა აქაც დაიზღვიეს თავი, ჩვენ არაფერი გვეხებაო და მშვიდად დაიძინეს, ბიჭებმა კი ამ საქმის მოგვარებასა და ნერვიულობაში მთელი ღამე თეორად გაათენეს. რაღა გასაკვირია, რომ მეორე დღეს თამაშზე სათანადოდ ვერ გამოიყურებოდნენ. ამას სორელის მიერ არჩეული არასწორი სტრატეგია და ტაქტიკაც დაუმატეთ და ნათელი გახდება, რატომ დავმარცხდით ასე საშინლად.

საბოლოო დასკვნა ასეთია — რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ორივე მხარეს უნდა განუმარტოს თავისი უფლება-მოვალეობა, ან მოდებაძეს ანდოს ნაკრების მწვრთნელობა და სორელს მხოლოდ კონსულტანტობა დაავალოს, ანაც ფრანგს ჩაბარდეს ნაკრების სადავეები. ისე კი, შეგირდთა ღირსება და ნაკლი აღმზრდელზე მეტად, არა გვგონია, უცხოტომელმა იცოდეს, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც კი არ ესწრება. სხვაგვარად საქმე არ აეწყობა. მწვრთნელი და კონსულტანტიც კვლავ ვერ იგუებენ ერთმანეთს და ვიქნებით მუდმივად დამარცხებულნი და შერცხვენილნი ირლანდიელთაგან, რუმინელთაგან, ტონგელთაგან...

პაატა თოთაძე

გიო ახვლედიანის

სვეტი

მუკამბა

საქართველოს ნაკრების ტონგაზე თამაშმა ჩვენი მედიის ფრიადი ყურადღება დაიმსახურა. საქართველოს ნაკრებმა მოსალოდნელზე დიდი ანგარიშით წააგო შორეული არქიპელაგის არტისტულ შვილებთან და რეკეშაჟის დაძლევა სათუოდ გაიხადა.

ჩვენი რაგბის მეურნეობის შესახებ ყოველთვის ბევრს ლაპარაკობდნენ და თან არცთუ მშვიდად. ახლა ეს ლაპარაკი ასევე მღელვარეა და ერთგვარად მართალიცაა. რაგბს საქართველოში ბევრი არაფერი აბადია, მაგრამ საერთაშორისო ცხოვრებაში კი მონაწილეობდა და ამით მაყურებელს და ქომაგს გულს უხარებს.

მე თუ მკითხავთ, რაგბი საოცარი სიცხადით გამოხატავს ქართველი ადამიანის მოსაწონ და არცთუ სახარბიელო თვისებებს. ის, რაც მოსაწონია ჩვენს სარაგბო სულში, ბევრი დარდუბარა კაცისთვის გამოდგება სამაგალითოდ და გამოსაფხიზლებლად. ის, რაც ტაშის საკვრელი არ არის, საზოგადო სნეულებადაც დაისახება. დაუფიქრებლობა ხვალინდელი დღის გამო.

ქართველების თვალუწვდენელი ოკეანის კიდეზე მოგზაურობა წაგებით კი დასრულდა, მაგრამ როცა კაცი მონდომებით თამაშობს, მისი წაგების გამო განქიქება, უსინდისობაა. შეიძლება ნაკლი აღნიშნო, მაგრამ განქიქება... არაფრით. ქვეყნიერების დასალიერიდან მოსულ ამბავთაგან უფრო სკანდალური გამოდგა ისტორია ნაკრების მწვრთნელ გურამ მოდებაძისა, რომელიც ფიჯიური სასტუმრო „მუკამბას“ ფაქტიური ტყვე შეიქნა თანხის გადახარჯვის გამო (ვგარიანი თანხა) და ნაკრებს ტონგაზე ვერ გაჰყვა. მოდებაძე მხოლოდ ფულის თბილისიდან გადარიცხვის შემდეგ განთავისუფლდა.

ამ ამბის გამო გაზეთებმა ბევრი ილაპარაკეს და ჩვენი რედაქციაც სულ ტელეფონით და ინტერნეტით ელაპარაკებოდა „მუკამბას“ მეპატრონეებს (სასტუმროს ნომრების ფასები, ჩვენების მიერ დაჭერილი ოთახების რაოდენობა, შეხიბ... ყველაფერი ცნობილია). ამიტომ სიტყვის გაგრძელება არ ღირს.

ამის მიუხედავად ინფორმაცია სრული არ არის და მეტის მოპოვებაც ჯერჯერობით ვერ მოხერხდება.

რა მოხდა ფიჯიზე და რა დაიხარჯა პრინციპში უცნობია.

მე თუ მკითხავდით, ყოველი სკანდალი ტრაგედიასა და კომედიას შუა თამაშობს. ისეთი სკანდალებიც კი, ოვალური კაბინეტის პატრონს რომ შეემთხვა, ანდა, დევიდ ბექემს და დიეგო სიმეონეს რომ გადახდათ თავს. ამიტომ ჩვენი სკანდალიც არ არის გამონაკლისი.

და პრინციპში, რა მოხდა ასეთი გადასარევი? მუკამბელებმა მთავარი მწვრთნელი დიტოვეს, ნაკრებს კი გაჰყვა კონსულტანტი სორელი, რომლის გამოც, ასევე ბევრი ლაპარაკია ბოლო დროს. მგონია, რომ თუკი კონსულტანტი ადგება ნაკრებს, ისეთი კეთილშობილი მევენახე, როგორც ბატონი სორელია კი არა, მარშალი პეტენიც უნდა დავიხმაროთ. თუმცა, რაგბი ერთადერთი სპორტია საქართველოში უცხოელთა გამოცდილებისა და ცოდნის რომ ეშინია.

თანაც, გურამ მოდებაძე საოსალამათი დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს.

მაგრამ ჟურნალისტიკას ერთი უხერხული თვისება აქვს. უხერხული თავისი გმირებისთვის. როცა ინფორმაციის არხები გადაყეტილია, ჟურნალისტი მარჩიელობს და ეჭვობს. ესენი იქეთ იყოს და სადღაც სხვაგან მეკაჩება ფიქრი. ქართველები არ ვართ?

და მეც ცნობილი, გამოცდილი, ათასგზის ნანახი ქართული ხალხური ამბავი მახსენდება.

ხომ ვიცით, რაც არის ქართული ამბავი? ამის გამო ამ სვეტის მესამე აბზაცის ბოლო სტრიქონშიც შეგნიშნე.

არ მინდა, რომ ტრაგიკომიკური ფიჯური ამბავი ჩვენი ერთერთი სნეულების გამოვლინება იყოს.

მაინც აქეთ გადამქაჩა — ინფორმაცია ჟურნალისტიკის მეფეა.

ქართული ხალხური ამბავი — საქართველოს მეფე. ალბათ ამიტომაც, კარგი გინდა და მაინც ცუდს ფიქრობ.

ამაღამ ნიუ იორკში

ამაღამ ბებერ „მედისონ სკვერ გარდენში“ დონ კინგის მიერ ორგანიზებული მორიგი საკრივო შოუდაანი გაიმართება. თუმცა, „მორიგი“ სწორი შეფასება არ არის, რადგან მძიმე წონის უდავო ჩემპიონობისთვის ბრძოლა, მორიგი რამ სულაც არ გახლავთ. სასწორზე დევს ამერიკაში სამი ყველაზე დიდი საკრივო — დაწესებულების საბჭოს, ფედერაციისა და ასოციაციის ქამარი.

ერთის მხრივ დგას ატლანტელი ევანდერ ჰოლიფილდი, 36 წლის ახალგაზრდულად გამოყვანილი, თავდაკერებული და ტექნიკური ჩემპიონი. მეორეს მხრივ, 33 წლის ბრიტანელი ლენოქს ლუისი, ასევე ჩემპიონი, გოლიათურად აღნაგი, ინტელიგენტური სტილის მოკრივე.

ჰოლიფილდი შედეგის მიუხედავად 20 მილიონ დოლარს მიიღებს, ლუისი მხოლოდ ათს.

მთელი კვირა მიმდინარეობს ურთიერთლანძღვა, რაც ჰოლიფილდის მხრიდან გასაკვირი არ არის, რადგან ამერიკელი მძიმეწონოსანთათვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ლუისის მხრივ კი დიახაც გასაკვირია, რადგან ამ კაცს არასდროს დაუძრავს კრინტი სხვათა პირადი ცხოვრების გამო.

ჭადრაკის მოყვარე და წესიერი ლუისი მორალურ იერს უწუნებს ჰოლიფილდს, რომელსაც ერთი ცოლი კი ჰყავს, მაგრამ ცხრა შვილი გაუჩენია ექვსი ქალისგან, აქედან ხუთი უკანონოდ. ლუისს ეცინება ჰოლიფილდის გაუთავებელ ლაპარაკზე ღმერთის შესახებ და მისი ქრისტიანობა მოგონილი ჰგონია. „ეგ იმას ჰგავს, მე რომ დილით ვთქვა, არ ვსვამო და საღამოს რომ გავილეშო“ — ხითხითებს ლუისი.

ჰოლიფილდი კი ღმერთის „ხმებს“ ეყრდნობა და აცხადებს, ზემოდან ხმა მესმა, ეგ აყლაყუდა ჯეელი მესამე რაუნდში უნდა დავგდოო.

ორივენი თავიანთ სრულ მზადყოფნას აღნიშნავს.

ლუისს მწვრთნელობს ემანუილ სტიუარდი, ჰოლიფილდის გამზრდელი და დიდ მოკრივედ გადამქცევი კაცი. სტიუარდი ალბათ საუკეთესო მწვრთნელია დღევანდელ კრივში. მას კარგი ურთიერთობა აქვს ჰოლიფილდთან, თუმცა, ორი წელიწადია ღიად მოუწოდებს თავის ყოფილ შეგირდს, სანამ ნაწილ-ნაწილ დაშლილხარ, კრივს გამოეთხოვეო. ამაში სტიუარდით ჰოლიფილდი რინგზე წაქცევას კი არა გულისხმობს, არამედ ჯანმრთელობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოთხიოდ წლის წინათ ჰოლიფილდს გული და სისხლის მიმოქცევა წესრიგში არ ჰქონდა და ექიმები საკრივო ლიცენზიასაც კი ართმევდნენ, მაგრამ ატლანტელი ატლანტი რაღაც იდუმალი გზებით გამოჯანმრთელდა და გაახალგაზრდავდა.

ამიტომაც ვიხსენებთ რობერტ ზემეკისის ფილმს „მას სიკვდილი უხდება“, სადაც უკვდავების ელექსირს დაწაფებული აშაღლარი ქალები ბოლოს საზიზღარნი ხდებიან.

სტიუარდი კი ამბობს: „მე და ევანდერი ახლობლები ვართ. მაგრა მე რომ მისი მწვრთნელი ვყოფილიყავი, ის დღეს აღარ შეხვდებოდა ლენოქს ლუისს — კრივს ტაისონთან ბრძოლის შემდეგ გამოეთხოვებოდა. ასე უკეთესი იქნებოდა მისთვის“.

იმავ სტიუარდის აზრით, ამაღამდელი შეყრა ემოციური და სანახაობრივი იქნება, მაგრამ ხუთ რაუნდზე მეტს არ გაგრძელდება.

„ევანდერს უდავო ჩემპიონობა სწადია, მაგრამ არასწორ გზაზე დგას“, — ამბობს სტიუარდი.

თავის მხრივ, ჰოლიფილდის მწვრთნელი დონ ტარნერი აღიარებს: „ჩანს, ლუისი თავის საუკეთესო ბრძოლას ჩაატარებს. ევანდერს არ სჩვევია წინდაწინ რაუნდების დასახელება. ამჯერად, განაცხადა მესამე რაუნდში მოვიგებო. მე ეკითხე, ორი რაუნდი რაღად გინდოდა, ბარემ გეთქვა პირველივეში წავაქცევო. მაგრამ ეს ხუმრობაა. ჩვენ მზად ვართ“.

ბებერი „მედისონ სკვერიც“ მზადაა. ფეი-ფერ-ვიუს ტელეარხიც „კეიბელვიჟენი“, ტოტალიზატორებიც და რა თქმა უნდა, გაქნილი დონ კინგიც.

ამაღამ — სისხლი დაიღვრება. ეს არ არის მოწოდება ომისკენ. ომი კარგა ხანია დაიწყო.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ევანდერ ჰოლიფილდი

ფედერაციის (იბფ) და ასოციაციის (ვბა) ჩემპიონი (36-3)
დაიბადა 1962 წლის 19 ოქტომბერს
ცხოვრობს ატლანტაში
მწვრთნელი — დონ ტარნერი
მონაწილეობდა 1984 წლის ოლიმპიადაში
კარიერის მთავარი მოვლენები:
მოიგო მძიმე წონის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ბასტერ დაგლასის წაქცევით (1990)
დაკარგა ტიტული რიდიც ბოუსთან შერკინებაში (1992) და დაიბრუნა რემატჩში (1993)
წააგო ქამარი მაიკლ მურერთან (1994)
ნოკაუტით წაართვა ასოციაციის ჩემპიონობა მაიკ ტაისონს და რემატჩიც მოიგო ტაისონის დისკვალიფიკაციის (ყურის ამბავი) გამო (1997)
მოუგო ფედერაციის ჩემპიონობა მურერს (1997)

97,5კგ	წონა	111,5კგ
1,87მ	სიმაღლე	1,96მ
114სმ	გულისფიცარი (ჩასუნთქულზე)	117სმ
109სმ	გულისფიცარი (ამოსუნთქულზე)	112სმ
40სმ	მკლავი	43სმ
30სმ	მხარბეჭი	38სმ
81სმ	წელი	86სმ
56სმ	ბარძაყი	66სმ
48სმ	კისერი	47სმ
19სმ	მტევანი	20სმ
30სმ	მუშტი	30სმ

ლენოქს ლუისი

საბჭოს (ვბუ) ჩემპიონი (34-1)
დაიბადა 1965 წლის 2 სექტემბერს
ცხოვრობს ლონდონში
მწვრთნელი — ემანუილ სტიუარდი
მონაწილეობდა 1984 და 1987 წლის ოლიმპიადებში კანადის სახელით.
კარიერის მთავარი მომენტები:
ნოკაუტით მოუგო რეჩორ რადიუს (1992)
უბრძოლველად მიიღო საბჭოს ჩემპიონობა მას შემდეგ, რაც რიდიც ბოუმ უარი თქვა ამ ტიტულზე (1992)
დაიცვა ტიტული ტონი ტაკერთან და ფრენკ ბრუნოსთან ბრძოლებში (1993)
დაკარგა ტიტული ოლივერ მაკკოლთან შეხვედრაში (1994)
დაბრუნა ტიტული იმავე მაკკოლთან შერკინებით (1997)
დაიცვა ტიტული ჰენრი აკუნანდესთან (1997), ენდრიუ გოლოტასთან (1997) შენონ ბრიგსთან (1998) და ფელიკს მავროვიჩთან (1998) ბრძოლებში.

დგომა თუ შრომა?

ინდიან უელსი. აშშ.
„ნიუზუიქის თასი“. ჰარდი.
საპრიზო 2,45 მილიონი $

პიტ სამპრასს ამ დღეებში ერთადერთი თავის სატკივარი აქვს — კარლოს მოია. მსოფლიოს პირველ ჩოგნობაში მოცილე სამი კონკურენტი ამერიკელს მეორე წრეშივე ჩამოსცილდა და ახლა საფრთხე მხოლოდ როლან გაროსის შარშანდელი ჩემპიონისგან ელის, რომელსაც კალიფორნიულ უდაბნოში ფინალში გასვლაც შეიძლება ეყოს კლასიფიკაციის სათავეში მოსაქცევად.

„პირველობაზე ფიქრი გამუდმებით მიტრიალებს თავში, მაშინაც კი, როდესაც არ მსურს. ვცდილობ, თავიდან მოვიშორო, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. კორტზეც რომ გავდივარ, დასაწყისში ზედმეტად ვნერვიულობ, რაც, ალბათ, ყველასათვის შესამჩნევია. მეორე მხრივ, ბედნიერი ვიქნებოდი, ასე ყოველდღე რომ ვიყო. ეს იმას ნიშავს, რომ პირველ ადგილს ძალიან მცირე რამ მაშორებს“ — გამოუტყდა მერვედფინალის შემდეგ ჟურნალისტებს ესპანელი (4).

მესამე წრეში მოიას შედარებით იოლი მეტოქე ჰყავდა — თმის ღებვაში ფენის როდმანის მიმდევარი ქსავიე ძალისი. გაუგებარია, როგორ ერგო კლასიფიკაციით 174-ე 18 წლის ბელგიელს ამერიკული ტურნირის უაილდ ქარდი, წინა წრეში მან ხორვატი გორან ივანიშევიჩი დაამარცხა. თუმცა ახლა ესპანელის მკვლელ ფორჰენდს ვერაფერი მოუხერხა და 4:6, 3:6 წააგო.

როგორც აღმოჩნდა, მოიას წინსვლა გარკვეულწილად მისი ახლო მეგობრის, ალექს კორეტხას წარმატებებმა განაპირობა: „როდესაც ალექსი მეორე ჩოგანი გახდა, ვიფიქრე, თუ მან შეძლო ეს, მეც არ ჩამოვრჩებიმეთქი, შარშან ხომ რამდენჯერმე დავამარცხე. მისი გასწრება ჩემთვის დამატებითი სტიმული გახდა. როდესაც დასახულს მიაღწევ, ახალი მიზანი უნდა დაისახო. ჩემი ბავშვობის რამდენიმე ოცნება უკვე ავიხდინე, შემდეგი — კლასიფიკაციის პირველი ადგილია.“

მარსელო რიოსი

სარგებელის არქივიდან

მოიასგან განსხვავებით, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, მარსელო რიოსს ამჟამად გაცილებით მოკრძალებული ამბიციები ამოძრავებს. კოკინანმა ჩილელმა სეზონის პირველი ორი თვე ხერხემლის მალის დაზიანებით კორტიდან შორს, ამერიკის ერთი კლინიკიდან მეორეში მოგზაურობაში გაატარა და ჩოგნის ნაცვლად კარგა ხანს ლამის სხეულთან შეზრდილ დამცავ მოწყობილობას ატარებდა.

ამჟამად მარსელოს მოძრაობასა და ფორჰენდ-ბექჰენდებში არა უშავს რა, მაგრამ ტრავმის გართულების თავიდან ასაცილებლად მოწოდების გაცილებით ნაკლები ძალით დარტყმა უხდება და მატჩების ბოლოს ზურგის ტკივილი ახსენებს თავს: „უმოქმედოდ ყოფნას ისევ ეს სჯობს. ხუთი წელია, ჩოგბურთის თამაშის მეტი არაფერი მიკეთებია და ტრავმის შემდეგ ერთიორი კვირა გავიხარე, რომ ვისვენებდი, მიუხედავად იმისა, რომ ტკივილს ნემსებით მიყუჩებდნენ. მაგრამ მერე უსაქმურობისგან უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა.“

ტოდ მარტინთან (11) შეხვედრის პირველ სეტში რიოსს მთელი კვარტლის უთამაშებლობის არაფერი ეტყობოდა და ზორბა მეტოქეს ყოველმხრივაც ჩაგრავდა, მაგრამ ამერიკელმა მის სუსტ მოწოდებას მერე ალღო აუღო, თავად ჩილელმაც უმატა შეცდომებს და მატჩი დიდი ძალისხმევის გარეშე დათმო 6:4, 2:6, 2:6.

რიოსს მეტოქისთვის ტკბილი სიტყვები არ გაუმეტებია: „ტრავმა რომ არ მიშლიდეს ხელს, უპრობლემოდ დავამარცხებდი ორ ხელში. დაახლოებით ერთი სეტი კარგად ვითამაშე, მაგრამ მერე ცოტათი დავიღალე და ზურგიც წამომტკივდა.“

მერვედფინალი: ტიმ ჰენმანი (7, ინგლისი) — გრეგ რუზეცკი (10, ინგლისი) 6:4, 2:6, 6:4; რიჩარდ კრაიჩეკი (10, ჰოლანდია) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:4, 6:4; კარლ კუჩერა (12, სლოვაკეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 3:6, 6:4; კრის ვუდრაფი (აშშ) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:5, 7:5; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 6:3; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:2, 6:3.

ინდიან უელსი.
„ევერტის თასი“.
საპრიზო 1,3 მილიონი $

ნახევარფინალი: შტეფი გრაფი (5, გერმანია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 2:6, 6:4, 6:2.

შტეფი გრაფსა და ჩანდა რუბინს გარეგნულად ბევრი არაფერი აქვთ საერთო — სად მაღალი და ქერა გერმანელი და სად დაბალი და დაკუნთული შავი ხვითო, მაგრამ ერთ ბედს კი ნამდვილად იზიარებენ: 1996 წლიდან მოყოლებული მათ ტრავმების გამო თითქმის ორი სრული სეზონი გაუცდათ და ფორმაში მხოლოდ ახლაღა შედიან.

ერთ დროს საუკეთესო ათეულელმა რუბინმა ნახევარფინალამდე კონჩიტა მარტინესს, ამანდა კუტცერსა და მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს გამოუყვანა წირვა და მათ გზას ამჯერად კინაღამ გრაფიც გაუყენა.

მთელი სეტნახევრის მანძილზე ამერიკელი სრულ უპირატესობას ფლობდა — კორტის უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმებით მრისხანე მეტოქეს არანაირ შანსს არ უტოვებდა. „წარმოდგენა არა მაქვს, რა მომივიდა. ბურთებს სანტიმეტრებით კი არა, მეტრებით ვაცილებდი. ეს უაზრობა იყო. ამიტომ გადავწყვიტე, გათამაშებები უფრო გამეჭიანურებინა და ჩანდას შეცდომებს დავლოდებოდი, რადგან სხვა აღარაფერი დამრჩენოდა“ — აღნიშნა მატჩის შემდეგ გრაფმა.

ახალმა ტაქტიკამ გერმანელს აშკარად გაუმართლა — განერვიულებულმა რუბინმა მეორე სეტში 3:1 უპირატესობა გაანიავა, გადამწყვეტ პარტიაში კი სულ უფრო და უფრო უკეთ მოთამაშე გრაფმა 0:2-დან ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო და ფინალის საგზურიც გაინაღდა, სადაც სერენა უილიამსისა და სანდრინ ტესტიუს მატჩის გამარჯვებულს გაეჯიბრება.

ავთანდილ სვანიძე

დღე პირველი, დღე უკანასკნელი

ხუთშაბათს, მშობლიური სან ფრანცისკოს მიწას მიაბარეს ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენი, დიდი ბეისბოლისტი ჯო დიმაჯიო. ოთხმოცდაათხი წლის დიმაჯიო ორშაბათს დილით აღესრულა ჰოლივუდში, საკუთარ სახლში, კიბოთი და ოპერაციებით ტანჯული.

ამიერიდან, სან ფრანცისკოს ერთ-ერთ ავენიუს მისი სახელი მიეკუთვნება, ოქროს ნაპირზე წამოჭიმულ ბეისბოლის კომპლექსს ალბათ „დიმაჯიო სენთრუმს“ დაარქმევენ და ასე დაუსრულებლად.

სარგებელის არქივიდან

ჯო დიმაჯიოს დიდი იანკური მოქნევა

ხუთშაბათს, ის გამოასვენეს სან ფრანცისკოს პეტრე-პავლეს ეკლესიიდან, რომელიც ქალაქის იტალიურ ანკლავშია, ჩრდილოეთ სანაპიროზე. დაკრძალვაზე დასრწრება სურდათ ბილ კლინტონს, მსახიობებს ტომ ჰენკსსა და ჯეკ ნიკოლსონს, ასევე „იანკის“ მფლობელ ჯორჯ შტეინბრუნერს, მაგრამ ჯოს ანდერძით მხოლოდ უახლოესმა ადამიანებმა წაასვენეს სან ფრანცისკოს ახალი სასაფლაოსკენ. პოლიციელებს ქუჩები გადაეკეტათ და პაპარაცები მოშორებით, პარკში ჩამწკრივებულიყვნენ და იქედან აჩხაკუნებდნენ თავიანთ აპარატებს.

ის დაიბადა 1914 წლის 25 ნოემბერს სან ფრანცისკოში, სიცილიიდან გადმოხვეწილ და ხელმოკლე იტალიელთა ოჯახში. ცხრაშვილიანი დედამის მერვე შვილი იყო და აშკარად ჩანდა, რომ თავი მეთევზეობით უნდა ერჩინა. მამა მეთევზე იყო, წვალობდა და ასე, თუ ისე არჩენდა ოჯახს. ჯოს და მის ძმებს ბეისბოლზე აბოდებდათ. ლამის ყოველდღე თავიანთი ქოხმახური უბნიდან ფეხით მიდიოდნენ შორს, ქალაქის მეორე ბოლოში, რათა ამ ჩვენთვის უცნაური თამაშის ანაბანას დაუფლებოდნენ. შემდგომში, პროფესიულ ლიგაში სამი დიმაჯიო თამაშობდა, მაგრამ ამათ შორის გამორჩეული ერთი იყო — ჯო.

კარიერა წყნარი ოკეანის დივიზიონში დაიწყო — „სან ფრანცისკო სილზში“, ოთხი სეზონის შემდეგ გადაბარგდა ნიუ იორკის „იანკების“ რიგებში და ლეგენდაც აქედან დაიწყო.

ათი სეზონი უძღვოდა წინ „იანკების“ გუნდს, ცხრაჯერ მოაგებინა ჩემპიონობა. მისი ჰიოების და ჰოუმრანების რაოდენობა, ჩვენს მკითხველს ალბათ ბევრს არაფერს გააგებინებს მის სიდიადეზე. თუმცა, ერთი მაგალითი მაინც საჭიროა — 1942 წლის სეზონში, ჯომ ზედიზედ 56 შეხვედრაში მოახერხა ქულისმომტანი ჰითი (დარტყმა). ეს რეკორდი აგერ ახლა დაემხო. მაგრამ რეკორდი იქეთ იყოს, ლიგას არ ახსოვდა ასეთი მოქნილი, სწრაფი, ზუსტი და ღონიერი მოთამაშე. „იანკების დიდი კლიპერი“ — ასე ეძახდნენ. ცხრაგზის ჩემპიონობის აღმნიშვნელი ცხრა ბრილიანტისთვლიანი ბეჭდიდან რვა 1960 წელს მოპარეს და ის ერთიც, პირველი ჩემპიონობის აღმნიშვნელი, იმიტომ გადარჩა, რომ ყოველთვის თითზე ეკეთა.

დიმაჯიო სამჯერ დაასახელეს ლიგის საუკეთესო მოთამაშედ და 1955 წელს ბეისბოლის დიდების დარბაზის წევრად შერაცხეს. შარშან, სექტემბერში ის უკანასკნელად გამოჩნდა „იანკების“ მინდორზე, რათა კლუბისგან მიეღო ასევე უკანასკნელი საჩუქარი — იმ რვა ბეჭდის ზუსტი ასლი, ოცდათვრამეტი წლის წინათ რომ მოპარეს.

ესეც არ დაგავიწყდეს, ზეობის ხანაში მას სამ წელიწადი გაუცდა — ჯარში გაიწვიეს და მეორე მსოფლიო ომში მოუწია ყოფნამ.

მერე კარიერა დასრულდა და დაიწყო ის, რამაც ამერიკის ვარსკვლავი მსოფლიოს წარუდგინა.

მერლინ მონრო — ჯოს მთელი სიცოცხლე უყვარდა ეს ქალი. მანამდეც და მერეც. ამერიკის უპირველესი წყვილი — დიმაჯიო და მონრო. მერლინი თორმეტი წლით უმცროსი იყო მასზე და უყვარდა, განა არ უყვარდა. იშვიათად შეხვედროდა ასეთი ჯენტლმენი. იკონებდა კიდეც, წარმოდგენილი მყავდა, როგორც ერთი კოხტა-პრუწა ნიუ იორკელი ვარსკვლავი და ვაჟკაცი კი გამოდგაო. ამ ვაჟკაცს მერილინი „ჩემს მცონარას“ ეძახდა. ქორწინებამ ცხრა თვეს გასტანა, შემდეგ დაცილდნენ და მერილინი განთქმულ დრამატურგს არტურ მილერს გაჰყვა ცოლად.

„ჩვენ სხდასხვა მენტალიტეტის ხალხი გამოვდექით“, — არიგებდა მერილინი ინტერვიუებს — „ის ყოფილი სპორტსმენის ცხოვრებით ცხოვრობს, მე კი არ შემიძლია ყოფილი მსახიობი ვიყო“.

ჯოს კი კრინტიც არ დაუძრავს. აღარ დაქორწინებულა. მერილინი მისთვის მეორე და ერთადერთი სიყვარული გამოდგა. ჯოს კრინტი არ დაუძრავს მთელი სიცოცხლე. აღმერთებდა ამ ქალს და ეზიზღებოდა ჰოლივუდი. ერთადერთხელ თქვა, მაგ ჰოლივუდმა დაღუპაო.

ერთხელ, კორეის ომის დროს, მერილინი ჯარისკაცთა ბანაკს ესტუმრა და იქედან უბედნიერესი დაბრუნდა:

„იცი, ჯო როგორი ტაშით შემხვდნენ? ასეთი ტაში არასოდეს გაგიგონია!“

„გამიგონია“ — ჩაილაპარაკა ჯომ. ასეთი იყო...

რვა წლის შემდეგ მერილინი გარდაიცვალა. ბევრი წამალი დალიაო. თუმცა, სხვასაც ამბობდნენ.

მერილინი 1962 წლის 8 აგვისტოს დაკრძალეს — ჯო დაკრძალვაზე იყო. ეგებ საკვირველიც ჩანდეს, მაგრამ ჯო ერთადერთ ერთგულ ადამიანად რჩებოდა ამ რვა წლის განმავლობაში. მხოლოდ ხუთიოდე წლის წინ გახმაურდა — იმ დღეს, 1962 წლის 8 აგვისტოს ჯოსა და მერილინს ხელმეორედ უნდა დაეწერათ ჯვარი...

ოცი წლის განმავლობაში, მერლინ მონროს საფლავზე კვირაში სამჯერ თაიგული მიჰქონდათ. ეს ჯო დიმაჯიოს შეკვეთა იყო. მერლინთან განშორების შემდეგ ჯო სან ფრანცისკოში ცხოვრობდა. როგორც ერთმა იქაურმა მესვეტემ დაწერა, ქალაქში მოსიარულე დიმაჯიოს გარშემო, თითქოს ჰაერი ღიღინებდა. ის ჰქმნიდა განუმეორებელ აურას და როდესაც გიღიმოდა, ან გელაპარაკებოდა, თავს რაინდად გრძნობდიო.

ბეისბოლში არ დარჩენილა — წარმატებული და ჭკვიანი ბიზნესმენი იყო.

1969 წელს მიანიჭეს ტიტული — „უდიდესი ცოცხალი ბეისბოლისტი“. ეს ერთადერთი ტიტული იყო, რომელსაც გამორჩევით უფრთხილდებოდა სიბერეში. თუკი რაიმე ცერემონიალზე დაპატიჟებდნენ, მოითხოვდა, მისი გვარი ყველაზე ბოლოს გამოეცხადებინათ, თანაც ამგვარად: „ჯო დიმაჯიო უდიდესი ცოცხალი ბეისბოლისტი“. ჟურნალისტები აქილიკებდნენ კიდეც ამის გამო. მაგრამ მოხუცი სხვა დროის შვილი იყო. ის კარგად ხედავდა, რაგორ იცვლებოდა ყველაფერი და უფრთხილდებოდა ოდინდელ ბრწყინვალებას.

არტ გარფანკელი და პოლ საიმონი კი ჯერ კიდევ 60-იან წლებში ისაკლისებდნენ „ამრევ ჯოს“ (ასეც ეძახდნენ), როცა თავიანთ განთქმულ სიმღერაში „მისტერ რობინსონი“ ეკითხებოდნენ: „საით წახვედი, ჯო დიმაჯიო? ერი დაგეძებს ნაღვლიან მზერით, ახლა რას იტყვი მისტერ რობინსონ, ვეღარ დავტკბებით ამრევის ცქერით“.

დიდი ამერიკული თავგადასავალი სახელად „ჯო დიმაჯიო“ დასრულებულია. უდიდესი ცოცხლი ბეისბოლისტი ცოცხალი აღარ არის. მას ლეგენდას უწოდებდნენ, მაგრამ ჯო დიმაჯიო არ იყო ლეგენდა, ის ნამდვილი ამბავი იყო. ეგებ ერთერთი ყველაზე ნაღდი ამბავი მთელს ამხელა ამერიკაში.

დიდი კლიპერი, დიდი მეხუთე ნომერი. ზურგზე წარწერილი „ხუთიანი“ ერთგვარი სიმბოლოც კი იყო — ჯო დიმაჯიო სხვანაირი, ძველი ხუთოსანი გახლდათ.

ირაკლი გამყრელიძე

ფრთხილად! ჯონსონი მოდის

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 31 წლის ამერიკელმა სპრინტერმა მაიკლ ჯონსონმა გუშინ გამაფრთხილებელი განცხადებით მიმართა იმ ათლეტებს, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში 200 მეტრიან ბილიკებზე დომინირებენ. „ეს ჩემი წელი იქნება. მე მას პირველ ნომრად გავასრულებ“ დაუქადნია ამერიკელს.

დიად მიღწევათა არენას მაიკლ ჯონსონი 1997 წელს ფეხის მძიმე ტრავმის გამო ჩამოშორდა. მაშინ იგი თავისი ბრწყინვალების მწვერვალზე იმყოფებოდა — უკან იყო გიოტებორგის მსოფლიოს ჩემპიონატისა და ატლანტის ოლიმპიადის ოქროვანი დუბლები (200მ და 400მ), ათენში 400 მ-ზე შენარჩუნებული მსოფლიო ტიტული, 200 მ-იან ბილიკებზე დამყარებული ფანტასტიური რეკორდი — 19,32 წამი...

გაჭიანურებულმა ტრავმამ ჯონსონი ტრასის განაპირას გარიყა. მისი მასშემდეგდრონდელი ყველა მცდელობა, ფეხი 20 წამიანი მიჯნის ქვემოთ ჩაედგა, მუდამ წარუმატებლობით სრულდებოდა. შარშან კი — პირველად 1989 წლის შემდეგ — ჯონსონი სულაც ზეათეულის მიღმა აღმოჩნდა. (ამ პერიოდში მის ასპარეზს ტრინიდადელი მსოფლიოს ჩემპიონი ატო ბოლდონი და ნამიბიელი ფრენკი ფრედერიკსი დაეპატრონნენ). „დიახ, მე არ შემეძლო სირბილი ისე, როგორც ამას ჩემგან ელოდნენ. მაგრამ ეს უკვე წარსულია, დღეს ისევ დიდებულ ფორმაში ვარ და მჯერა, რომ კვლავაც შემწევს 19 წამიანებში განავარდების ძალა“ — ამბობს სპრინტერი.

ის კი არა და, ჯონსონი 400 მ-იან ბილიკებსაც ემუქრება. მისი თქმით, მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი ბაჩრეინოლდსის 11 წლიანი რეკორდის (43,29) დამხობისა. „თუკი დაბრუნებაა, ეს ყველა ფრონტზე დიდი ხმაურით უნდა მოხდეს; ჩემი პირადი რეკორდი ბაჩისას მხოლოდ წამის მეათედით ჩამორჩება — ერთი სიტყვით თუკი ჩემს თავს გავუსწრებ, გამოვა, რომ მსოფლიოს რეკორდსაც მოვერევი“.

ის ამბავი, თუ რომელ დისტანციას შეერკინება სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე, 200-იანს თუ 400-იანს, მაიკს ჯერ არ გადაუწყვეტია. ერთი კი ამთავითვე ცხადია — ორივეს გამოდევნებას იგი ამჯერად არ აპირებს. „დუბლს სიდნეის საგაისო ოლიმპიადისთვის შემოვინახავ“ — ხუმრობს ჯონსონი. თუმცა, იქვე დასძენს, რომ სევილიაში 4X400 ესტაფეტაში მონაწილეობის უდიდესი სურვილიც აქვს.

რაც შეეხება საგრანპრიო სეზონს, იგი ზოგან 200 მ-ზე გამოვა, ზოგან 400-ზე, ზოგან კიდევ — იქაც და აქაც „ჩემი მიზანია, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიმარჯვო და სეზონი ორსავე ბილიკზე საუკეთესომ დავამთავრო“.

და ბოლოს — თავისი ნაჯაფარი კეტების დედაბომბზე ჩამოკიდებას დიდი სპრინტერი უახლოეს ორი წლის მანძილზე არ ეშურება: „ყველაფერი სიდნეის მერე გაირკვევა. თუკი ასე იქნება, ასეა-თქვა, ვიტყვი, თუკი ისე იქნება — ისე“ — დასძენს მაიკლ და კეთილი ღიმილითაც იღიმება.

ლევან კელაურაძე

რაბობანკის აქციებმა მაგრად აიწია

პარიზიდან ნიცამდე გადასარბენი მანძილის გუშინდელმა, მეოთხე მონაკვეთმა, რომლის პირველ და უკანასკნელ პუნქტებს, კუსესა და ფირმინის ერთმანეთისაგან 187,9 კმ აშორებდა, ლიდერთა ზეათეულის გადახალისება გამოიწვია. ფინიშამდე 15 კმ-ით ადრე „კელმეს“ კოლუმბიელმა მრბოლმა, სანტიაგო ბოტერომა და „რაბობანკელ“-ჰოლანდიელმა მაიკლ ბუგერდმა ხროვასთან შემაერთებელი ჭიპლარები გადაიჭრეს და მურდალ ფერდობზე მარტოსულად დაძუძგეს. ბოტეროცა და ბუგერდიც ჩინებულ მეფერდობეებად ითვლებიან. ამიტომაც ხროვისგან მოკვეთა ისე კარგად გამოუვიდათ, რომ ფირმინში სხვებზე 29 წამით ადრე ააღწიეს. მართალია, ბოლო მეტრები უფრო მარჯვედ კოლუმბიელმა გადაფარა, მაგრამ საერთო ჩათვლის ლიდერობა და ლამაზმანთა საკვარცხლბეკო ალერსი წილად მაინც ჰოლანდიელს ხვდა. „გუნდმა გადაწყვიტა, რომ მოსაყმარებელი დღესვე უნდა მოგვეყმარებინა. ამიტომაც, როცა ბოტერომ პედლები აამოძრავა, ეგრევე გეში ვიკარი. ახლა რბოლის მოგების საუკეთესო შანსები გავაჩინა“ — ასე ბაასობდა ბუგერდი ნარბოლევს.

ლევან კელაურაძე

კუსე-ფირმინის ეტაპის პირველი ათეული ამგვარად გამოიყურება: ბოტერო — 4სთ,43წთ,58 წმ; ბუგერდი — იგივე დრო; მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი), მაარტენ დენ ბაკერი (ჰოლანდია, რაბობანკი), ჯულიანო ფიგურასი (იტალია, მაპეი), აქსელ მერქსი (ბელგია, მაპეი), ენთონი მორინი (საფრანგეთი, ფრანსე დე ფო) — ჩამორჩენა 29 წამი; დარიო ფრიგო (იტალია, სეკო), პაოლო სავოლდელი (იტალია, სეკო), სტივ დე ვოლფი (ბელგია, კოფიდისი) — 41 წამი.

საერთო ჩათვლა: ბუგერდი — 20სთ,27წთ,28წმ; ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო) — ჩამორჩენა 16 წმ; ვოუტერსი — 24 წმ; დენ ბაკერი — 25 წმ; მერკსი — 29 წმ; მარკუს ცბერგი (შვეიცარია, რაბობანკი) — 56 წმ; ბოტერო — 1წთ,37წმ; ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია, კოფიდისი) — 2წთ,16წმ; ვლადიმერ ბელი (იტალია, ფესტინა) — 2წთ,31წმ; ფრიგო — 2წთ,31წმ.

REUTERS ფირმინიდან

სანტიაგო ბოტერო

REUTERS სან ფრანცისკოდან

ჯო დიმაჯიო მშობლიური სან ფრანცისკოს მიწას მიაბარეს

ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲪᲛᲐᲡ ᲣᲞᲘᲠᲔᲑᲡ

ᲓᲔᲑᲝᲠᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘ: ᲛᲔ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲬᲐᲕᲐᲚ...

ᲡᲐᲛᲗᲝᲛᲝᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲘ კაცებმა გუშინწინ ესპანურ სიერა ნევადაში სუპერგიგანტში ისპარეზეს და ამ სახეობის გამარჯვებულიც გამოავლინეს, აი, ქალებს კი მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარაშოტმა ტრასაზე სრიალის შესაძლებლობა არ მისცა. მსოფლიოს თასის ორგანიზატორებმა რამდენჯერმე გადადეს სტარტი, მაგრამ გამოდარებას საშველი რომ აღარ დაადგა, ეს ეტაპი საერთოდ გააუქმეს და ქალთა სუპერგიგანტის ჩემპიონიც გამოაცხადეს. ბოლის თასი წლეულს საუცხოოდ მოსრიალე ავსტრიელ ალექსანდრა მაიზნიცერს ერგო. ალექსანდრამ ჯილდო ხომ შეიფერა და მერე კადნიერადაც განაცხადა — სულმოუთქმელად ველი იმ წუთს, როცა მსოფლიოს თასსაც დავიჭერ ხელშიო — ამის თქმის საბაბი კი მაიზნიცერს ნამდვილად აქვს, დარჩენილ ორ ეტაპზე ავსტრიელმა ქულაც რომ ვერ აიღოს, ამით არაფერი დაკლდება და კარიერაში პირველად გახდება მსოფლიოს თასის მფლობელი.

ᲡᲣᲞᲔᲠᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ

1. ალექსანდრა მაიზნიცერი (ავსტრია) 459;
2. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 373;
3. მარტინა ერტლი (გერმანია) 340;
4. რეგინუ კავენიუ (საფრანგეთი) 335;
5. რენატა გოეტჩლი (ავსტრია) 308.

თუ ალექსანდრა მაიზნიცერი მწვერვალის პიკზეა და გამარჯვებებით ხარობს, იტალიის ყველა დროის ყველაზე წარმატებული მოთხილამურე ქალი დებორა კომპანიონი სპორტიდან წასვლას ფიქრობს. როგორც მისმა მენეჯერმა ჯულია მანჩინიმ თქვა, საბოლოო გადაწყვეტილებას კომპანიონი დღეს, მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპის მერე მიიღებს.

11 წლის მანძილზე კომპანიონის სამი ოლიმპიური ოქრო, ერთი ვერცხლი, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და თასებზე უამრავი გამარჯვება აქვს მოპოვებული. მაგრამ ეს სეზონი მისთვის მეტად უიღბლო გამოდგა — იტალიელმა პოდიუმზე შედგომა მხოლოდ ორჯერ მოახერხა და ვერც ერთ ეტაპზე ვერ იმარჯვა.

კომპანიონის წარუმატებლობას თავისი მიზეზები აქვს — მას წლეულს კუჭისა და თირკმლების ძველმა პრობლემებმა შეახსენეს თავი და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ექიმებმა საერთოდ აუკრძალეს სრიალი, ყოველ შემთხვევაში, საუკეთესო ფორმაში ყოფნისთვის საჭირო დიდ დატვირთვებს და ხანგრძლივ ვარჯიშებს ამიერიდან დებორა ძნელად თუ გაუძლებს. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მოთხილამურეს სცენიდან გაქრობა არც სპორტიდან წასვლის შემთხვევაში ემუქრება — იტალიელ ჟურნალისტებს თუ ვერწმუნებით, პირმშვენიერ დებორას მოდათა ინდუსტრიის წარმომადგენლები უკვე კარგა ხანია სთავაზობენ თანამშრომლობას და მის მიმართ გულგრილი არც მოდის სამყაროს ერთ-ერთი მახვში ალესანდრო ბენეტონი ყოფილა.

ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲤᲐᲚᲣᲜᲘ. ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ

ᲢᲐᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲢᲠᲝᲛᲐᲛᲓᲔ

1. მარტინ შმიდტი (გერმანია) 261.4 (124/124);
2. ნიდეჰარუ მიეაჰირა (იაპონია) 247.8 (116.5/122.0);
3. მასაშიკო ჰარადა (იაპონია) 247.7 (118.0/118.5);
4. ნორიაკი კასაი (იაპონია) 244.4 (120.5/115.0);
5. სვენ ჰანავალდი (გერმანია) 239.5 (115.5/117.0);

...

8. იანე აჰონენი (ფინეთი) 226.2 (112.0/114.5).

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. იანე აჰონენი 1544;
2. მარტინ შმიდტი 1422;
3. კაზიუოში ფუნაკი (იაპონია) 1363;
4. ნორიაკი კასაი 1288;
5. ანდრეას ვინდოელზი (ავსტრია) 801.

ᲝᲠᲭᲘᲓᲘ (ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲢᲠᲝᲛᲐ, ᲙᲠᲝᲡᲘ 7,5 ᲙᲛ) ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1. ლადისლავ რიგლი (ჩეხეთი) 112.2/16:54.1;
2. კენუი ოგიგარა (იაპონია) 123.4/17:36.6;
3. პანუ მანინენი (ფინეთი) 109.7/16:56.1;
4. ბიარტე ენგენ ვიკი (ნორვეგია) 110.8/17:13.2;
5. ფრედ ლინდბერგი (შვედეთი) 103.7/16:47.5.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ბიარტე ენგენ ვიკი 1755;
2. პანუ მანინენი 1542;
3. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) 998;
4. ლადისლავ რიგლი 991;
5. სამპა ლაუინენი (ფინეთი) 986.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘ

ᲛᲝᲛᲔᲮᲓᲣᲠᲘᲗᲐ ᲓᲦᲔ

11 მარტი

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ — ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 3:5

1:1 1:3 1:1

0:1 ოზოლინში 3'39 (4); 1:1 ლინდროსი 5'26 (38); 1:2 საკიკი 23'56 (31); 1:3 დედმარში 24'06 (21); 2:3 რეკი 30'18 (13); 2:4 დრური 33'48 (16); 3:4 ლანგკოუ 45'07 (14); 3:5 დრური 53'24 (17)

პირამდე სავსე „ფლიტ სენტრი" თავისიანთაგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდა. მანამდე ზედიზედ რვა მატჩში უიღბლო „მფრინავებს" ლიგის ერთ-ერთ გრანდთან რომ ემარჯვათ, ყველას დაუმტკიცებდნენ, რომ მათი კრიზისი არცთუ სერიოზულია, თან მარკ რეკის მეორედ მოსვლასაც დაამშვენებდნენ. ასე რომ, მასპინძლები ერთობ მოწადინებულნი იყვნენ და სწორედ ზედმეტმა მონდომებამ დაღუპა ისინი. მეორე პეიროდის დასაწყისში, როცა ანგარიში ჯერ საყაიმო იყო, „მფრინავებმა" თითქოს მიაღწიეს კიდეც უპირატესობას, მაგრამ ორმა უხეშმა შეცდომამ მთელი შრომა წყალში ჩაუყარათ. პეტერ ფორსბერგმა კი ორი ჩინებული პასი მისცა თავის პარტნიორებს და მეტოქე საბოლოოდ გატეხა. მართალია, ამის შემდეგ სხვაობა ორჯერ მინიმუმამდე შემცირდა, ხოლო რეკიმ დაბრუნების აღსანიშნავი გოლი გაიტანა, მაგრამ სტუმრებმა უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს. მატჩის მიწურულს კი, როცა დღის დანარჩენი თამაშების შედეგები გამოცხადდა (ხუთივეში მასპინძლები დამარცხდნენ), ფილადელფიელები ბედს შეეგუნენ.

ამ მატჩში ერთბაშად რამდენიმე მიღწევა დაფიქსირდა. აქაც პრიორიტეტი სტუმრებს ჰქონდათ — ფორსბერგმა მე-300 პასი მიითვალა, მეკარე პატრიკ რუა 502-ე გამარჯვებით ლიგის ისტორიაში მეორე ადგილზე აღზევდა, მასპინძლების აქტივში კი მხოლოდ მათი მწვრთნელის — როჯერ ნელსონის მე-400 თამაშია.

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ — ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ 0:3

0:1 0:1 0:1

0:1 ოკუანი 14'04 (18); 0:2 მოგილნი 22'21 (8); 0:3 მეი 50'43 (6)

ძნელი სათქმელია, რა დაემართა ფინიქსს. ჯერ კიდევ 13 თებერვალს გუნდი ჩემპიონატის ლიდერ დალასს სულ ორი ქულით ჩამორჩებოდა, ახლა კი სხვაობა 10-ჯერ მეტია. უკანასკნელ 13 თამაშში ფინიქსმა 11 წააგო, სულ 19 შაიბა შეაგდო, ამჯერად კი ულიდერებოდ მოთამაშე ვანკუვერთანაც ვერაფერი გააწყო. ვანკუვერის ახალბედა ჰოლდენმა ორი პასი მიითვალა.

ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡᲘ — ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 1:2

0:0 0:1 1:1

0:1 ბერეზინი 35'26 (27); 0:2 დ. კინგი 42'08 (21); 1:2 სმოლინსკი 44'32 (13)

ტორონტოს ბრწყინვალე მეკარე კერტის ჯოზეფმა 41 დარტყმა მოიგერია და ნიუიორკელ მაყურებელს ნათლად აჩვენა, ამჟამად „აილენდერსში" მოასპარეზე ფელიქს პოტვინი თავის დროზე უსაქმოდ რატომ დარჩა.

ᲑᲣᲤᲐᲚᲝ — ᲢᲐᲛᲞᲐ 2:5

1:2 1:2 0:1

1:0 გროშეკი 2'57 (16); 1:1 პეტროვიცკი 7'33 (2); 1:2 კლარკი 11'28 (25); 1:3 ტაკერი 25'23 (16); 2:3 გროშეკი 34'47 (17); 2:4 რიშე 36'40 (7); 2:5 სილინჯერი 47'22 (6)

ბუფალოში მოუთმენლად ელიან „დომინატორის" დაბრუნებას, რადგან მარტინ ბირონმა მხოლოდ უქმეებზე გაიბრწყინა და ჩაქრა, ვეღარაფრით უშველა თავისიანებს.

ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ — ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ 0:3

0:2 0:1 0:0

0:1 ზუბრუსი 3'20 (4); 0:2 ჟოლტოკი 10'05 (6); 0:3 ლაშანსი 27'08 (2)

მონრეალელთა მწვრთნელმა ალენ ვინიომ მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია, ცხადია, მეკარე ჯეფ ჰეკეტის (41 მოგერიება, მე-4 შათაუტი) ქებით დაიწყო, შემდეგ გაცილებით მეტი ახალშეძენილ დაინიუს ზუბრუსსა და სკოტ ლაშანსზე ისაუბრა, რომელთაც თავიანთი დებიუტი გოლებით აღნიშნეს. მწვრთნელის თქმით, ზუბრუსიის მოთამაშეა, რომელიც ძალიან სჭირდებოდა კლუბს და იგი აუცილებლად მეტ ხანს დაჰყოფს ხოლმე მოედანზე. ვნახოთ, რეკი — ზუბრუსის გახმაურებული გაცვლით იქნებ მონრეალი უფრო მოგებული დარჩეს.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ 1:2

0:0 0:1 1:1

0:1 დვორჟაკი 30'49 (11); 0:2 უიტნი 45'17 (19); 1:2 ბონდრა 53'22 (31)

ბუფალოსგან განსხვავებით, ფლორიდა პაველ ბურეს დაბრუნებას გულხელდაკრეფილი არ უცდის და ცდილობს, მაქსიმუმი გააკეთოს.

ᲡᲐᲛᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ



REUTERS ბუფალოდან

ᲑᲣᲤᲐᲚᲝᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲘᲙ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲛᲐ ᲢᲐᲛᲞᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲡᲘ ᲢᲐᲙᲔᲠᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲝᲑᲠᲘᲧᲕᲐ

ᲐᲠᲐᲕᲘᲜ იცის, ვის რა ელის მომავალში. ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში პიტსბურგელი სტიუ ბარნსისა და ბუფალოელი მეტიუ ბარნაბის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა — კაროლინაში გადასული პლეიმეიკერის რონ ფრენსისის ადგილზე მიწვეულ სტიუ ბარნსს თვით იარიმირ იაგრისთვის უნდა დაემშვენებინა მხარი, ბარნაბი კი, რომელიც ყველაზე კარგად ერგება „ხმლების" აგრესიულ სათამაშო სტილს, პლეი ოფში ჩინებული თამაშის შემდეგ წამყვან სამეულში უნდა გაემწესებინათ. მერე კი მათი საქმე უკან-უკან წავიდა: პიტსბურგში სოკოებით მომრავლებულმა რუსებმა და ჩეხებმა თანდათან დაჩრდილეს ბარნსი, რამაც, ცხადია, ფორვარდის უკმაყოფილება გამოიწვია. რაც შეეხება ენაწყლიან ბარნაბს (გაიხსენეთ, როგორ ერეოდა იგი დომინიკ ჰაშეკისა და ბუფალოს ყოფილი მწვრთნელის ტედ ნოლანის კონფლიქტში), იგი უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე ქულებს აგროვებდა. მწვრთნელებმაც თითქმის ერთდროულად გადაწყვიტეს მათი ბედი — პიტსბურგს ჰაერივით სჭირდებოდა ძალისმიერი ფორვარდი, ბუფალოს კი აშკარად აკლდა გამთამაშებელი. გუნდებმა სასწრაფოდ გამონახეს საერთო ენა, მოთამაშეები გაცვალეს და კმაყოფილნიც დარჩნენ.

* * *

23 **მარტი** ლიგაში დედლაინის დღეა, მაგრამ ამ მხრივ აქტიური საქმიანობა გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე დაიწყო, თუმც ედმონტონელი მიხაილ შტალენკოვი რომ გაიყიდებოდა, ადრევე იყო ცნობილი. ტორონტოში თვით კერტის ჯოზეფის ნაცვლად გადასულმა რუსმა სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ სპორტული ფორმა და ძირითადი მეკარის პოზიცია თანდათან დაკარგა, ბოლო მატჩებზე კი მყარად დაჯდა სათადარიგოთა სკამზე. შტალენკოვი ხუთშაბათს გაიყიდა... იგი ამერიდან ფინიქსში ითამაშებს და მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ამჟამად კრიზისშია, ძნელი წარმოსადგენია, მიხაილმა თავის თანამემამულე ნიკოლაი ხაბიბულინს და ჯიმი უეიტს კონკურენცია გაუწიოს.

ᲐᲠᲐᲕᲘᲜ იცის, ვის რა ელის მომავალში. ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში პიტსბურგელი სტიუ ბარნსისა და ბუფალოელი მეტიუ ბარნაბის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა — კაროლინაში გადასული პლეიმეიკერის რონ ფრენსისის ადგილზე მიწვეულ სტიუ ბარნსს თვით იარიმირ იაგრისთვის უნდა დაემშვენებინა მხარი, ბარნაბი კი, რომელიც ყველაზე კარგად ერგება „ხმლების" აგრესიულ სათამაშო სტილს, პლეი ოფში ჩინებული თამაშის შემდეგ წამყვან სამეულში უნდა გაემწესებინათ. მერე კი მათი საქმე უკან-უკან წავიდა: პიტსბურგში სოკოებით მომრავლებულმა რუსებმა და ჩეხებმა თანდათან დაჩრდილეს ბარნსი, რამაც, ცხადია, ფორვარდის უკმაყოფილება გამოიწვია. რაც შეეხება ენაწყლიან ბარნაბს (გაიხსენეთ, როგორ ერეოდა იგი დომინიკ ჰაშეკისა და ბუფალოს ყოფილი მწვრთნელის ტედ ნოლანის კონფლიქტში), იგი უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე ქულებს აგროვებდა. მწვრთნელებმაც თითქმის ერთდროულად გადაწყვიტეს მათი ბედი — პიტსბურგს ჰაერივით სჭირდებოდა ძალისმიერი ფორვარდი, ბუფალოს კი აშკარად აკლდა გამთამაშებელი. გუნდებმა სასწრაფოდ გამონახეს საერთო ენა, მოთამაშეები გაცვალეს და კმაყოფილნიც დარჩნენ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ								ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ							
ოტავა	64	38	8	18	194:134	84		*დალასი*	63	41	10	12	188:129	92
ნიუჯერსი	65	36	8	21	194:164	80		*კოლორადო*	66	34	8	24	185:164	76
კაროლინა	66	29	13	24	170:161	71		*დეტროიტი*	65	32	6	27	193:167	70
ტორონტო	66	37	5	24	211:189	79		ფინიქსი	65	31	10	24	159:156	72
ფილადელფია	66	30	16	20	197:157	76		ანაჰაიმი	65	30	10	25	176:158	70
პიტსბურგი	64	33	9	22	199:177	75		სენტ ლუისი	64	26	10	28	177:170	62
ბუფალო	65	29	13	23	172:148	71		ედმონტონი	65	25	10	30	182:175	60
ბოსტონი	64	28	10	26	165:148	66		სან ხოსე	65	23	14	28	146:154	60
ფლორიდა	65	24	17	24	167:173	65		კალგარი	64	24	10	30	172:182	58
რეინჯერსი	65	28	8	29	181:180	64		ლოს ანჯელესი	65	24	5	36	149:174	53
მონრეალი	6:	26	9	31	158:174	61		ვანკუვერი	66	20	11	35	161:204	51
ვაშინგტონი	65	27	5	33	179:173	59		ნეშვილი	65	22	6	37	153:213	50
აილენდერსი	67	19	9	39	155:201	47		ჩიკაგო	65	19	9	37	147:200	47
ტამპა	65	16	5	44	142:238	37								

ᲑᲣᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ: იაგრი (პიტსბურგი) 97(31+66); ლინდროსი (ფილადელფია) 89(38+51); სელიანე (ანაჰაიმი) 83(37+46); ლეკლერი (ფილადელფია) 81(38+43); კარია (ანაჰაიმი) 81(29+52); ფორსბერგი (კოლორადო) 79(22+57); იაშინი (ოტავა) 77(37+40); მოდანო (დალასი) 71(28+43); საკიკი და ფლერი (ორივე — კოლორადო) 70(31+39); სუნდინი (ტორონტო) 67(24+43); სტრაკა (პიტსბურგი) 66(32+34); დემიტრა (სენტ ლუისი) 66(27+39)

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან.

ბუნდესლიგის ლიდერ „ბაიერნთან“ დამარცხებულმა „ფრაიბურგმა“ გუშინ აუტსაიდერ „ჰანზასთან“ ისახელა თავი. საცოდავი როსტოკელების 3:0 განადგურება ლევან კობიაშვილის გოლით დაიწყო.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

XXII ᲢᲣᲠᲘ

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ 1:0 ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘ
1:0 ჰერლიხი (13)

ᲤᲠᲐᲘᲑᲣᲠᲒᲘ 3:0 ᲰᲐᲜᲖᲐ
1:0 კობიაშვილი (60), 2:0 ბეია (80), 3:0 ვაისჰაუპტი (81)

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

XXII ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲠᲛᲘᲜᲘᲐ 0:0 ᲖᲐᲠᲚᲐᲜᲓᲘ

ᲙᲘᲚᲘᲐᲡᲘ 0:1 ᲣᲠᲓᲘᲜᲒᲔᲜᲘ

ᲙᲐᲠᲚᲡᲠᲣᲔ 3:2 ᲙᲝᲑᲒᲣᲡᲘ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

XXIV ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲣᲠᲡᲐ 1:0 ᲐᲜᲗᲐᲚᲘᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ 0:1 ᲢᲘᲠᲝᲚᲘ
0:1 გილევიჩი (89)

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

XXVI ᲢᲣᲠᲘ

ᲛᲣᲡᲙᲠᲝᲜᲘ 7:1 ᲒᲔᲜᲢᲘ
1:0 დუგარდაინი, 2:0 მარტიჩი, 3:0 ბანი, 4:0 ვიდოვიჩი, 5:0 ვაიტსი, 6:0 ბანი, 7:0 ვიდოვიჩი, 7:1 ს. რასელი

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

XXV ᲢᲣᲠᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ 1:0 ᲤᲐᲠᲔᲜᲡᲔ

ᲐᲑᲐ, ᲨᲔᲜ ᲘᲪᲘ, ᲢᲘᲛ!

REUTERS ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

მაიამის საუნივერსიტეტო კლუბი სტუდენტური ჩემპიონატის პირველ საპლეიოფო მატჩებს ბოსტონში ჩაატარებს. მაიამელები განსაკუთრებულ იმედს ჩვეულებისამებრ თავიანთ პირტიტველა ვარსკვლავზე, ტიმ ჯეიმსზე ამყარებენ. ტიმიც — იქიდან მოსული ინფორმაციის მიხედვით — ჩინებულ ფორმაში ყოფილა და გუნდის გამხურებელს თავის ძლიერ ბარკლებს მამაკაცური სიამოვნებით ახურებინებს.

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ ᲙᲝᲠᲔᲣᲚᲐᲓ

სეულის სამხედრო მუზეუმში პარასკეობით მისულ ტურისტებს სამხრეთ კორეის სახმელეთო, საზღვაო თუ საჰაერო ნაწილების რჩეული ვაჟკაცები, აი, ამგვარი ნატიფი ოსტატობით ასეირებენ ხოლმე...

REUTERS სეულდან

REUTERS ამსტერდამიდან

ᲒᲣᲚᲘᲢᲘ ᲛᲐᲜᲓᲔᲚᲐᲡ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ

ᲜᲔᲚᲡᲝᲜ ᲛᲐᲜᲓᲔᲚᲐ თავის მომხიბლავ მეუღლესთან, გრასა მაშელთან ერთად ევროპას ეწვია. ამსტერდამში სამხრეთ აფრიკის პირველი წყვილი ტრადიციულ სანაოსნო რბოლაზე დაპატიჟეს. მაღალ სტუმრებთან ერთად ნაოსნობით თავის შექცევა (მარცხნიდან მარჯვნივ) ამსტერდამის მერს შელტო პატაინს, აიაქსელ ბენი მაკართისა და მანდელას დიდ მეგობარს, „ნიუკასლის“ თავკაცს რუდ გულიტსაც მოუხდათ.

ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲭᲐᲚᲐᲨᲘ

ᲑᲐᲜᲒᲚᲐᲓᲔᲨᲘᲡ დედაქალაქმა ამ დღეებში კრიკეტის სამ-ერა ტურნირს უმასპინძლა. იქ სპორტის ამ ეშხიანი სახეობის ისეთმა ბობოლებმა მოიყარეს თავი, ინდოეთი, შრი ლანკა და პაკისტანი რომ არიან. ჰოდა, თავშეყრილმა მილეთმა ჯიგრიანი კრიკეტის ცქერით გულიც კარგად იჯერა და თვალსაც კარგი წყალი დაალევინა... ერთი ეგ იყო, რომ მავანმა ახვრებმა ხალხისთვის სულში ჩაიმასქნების მიზნით, სტადიონთან ყუმბარები ჩაალაგეს და მამაც ბანგლადეშელ სალდათებსა და მათ დაგეშილ ძუკნებსაც აუტკივარი თავი აატკიეს.

REUTERS დაქალდან

ᲡᲐᲠᲒᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲙᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ტექნიკური რედაქტორი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
კალათბურთის განყოფილების გამგე ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის განყოფილების გამგე ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29